# ლელო

№009
(12 386)

**14** იანვარი ორშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონი თანამეგობრობამდე: მარცხი უზბეკებთან და უკრაინელებთან



## პისკოვეცს სამი უკრაინელის დამატება უნდა

ინტერვიუ ოლიმპის მთავარ მწვრთნელთან **2**



## ბაიერნი რევოლუციის მოლოდინში

ვინ იქნება კლინსმანის პირველი მსხვერპლი? **10**



## ზესტაფონს ჩასემის ტრანსფერი ემლება

იმერული კლუბი კამერუნელ ფორვარდს ვერ უთანხმდება **2**

## კობი და ვიქტორია



**5**



## ჯორჯ გრეგანი, ენდი მერთენსი და გია ლაბაძე

**11** რაგბი. ლეგიონერები

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ოლიმპი

# წაგება უზბეკებთან და ტავრიასთან

## პისკოვეცს სამი უკრაინელის დამატება სურს



ალუშტაში საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა“ შაბათ-კვირას ორი საკონტროლო მატჩი გამართა: 12 იანვარს უზბეკეთის „კურუვჩისთან“ 0:1 წააგო, 13-ში კი უკრაინის უმაღლესლიგელ სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ - 0:3.

გუშინ საღამოს „ოლიმპის“ მთავარ მწვრთნელს, ანატოლი პისკოვეცს დავუკავშირდით, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე გაგვიმხილა.

**- ბატონო ანატოლი, იქნებ, საკონტროლო შეხვედრებზე გვიამბოთ.**

- უზბეკებთან ოთხი 30 წუთიანი ტაიმი ვითამაშეთ და 0:1 წავაგეთ. სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ კი 0:3.

**- შედეგები აშკარად არასასურველია.**

- შედეგზე მეტად თამაშის ხარისხი მაინტერესებდა, მაგრამ ამ კუთხითაც მრავალი პრობლემაა, უპირველესად, თავდასხმაში და ვეძებთ ხეირიან ფორვარდს. დაკომპლექტებაზე სერიოზულად ვფიქრობთ და იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. ფეხბურთელებს საკმაოდ დიდი პრობლემები აქვთ ტაქტიკური განათლების თვალსაზრისით. ეს თვალშისაცემია.

**- სელექციაზეც ვისაუბროთ, რაც დღეისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა.**

- გეცოდინებათ, რომ რვა ქართველს და შვიდ უკრაინელს ვსინჯავდით. თუმცა უკრაინელების ნაწილი უკვე წავიდა.

**- რა მიზეზით?**

- უკრაინისა და საქართველოს გუნდების ფინანსური მდგომარეობა ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება. ამის გამო ვერ მოვახერხეთ ევგენი კოტოვის დამატება. ის გამოცდილი ფეხბურთელია, დონეცკის „შახტიორსა“ და კრივოი როგის „კრივბასში“ უთამაშია. ალეინიკი, ფედორჩენკო, ვადიაში და სიდორჩუკი კი გავუშვი.

**- გასასინჯებიდან ვინ დატოვეთ?**

- უკრაინელებიდან მხოლოდ სამი დარჩა და ცალსახად მსურს მათთან მუშაობა. ესენი არიან კოლია სტეჩკო, სერგეი პატულა და ანტონ კოვალეცკი. თუკი მათი დამატების საშუალება გამოჩნდება, კლუბებს შევუთანხმდებით და აუცილებლად დავტოვებთ.

**- მათ შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. ვინ სად თამაშობდა?**

- სტეჩკო ბოლოს ლუცკის „ვოლინში“ თამაშობდა, ცენტრალური მცველი პატულა ბელაია ცერკოვის „როსში“, კალავეცკი კი - პოლტავის „ვორსკლაში“.

**- ქართველ ახალწვეულებზეც ვისაუბროთ.**

- აუცილებლად დავტოვებ მეკარე ბექა შეყრილაძეს, აგრეთვე გელა ხუბუას. ნიკა სტეფნაშვილს, თემურ ფარულავას, ლადო ჯოჯუას და ზვიად მეტრეველის შესახებ ჯერ კიდევ ვფიქრობ. თავდამსხმელ ვახტანგ კვარაცხელიას საუკეთესო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, მაგრამ ვიმუშავებთ და იქნებ, რამე გამოგვივიდეს.

**- მოსამზადებელი ეტაპით კმაყოფილი ბრძანდებით?**

- ჯერ ნაადრევია კმაყოფილებაზე საუბარი. სამი საკონტროლო მატჩიდან ორი წავაგეთ. ისე, სერიოზული დატვირთვებით ვვარჯიშობთ და იმედია, ეს შედეგს გამოიღებს.

**- სერიოზული დატვირთვები ქართული საზომით იგულისხმეთ თუ უკრაინულით?**

- რა თქმა უნდა, უკრაინულით.

**- მერე ქართველები ამას როგორ უძლებენ?**

- უჭირთ, მაგრამ ეჩვევიან და ცდილობენ გაუძლონ.

**- სელექციას როდის დაასრულებთ?**

- მხოლოდ „თანამეგობრობის თასის“ შემდეგ.

შემდეგ საკონტროლო შეხვედრას რუსთაველები 14 იანვარს ტერნოპოლის „ნივასთან“ ჩაატარებენ, 15 იანვარს კი - სიმფეროპოლის „ტავრიას“ ხელმეორედ დაუპირისპირდებიან.

„ტავრიას“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე მატჩის მიმოხილვას გავეცანით. თურმე, სიმფეროპოლელებმა „ოლიმპი“ გასასინჯი ფეხბურთელებით დაამარცხეს.

ვებ-გვერდის ინფორმაციით, მასპინძლები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ. „ტავრიას“ მწვრთნელმა მიხეილ ფომენკომ გუნდი ორი შემადგენლობით ათამაშა. მე-40 წუთზე **ბექა შეყრილაძემ** საოცარი რეაქცია გამოავლინა და **დმიტრი ტრუხინის** დარტყმა მოიგერია. სამწუხაროდ, 43-ე წუთზე ის უძლური აღმოჩნდა და **ალექსანდრ როტანმა** ახლო მანძილიდან იმარჯვა - 1:0.

შესვენების შემდეგ „ოლიმპის“ დაცვას დაეძინაო - ასე აღნიშნავს „ტავრიას“ ვებ-გვერდი. 50-ე წუთზე მოლდოველმა **ანატოლი დოროშევმა** ბურთი ძელს მოარტყა, მაგრამ თოთხმეტ წუთში მის მიერ კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს **ზელმიკასმა** ზუსტი მიმართულება მისცა 2:0.

მესამე გოლი „ტავრიამ“ 77-ე წუთზე გაიტანა. მეკარესთან პირისპირ დარჩენილ დოროშევს შეყრილაძემ აჯობა, მაგრამ დამატებაზე **გიორგი ციმაკურიძემ** იმარჯვა - 3:0.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ციმაკურიძე ტავრიაშია

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი **გიორგი ციმაკურიძე** სიმფეროპოლის „ტავრიაში“ ისინჯება. ეს ინფორმაცია გუშინ რუსთავის „ოლიმპისა“ და „ტავრიას“ მატჩის მიმოხილვაში აღმოვაჩინეთ. სიმფეროპოლელთა ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, მას თავის გამოჩენის საშუალება მიეცა. გიორგიმ თავიც გამოიჩინა და მესამე ბურთი თანამემამულეებს მახვილი კუთხიდან დამატებაზე გაუტანა.

გიორგიმ გასული სეზონი ლუგანსკის „ზარიაში“ ჩაატარა, მაგრამ ზამთარში გუნდის დატოვება მოუხდა. შეგახსენებთ, რომ ციმაკურიძის უკრაინული კარიერა დონეცკის „შახტიორიდან“ დაიწყო, ალჩევსკის „სტალში“ გაგრძელდა და რიგით მესამე კლუბი კი შარშან „ზარია“ აღმოჩნდა. დიდი შანსი იყო, ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ დარცენილიყო, მაგრამ გაფორმებული კონტრაქტი გუნდში არსებული გაურკვევლობის გამო გააუქმა.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი ციმაკურიძე



ჩასემი სიონში რჩება?

სავარაუდო ტრანსფერი

# ჩასემის საქმე ჩიხშია

რამდენიმე დღის წინათ **ერიკ რომეო ჩასემის** გაზესტაფონელება თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ამჟამად ეს ტრანსფერი ჩაშლის პირასაა. „სიონი“ და „ზესტაფონი“ კამერუნელი ფორვარდის ფასზე კარგა ხნის წინათ შეთანხმდნენ, მაგრამ თავად ჩასემი ითხოვს შეთავაზებულზე უკეთეს პირად კონტრაქტს. დღეს საქართველოში „ზესტაფონის“ პრეზიდენტი **ილია კოკაია** უნდა ჩამოვიდეს და შესაძლოა, ჩასემთან მან გამონახოს საერთო ენა. თუ არადა, აფრიკელი ფეროელთა ბანაკს დატოვებს. შეგახსენებთ, დღესდღეობით იგი იმერული კლუბის წევრებთან ერთად ბაკურიანულ შეკრებაზეა.

ჩასემი ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება და შესაძლოა, ადგილსამყოფელის შეცვლა ამ სეზონის ბოლოს გადაწყვიტოს. არც ისაა გამორიცხული, კამერუნელმა ახლავე მიაშუროს სხვა კლუბს. ასე მაგალითად, აზერბაიჯანულ „სიმურგს“ ჩასემისა და მისი სიონელი თანამემამულის, **ბოიომო ფრიდოლინის** შეძენა სურს. თუმცა, ჯერ ჩასემისისა და ზესტაფონელების საუბრის დასასრულს უნდა დაველოდოთ...

„სიონი“ კი მეორე წრისთვის მზადებას განაგრძობს. **გიორგი ყიფშიძემ** გუნდი რამდენიმე დღე თბილისში, დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში ავარჯიშა, შემდეგ კი „სიონმა“ ქვემო ქართლში გადაინაცვლა. გუშინ ბოლნისელებმა რატევანში პირველლიგელ „გაგრას“ უმასპინძლეს და 2:1 გაიმარჯვეს. სამივე გოლი მეორე ტაიმში გავიდა, ანგარიში „გაგრამ“ გახსნა **ლალიანის** გოლით, შემდეგ კი ბუბუტეიშვილმა და უმცროსმა **ოქროპირიძემ, მანუჩარმა**, „სიონის“ უპირატესობა ანგარიშში ასახეს.

„სიონის“ სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო:

**ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, სვანიძე, გ. ოქროპირიძე, ბოიომო, რაქვიაშვილი, კვიტაიშვილი, ბაჯელიძე, ბ. ნოზაძე, შ. ჯიქია, ქარდავა.**

შესვენების შემდეგ ყიფშიძემ ყველა ფეხბურთელი შეცვალა და ახალგაზრდები და გასასინჯი მოთამაშეები გამოსცადა. როგორც ხედავთ, ბოლნისელთა შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარეს ახალწვეულებმა, თავდამსხმელმა **შოთა ჯიქიამ** და ნახევარმცველმა **ბექა ნოზაძემ**. მათ გარდა, „სიონმა“ ახალგაზრდა **ზურაბ ავალიანიც** დაიმატა „მერანიდან“. მალე კიდევ რამდენიმე ახალი ფეხბურთელის ვინაობა გახდება ცნობილი. გუნდი დატოვა ნახევარმცველმა **ზაზა ჭელიძემ**, რომელიც „ბათუმში“ იყო განათხოვრებული, ამ დღეებში კი ოდესის „ჩერნომორეცში“ დამკვიდრებას შეეცდება.

17 იანვარს „სიონი“ რატევანში „ამერს“ უმასპინძლებს, 20-ში „ზესტაფონთან“ სპარინგია დაგეგმილი, 26 იანვარს კი „სიონი“ ბოლნისში ზემოთ ნახსენებ „სიმურგს“ დაუხვდება. თვის ბოლოს ბოლნისელებს დედაქალაქურ „მერანთანაც“ სურთ ძალების მოსინჯვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# მხოლოდ სალუქვაძე

„რუბინმა“ თურქული შეკრება გერმანულ „აუესთან“ საკონტროლო მატჩით დაასრულა. ყაზანელები 0:1 დამარცხდნენ. „რუბინის“ ორი ქართველიდან მოედანზე მხოლოდ ერთი, **ლაშა სალუქვაძე** გავიდა, რომელმაც პირველი ტაიმი ითამაშა. **ნუკრი რევიშვილი** საქმეში არ ჩართულა, „რუბინის“ კარს 90 წუთის განმავლობაში „ლოკომოტივიდან“ გადასული რიჟკოვი იცავდა.

www.kazbegi.com

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



# კობიმ ვიქტორია მოიგო

წლეულს თურქულ ბელეკში შეკრებაზე რამდენიმე გერმანული გუნდი ჩავიდა სეზონის მეორე ეტაპისთვის მოსამზადებლად, მათ შორის „შალკე", „ფრაიბურგი" და „კარლ ცაისი", სადაც ქართველი ფეხბურთელები თამაშობენ.

ყველაზე ადრე ბელეკი **ლევან კობიაშვილის** „შალკემ" დატოვა - გელზენკირხენელი „ხუმარები" შინ ხელდამშვენებულნი ჩავიდნენ - ბელეკში პატარა ტურნირი მოიგეს - „ვიქტორიას თასი".

ტურნირის ფინალში „შალკემ" ბრემენის „ვერდერი" დაამარცხა 2:1. გელზენკირხენელები ბრემენელი **ნალდოს** ავტგოლით დანინაურდნენ, მერე **რაფინიას** პენალტით გაზარდეს უპირატესობა, ხოლო „ვერდერისგან" გოლი **ლეონ ანდერსენმა** გაიტანა.

კობიაშვილმა „ვერდერთან" სრულად ითამაშა. პირველ ტაიმში მარცხენა მცველი იყო, მეორეში - საყრდენი ნახევარმცველი. თამაშის შემდეგ კი ფოტო „შალკეს" იმ ქერათმიან გოგონასთან გადაიღო, ვინაც საყვარელ გუნდს ბელეკშიც უქომაგა.

შალკელთა დამრიგებელმა **მირკო სლომკამ** კი ბელეკური შეკრების შემდეგ განაცხადა, ამ სეზონში ჩვენი პროგრამა-მინიმუმი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება იქნებაო. „შალკე" ბუნდესლიგაში ახლა მე-5 ადგილზეა და პროგრამა-მინიმუმისთვის მინიმუმ ორი საფეხურით უნდა აინაცვლოს.

**დავით თავართქილაძე**



ლევან კობიაშვილი (მარცხნივ)

# გოგუამ ნალჩიკში დაბრუნება გოლით აღნიშნა

ნალჩიკის „სპარტაკში" ქართველი ნახევარმცველის, **გოგიტა გოგუას** გადასვლა, ეტყობა, მალე ოფიციალურად გაფორმდება.

გოგიტა ყაბარდოელებს უკვე შეუერთდა. „სპარტაკი" თურქეთში, ანთალიაში ემზადება და საკონტროლო მატჩში ზაპოროჟიეს „მეტალურგს" შეხვდა. თამაში რუსული კლუბის გამარჯვებით, 3:1 დასრულდა. პირველი გოლი კი გოგუამ გაიტანა.

რამენსკოეს „სატურნის" პრეს-ატაშე **არტიომ რებროვმა** ქართველი ნახევარმცველის თავს დატრიალებულ მოვლენებში **ანდრეი ჩერვიჩენკო** დაადანაშაულა. *„გოგუას მომავლის შესახებ ჯერჯერობით, ჩემთვის არაფერია ცნობილი. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მისი ბედი ისევ ანდრეი ჩერვიჩენკოს და კომპანიის ხელშია",* - განაცხადა „სატურნის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ნალჩიკელთა შემადგენლობაში ითამაშა **ალეკო ამისულაშვილმაც**, რომელსაც გუნდთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით აკავშირებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# იმედაშვილი ზაკარპატიეში

სავსებით რეალურად ჩანს, რომ უჟგოროდის „ზაკარპატიემ" მეორე წრეში ქართველი მცველი **დავით იმედაშვილი** დაიმატოს. დათომ გასული წლის მეორე ნახევარი ლატვიის ჩემპიონ „ვენტსპილსში" გაატარა, მაგრამ იჯარის ვადა დაუსრულდა და კიევის „დინამოს" დაუბრუნდა.

23 წლის მცველმა 12 იანვარს კიეველთა დუბლშემადგენლობაში ბელაია ცერკოვის „არსენალთან" საკონტროლო შეხვედრაში მონაწილეობაც მიიღო. როგორც „დინამოს" ოფიციალაური ვებ-გვერდი იუწყება, ქართველი აქტიურობით გამოირჩეოდა.

კიეველების დუბლშემადგენლობა პეტერბურგში გასამართ „თანამეგობრობის თასისთვის" ემზადება, მაგრამ სავარაუდოდ, დათო პეტერბურგის ნაცვლად, უჟგოროდში მოხვდება. საქმე ისაა, რომ ის „ზაკარპატიესთან" ერთად გააგრძელებს მომზადებას. ეს კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ შარანმა** განაცხადა: *„ჩვენ საკონტროლო მატჩებს გავმართავთ და იქ გაირკვევა, გასასინჯად ჩამოსული ფეხბურთელებიდან ვის დავიტოვებთ. მათ გარდა, კიდევ ველოდებით საინტერესო ფეხბურთელებს. მაგალითად, დათო იმედაშვილს, რომელიც კიევის „დინამოს" ეკუთვნის."*



დავით იმედაშვილი

ამასობაში, კიევის „დინამოს' დუბლებში კიდევ ორი ქართველი გამოჩნდა. ორივემ „არსენალთან" ითამაშა. ერთი მათგანი „დინამოს" აკადემიის აღზრდილი **ფარცვანიაა**, რომელმაც დაცვის ცენტრში ითამაშა. მეორეს გვარი კი თავად კიეველთა ოფიციალური ვებ-გვერდის ჟურნალისტებმა ვერ გაარკვიეს, მაგრამ ის კი თქვეს, რომ ქართული ფეხბურთის გაზრდილია. ეს ბიჭი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა.

იმედაშვილმა პირველ ტაიმში ითამაშა, ფარცვანიამ და უცნობმა ქართველმა კი მეორე ტაიმში.

**მერაბ მამულაშვილი**

# რას ფიქრობს ოლეგ პროტასოვი ფიფიასა და კობახიძეზე?

## ქართულ-უკრაინული მეგობრობით დაწყებული მოლაპარაკება

რამდენიმე დღეა დნეპროპეტროვსკის „დნეპრში" ქართველი თავდამსხმელი, **გოგი ფიფია** ისინჯება.

„ზესტაფონის" პრეს-ატაშე **სერგო ფუტკარაძის** თქმით, ფიფიას საკითხზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და შეკრების შემდეგ გადაწყდება, დარჩება ფიფია კლუბში თუ სხვაგან გააგრძელებს კარიერას.

*„დასამალი არაა, რომ კლუბების ხელმძღვანელობას შორის მეგობრული ურთიერთობები არსებობს. გოგი ფიფიას დიდი პოტენციალი გააჩნია და ჩვენთვის ცნობილი იყო მისი სურვილი, რომ კარიერა უცხოეთში გაეგრძელებინა. ამის გამო, კლუბებმა მოილაპარაკეს, რომ ფიფია „დნეპრში' მოემზადება და საკითხი ამის შემდეგ გადაწყდება."* - გვითხრა ფუტკარაძემ.

ჩვენის მხრივ კი დავძენთ, რომ „ზესტაფონის" და „დნეპრის" ხელმძღვანელებს შორის საქმიანი, პარტნიორული ურთიერთობები დიდი ხანია არსებობს. თუ გახსოვთ, „დნეპრი" საქართველოში სტუმრობას ჯერ კიდევ თებერვალში აპირებდა, როდესაც მოსამზადებელი ეტაპი ანთალიაში დაასრულა.

მაშინ ასეთი რამეც გვითხრეს, თითქოს, „ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია „დნეპრის" აქციების გარკვეული ნილის მფლობელია. ფუტკარაძემ ამაზე გვითხრა, რომ მენილე არაა, მაგრამ ძალიან თბილი და მეგობრული ურთიერთობები რომ არსებობს, ეს რა დასამალიაო.

გოგი ფიფიას გარდა, დნეპროპეტროვსკელები კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერზე მუშაობენ. ის თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი, **სანდრო კობახიძეა.**

გუშინ ჩვენ „დნეპრის" მთავარ მწვრთნელს, **ოლეგ პროტასოვს** დავუკავშირდით, რომელთანაც ამ ორ შესაძლო გარიგებაზე ეგვსურდა საუბარი. სამწუხაროდ, „დნეპრის" მთავარი მწვრთნელი დაკავებული აღმოჩნდა და მოკლედ გვიპასუხა.

**- ბატონო ოლეგ, როგორ შეაფასებთ გოგი ფიფიას გუნდში დარჩენის შანსს?**

- ამაზე ნაადრევია საუბარი. ყველაფერი შეკრების შემდეგ გამოჩნდება.

**- პირველი შთაბეჭდილება როგორია?**

- ტექნიკურია, მაგრამ ფიზიკურად მოძლიერება სჭირდება.

**- სანდრო კობახიძის შესახებ რას გვეტყვით?**

- ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია. ვნახოთ, დაველოდოთ და მალე ბევრი რამ გახდება თქვენთვის ცნობილი.

**მერაბ მამულაშვილი**

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

# უკან მოტოვებული ათი დანა და მაგიდა

## გრიშიკაშვილი ათვლას ნულიდან იწყებს



სოსო გრიშიკაშვილი

IYO დრო, **სოსო გრიშიკაშვილი** ეროვნული ნაკრების კარს დარაჯობდა,ახლა კი თბილისი „დინამომ" ის ტრანსფერზე დააყენა.

მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ტრანსფერზე დაყენება კლუბსაც აწყობს და ფეხბურთელსაც.

„ტრანსფერზე რომ გაყენებენ, ეს ხანდახან ცუდი არ არის. ახლანდელ სიტუაციაში გუნდის გამოცვლა მეც მაწყობს" - გვითხრა 34 წლის გრიშიკაშვილმა.

ის ჯერ არ არის თავისუფალი აგენტი და უცნობია, მის მსურველ კლუბს „დინამო" სატრანსფერო თანხის გადახდას დააკისრებს თუ არა. გრიშიკაშვილმა კი გვითხრა, გამორიცხული არაფერიაო. მისგან ისიც შევიტყვეთ, რომ რალაც ვარიანტები უკვე აქვს, თუმცა უკეთესის მოლოდინშია.

„დინამოს" კარს ამ სეზონსი გაბონელი **დიდიე ოვონო** იცავს და სოსოს ვკითხეთ, ნუთუ შეუძლებელი იყო მასთან კონკურენცია.

*„სადაც კი მითამაშია, ყველგან ოვონოზე ძლიერ მეკარეებთან მიწევდა კონკურენცია, მაგრამ სეზონის წინ გერმანიაში შეკრებაზე ტრავმა რომ მივილე, ამან განაპირობა ყველაფერი. შეკრების მეორე ვარჯიშზე მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი ისე დამიზიანდა, საოპერაციო გავხდი. ოპერაცია იქვე, გერმანიაში გამიკეთეს. ტრავმირებულ ადგილას რკინა ჩამისვეს და მითხრეს, სარეაბილიტაციო პერიოდს 6-8 თვე დასჭირდებაო"*

სოსომ ამდენი ვერ მოითმონა და ვარჯიშს ოპერაციიდან ოთხ თვეში შეუდგა, მერე კი „დინამოს" ჩეხ დამრიგებელ **დუშან უპრინთან** უსაუბრია საკუთარ მომავალზე.

*„უპრინმა მითხრა, მჭირდები, მაგრამ უთამაშებელი ხარ და ჯერ კარში ვერ ჩაგაყენებ, თუ ოვონო 3-4 შეცდომას დაუშვებს, მერე შენ მოგეცემა შანსიო. მაგრამ ყველამ კარგად იცის, თუ რა დონის ჩემპიონატი გვაქვს, „დინამოსა" და სხვა გუნდებს შორის ისეთი განსხვავებაა, რომ ოვონოს ზედიზედ 3-4 შეცდომას ვერ დააშვებინებენ".*

ამის შემდეგ გრიშიკაშვილმა „დინამოდან" წასვლა გადაწყვიტა. საქართველოს ჩემპიონატის გარდა მას რუსულ „ალანიაში'' და ორ ლატვიურ გუნდში უთამაშია - „დაუგავა" და „ვენტსპილსი", „დინამოში" კი 1999-2002 წლებში თამაშობდა, სადაც 2005 წლიდან დაბრუნდა.

გრიშიკაშვილი შეიძლება ითქვას, ფატალურად უილბლო ფეხბურთელია - კარიერაში ათი ოპერაცია გაუკეთებია და ამ მაჩვენებლით მას ქართველი ფეხბურთელებიდან მხოლოდ **კახა ცხადაძე** და **შოთა არველაძე** თუ დაეტოლებიან.

და რას ელის სოსოს მეათე ოპერაციის და მეათედ გამოჯანმრთელების შემდეგ?

*„ახლა ისეთი შემართებით ვარ, რომ ყველაფერი ნულიდან უნდა დავიწყო. ასაკი ხელს ვერაფერში შემიშლის, ფორმაში ყოველთვის მალე შევდიოდი და თავს ახლაც მხნედ ვგრძნობ".*

**დავით თავართქილაძე**



გიორგი ონიანი

ინტერვიუ გიორგი ონიანთან

# ჯერ მხოლოდ მეოთხედფინალზე ვფიქრობთ

## ონიანი სურათს დღეს გადაიღებს

**გიორგი ონიანის**, ილია კანდელაკისა და გიორგი სეთურიძის „კარლ ცაისმა" თვრამეტგუნდა მეორე ბუნდესლიგის პირველი წრე მე-17 ადგილით ჩაამთავრა და გუნდის მიზანი, რა თქმა უნდა, ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. მეორე წრისთვის იენელებმა სამზადისი შინ დაიწყეს, გუშინ კი თურქეთში, ანთალიასთან ახლოს ბელეკში დაბინავდნენ და ვარჯიშიც მოასწრეს, რის შემდეგ ონიანს დავურეკეთ და კარლცაისური ამბები გამოვკითხეთ.

- ბელეკში ერთი კვირა გავჩერდებით და სავარაუდოდ ორ საკონტროლო მატჩს ვითამაშებთ - ხვალ „კოტბუსთან" და 17 იანვარს რამენსკოეს „სატურნთან".

**- ბელეკშია ოთარ ხიზანეიშვილის „ფრაიბურგიც" - მასთანაც ხომ არ აპირებთ თამაშს?**

- არა, რადგან „ფრაიბურგი" ხვალ მიდის აქედან და მასთან თამაში ვერ მოესწრება.

**- გიორგ სეთურიძემ სეზონის წინ მიილო მძიმე ტრავმა - ამ დროისთვის რა კონდიციაშია?**

- მას უკვე შეუძლია სრული დატვირთვით ვარჯიში, დღეს ორმხრივ თამაშიც ითამაშა.

**- მოკლედ, „კარლ ცაისის" სამივე ქართველი ჯანზე ხართ...**

- სამწუხაროდ, არა. იენაში ხელოვნურ საფარზე ვივარჯიშეთ და ზედა კუნთი ამტკივდა. დღევანდელ ვარჯიშზეც ამტკივდა ფეხი და გუნდის ექიმმა მითხრა, შესაძლოა, კუნთი იყოს გაწყვეტილიო. ხვალ სურათს გადავილებ და ზუსტ დიაგნოზსაც გავიგებ.

**- „კარლ ცაისის" მეორე გუნდიდან წავიდა რევაზ ბარაბაძე - მისი ასავალ-დასავალი ხომ არ იცი?**

- არა, მეც მხოლოდ ის ვიცი, რომ „კარლ ცაისიდან" მისი წასვლა გადაწყვეტილია.

**- „კარლ ცაისიდან" გაუშვეს მთავარი მწვრთნელიც - რამ განაპირობა ვალდას ივანასკასის დათხოვნა? ფაქტია, როცა ის მოვიდა თქვენთან, „კარლ ცაისმა" არცთუ ცოტა ქულა დააგროვა...**

- თუ რატომ გაუშვეს ივანაუსკასი, ეს ჩვენთვის არავის უთქვამს. სეზონი დაწყებული იყო, მან რომ გუნდი ჩაიბარა და მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ივანაუსკასი სხვის მიერ ჩამოყალიბებულ, სხვის მიერ მოყვანილი ფეხბურთელების გუნდში მოვიდა.

**- „კარლ ცაისის" ახალ მწვრთნელ ჰენინგ ბიურგერზე რას იტყოდი?**

- ის ახალგაზრდა სპეციალისტია, 38 წლის, ჯერჯერობით ყველასთან მხიარული და მეგობრული დამოკიდებულება აქვს, იენელია და კლუბის ხელმძღვანელობას მისი იმედი აქვს. დანარჩენი კი მერე გამოჩნდება.

**- ახალი ფეხბურთელებით თუ გაძლიერდა „კარლ ცაისი"?**

- დავიმატეთ ბელარუსი მეკარე, სერბი ნახევარმცველი სიმფეროპოლის „ტავრიიდან" და ფორვარდი „კოტბუსიდან". ჩვენთან იაპონელი ფეხბურთელიც ჩამოვიდა, თუმცა მისი აყვანა გადაწყვეტილი არ არის - ის გასინჯვაზეა.

**- ალბათ ძალიან გაგიჭირდებათ მეორე ბუნდესლიგაში დარჩენა...**

- მეორე ბუნდესლიგის განახლებამდე გერმანიის თასის მერვედფინალში შინ ბილეფელდის „არმინიას" ვხვდებით და მაგარ ბრძოლას გავუმართავთ.

**დავით თავართქილაძე**

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.



დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**

www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge





ზურაბ ხიზანიშვილმა 15 წუთი ითამაშა

## ხიზანიშვილი იღბლიანად შევიდა

ინგლისის თასზე „ქოვენთრი სიტისთან" მატჩში ცუდი თამაშის მიუხედავად უელსელმა მწვრთნელმა **მარკ ჰიუზმა ზურაბ ხიზანიშვილს** თავის გამოჩენის შანსი პრემიერლიგის მატჩშიც მისცა. ლანკაშირულ დერბიში „ბლექბერნმა" სტუმრად 2:1 დაამარცხა „ბოლტონი". ხიზანიშვილი 73-ე წუთზე ჩაერთო თამაშში **ანდრე ოიერის** ნაცვლად. „ბლექბერნს" მატჩის ბოლო წუთზე **ჯეისონ რობერტსმა** მოაგებინა. „ბლექბერნმა" 36 ქულით მერვე ადგილზე გადაინაცვლა. ხიზანიშვილმა ამ სეზონში პრემიერლიგის მეხუთე მატჩში მიიღო მონაწილეობა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## ნიტაიშვილის ხელახალი დებიუტი

კვიპროსის ჩემპიონატის მე-16 ტურში ნაიბორძიკა უპირობო ლიდერმა ფამაგუსტის „ანორთოსისმა", რომელსაც ქართველი **თემურ ქეცბაია** წვრთნის, თუმცა ამით ვერ ისარგებლა კონკურენტმა აპოელ-მა და ლიდერთან ჩამორჩენა ცხრა ქულა დატოვა. „ანორთოსისი" „აპოლონს" იღებდა. „ანორთოსისის" და „აპოლონის" მატჩში პირველად გამოჩნდა მასპინძელთა ახალწვეული **კლიმენტი ნიტაიშვილი,** რომელიც მე-80 წუთზე შეუშვა ქეცბაიამ თავდასხმის გასაძლიერებლად. „აპოლონის" რიგებში 63-ე წუთზე გამოჩნდა **ლევან მაღრაძე**. მატჩის ბოლოს სტუმრები ათნი დარჩნენ, თუმცა ქეცბაიას გუნდმა მეტოქის გატეხვა ვერ შეძლო - 1:1. „ანორთოსისი" 38 ქულით პირველია, აპოელ-ს 29 ქულა აქვს, „აპოლონს" - 26. **ლევან ქებაძის** „ახნასმა" სტურად 1:0 მოუგო აუტსაიდერ „არისს". ქებაძემ 90 წუთი ითამაშა. „ახნასს" 19 ქულა აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



## დემეტრაძე არსენალში ემზადება

**გიორგი დემეტრაძე** კიევის „არსენალთან" ერთად თურქეთში მოემზადება. „მეთოფეები" ორი დღის წინათ გაემგზავრნენ ანთალიაში. პირველ ეტაპზე კიეველთა მწვრთნელი **ალექსანდრ ზავაროვი** მოთამაშეთა ფიზიკური კონდინციების გაუმჯობესებას გეგმავს. გუნდი საკონტროლო მატჩებს მხოლოდ მეორე შეკრებაზე, 2 თებერვლის შემდეგ გამართავს.

ნინასწარი ინფორმაციებიდან ბევრმა დაასკვნა, რომ საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი „არსენალიდან" მიდიოდა. უკრაინული „სპორტ-ექსპრესის" სატრანსფერო ცხრილშიც ასე იყო მითითებული, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ძველებურად დარჩა. კონტრაქტის დასრულებამდე გიორგი გუნდის შეცვლას, ეტყობა, არ აპირებს.

მერაბ მამულაშვილი

## აზერებმა ცხადაძეზე ადამიასაც ჰკითხეს

როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ ბაქოს "ნეფთჩიდან" მთავარი მწვრთნელი ჩეხი ვლასტიმილ პეტრჟელა დაითხოვეს და მის ნაცვლად უკრაინელი ანატოლი დემიანენკო დანიშნეს. ბაქოური კლუბის ქართველი თავდამსხმელის, გიორგი ადამიას კომენტარი კლუბში ახალი დამრიგებლის მისვლასთან დაკავშირებით უკვე შემოგთავაზეთ. ამჯერად კი ქართველი ფეხბურთელის იმ ინტერვიუს გაგაცნობთ, რომელიც მას აზერბაიჯანული ფეხბურთის მიმომხილველმა ვებგვერდმა გაავრცელა. ჟურნალისტმა საუბარი იმავე თემით დაიწყო, რომელზეც ადამიამ წინა დღეს ისაუბრა.



კახა ცხადაძე

**- როგორ ფიქრობთ, შუა სეზონში მწვრთნელის შეცვლა კლუბზე ცუდად ხომ არ იმოქმედებს?**

- გეთანხმებით, სიახლესთან შეგუება ადვილი თითქმის არასოდეს არაა. ყველა მთავარ მწვრთნელს ხომ თავისი ტაქტიკა და თამაშის თავისებური ხედვა აქვს. მაგრამ ამაზე წუწუნი არ გვარგებს. მაქსიმუმის გასაკეთებლად ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ.

**- პეტრჟელას მწვრთნელობისას ძირითად შემადგენლობაში ყოველთვის ვერ ხვდებოდით...**

- ტრავმა მქონდა და ჩვეულ ფორმაში ჩასადგომად საკმაო დრო დამჭირდა. იმედია, მეორე წრეში უფრო მეტი თამაში მომიწევს.

**- "ნეფთჩის" ხელმძღვანელობა ახალი მწვრთნელისგან ჩემპიონობას ითხოვს. შეძლებს დემიანენკო ამ მიზნის მიღწევას?**

- იმედია, შეძლებს. პირადად მე, ჩემის მხრივ, ცდას არ დავაკლებ, ამაში დავეხმარო.

**- თქვენ უკვე მოასწარით ახალ მწვრთნელთან გასაუბრება. საინტერესოა, რა გითხრათ პირველ ვარჯიშზე?**

- უბრალოდ, ერთმანეთი გავიცანით. სასაუბროდ კი მომავალშიც ბევრი დრო გვექნება.

**- დემიანენკოს დანიშვნის პარალელურად, ბაქოს "სტანდარდის" თავკაცად თქვენი თანამემამულე კახა ცხადაძე დაამტკიცეს...**

- ამ ინფორმაციამ ძალიან გამახარა. მე და კახა ბაქოში ერთად ჩამოვფრინდით და გზაში ძალიან ბევრიც ვილაპარაკეთ. ოღონდ, ფეხბურთის გარდა ყველაფერზე.

**- როგორ ფიქრობთ, რას შეჰმატებს ცხადაძე აზერბაიჯანულ ფეხბურთს?**

- ბევრ კარგ რამეს. იგი ძლიერი ფეხბურთელი იყო და კარგი მწვრთნელიც გახდება. "სტანდარდის" ფეხბურთელებისთვის საინტერესო იქნება კახას ზედამხედველობის ქვეშ მუშაობა. მის ხელში თანამედროვე ფეხბურთის თამაშს დაიწყებენ.

მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

### ბერაიამ ყარაბახი დატოვა

აზერბაიჯანელ ლტოლვილთა გუნდში „ყარაბახში" ორი წელი ქართველი ძმები, **ირაკლი და გიგა ბერაიები** თამაშობდნენ. გუშინ „აზერისპორტმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ირაკლიმ გუნდი დატოვა და კარიერას არანაკლებ ცნობილ კლუბ „თურანში" გააგრძელებს.

ირაკლი ბერაია უკვე „თურანში" ემზადება და ერთწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

### ქართველი ფუტზალელები ბაქოში

15-დან 18 იანვრის ჩათვლით, აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო ფუტზალში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, სადაც საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს.

ჩვენი გუნდის თამაშების განრიგი ასეთია:

15 იანვარი: **საქართველო-ყაზახეთი**
16 იანვარი: **საქართველო-აზერბაიჯანი**
18 იანვარი: **საქართველო-ირანი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

იტალია. სერია A. XVIII ტური

# ჩამოართვით ერთმანეთს ხელი!

## ლაციო: დელიო როსის წყალი შეუდგა. რონალდოს ბრწყინვალე დაბრუნება და პატოს გოლიანი დებიუტი



რონალდო და პატო

სამკვირიანი პაუზა მორჩა და შაბათს სერია A-ც განახლდა. ეტყობა, არდადეგებმა “იუვენტუსი” რიტმიდან ამოაგდო. **კლაუდიო რანიერის** ბიჭებმა სიცილიურ წვიმაში მეტად საშური 2 ქულა დაკარგეს. 1964 წლის სექტემბრის მერე, “კატანია” ტურინულ გრანდს უმაღლეს დონეზე პირველად მასპინძლობდა. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ის ბოლო თამაში “სინიორამ” 2:0 მოიგო. ამჯერად, ასე არ გამოვიდა. სხვათა შორის, რანიერისთვის მატჩი განსაკუთრებული იყო. ჯერ ერთი, რომ ფეხბურთელობის ჟამს “კატანიის” ღირსებას ორი სეზონის განმავლობაში იცავდა, და მეორეც: 1983 წელს ეს გუნდი სერია A-ში გადაიყვანა. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ისაა, რომ სიცილიელთა რიგებში რანიერიმ ბოლო მატჩი სწორედ “იუვეს” წინააღმდეგ ჩაატარა...

დავანებოთ თავი ისტორიას და აწმყოს დაუბრუნდეთ. მოკლედ, იმას ვამბობდით, რომ “ქალბატონმა” 2008 წლის სტარტი ჩააგდო. თუმც შეიძლებოდა, უარესიც ყოფილიყო, რომ არა **დელ პიერო**. კაპიტანი პირველიდან ბოლო წუთამდე გამოირჩეოდა, მთლად საფინალო სასტვენის წინ კი, პენალტიც თავად მოიპოვა და მეკარე **პოლიტოსაც** კოხტად “აჭამა”. ეს იყო და ეს, მთელი შეხვედრის განმავლობაში ტურინელებს თავი დიდად არაფრით გამოუჩენიათ. ერთადერთი, ის თუ შეიძლება ალვნიშნოთ, რომ **ტიაგოს** ნაცვლად მეორე ნახევარში გამოსულმა **მარკიონიმ** თამაში საგრძნობლად გამოაცოცხლა, მაგრამ... მხოლოდ გამოაცოცხლა. მასპინძლებს კი რამდენიმე სახეირო მომენტი ჰქონდათ. რაც შეეხება გოლს, რომელიც **სპინეზიმ მასკარას** პასით მე-16 წუთზე შეაგდო, თამაშგარეს წაავადა, მაგრამ გოლის ავტორის საშემსრულებლო დონემ, ეტყობა, არბიტრსაც და ლაინსმენსაც თვალები დაუბნელა...

მანამდე კი “ემპოლი”-“რეჯინა” იყო. სტუმართა მწვრთნელ **რენცო ულივიერის** “კარლო კასტელანის” მცირერიცხოვანი აუდიტორია ტაშით შეხვდა. სერია A-ს ყველაზე მხცოვან (66) სპეციალისტს “ემპოლი” 70-ან წლებში გაუწვრთნია. ულივიერიმ, რომელმაც რამდენიმე დღის წინ გუნდიდან ვეტერანი **ამორუზო** გააგდო, შინაური გარემოდან მეტად საჭირო ქულა წამოილო. ორივე გოლი მატჩის პირველ ხუთ წუთში გავიდა და ეგებ, პუბლიკას იმედი გაუჩნდა, რომ შეხვედრა შარშანდელივით უხვგოლიანი (3:3) გამოვიდოდა. პრინციპში, შეიძლებოდა გამოსულიყო კიდეც, მაგრამ **საუდატიმ**, რომელმაც პირველი პენალტი (ისევე, როგორც მეორე, ისიც გამოცდილი **ჩირილოს** სინდისზე იყო) კარგად შეასრულა, მეორედ **კამპანიოლოს** ველარ აჯობა. თამაშის მიწურულს, “ემპოლი” მესამე 11-მეტრიანსაც ითხოვდა, **ტონიოცის** მხრიდან ხელით თამაშისთვის, მაგრამ არბიტრმა თამაშის გაგრძელება ბრძანა. ბარემ აქვე ალვნიშნოთ, რომ ახალი წელი კალჩომ სიახლით დაიწყო. ამ ტურიდან მოყოლებული, იტალიაში ოფიციალურად დამკვიდრდა ეგრეთწოდებული “მესამე ტაიმი”, როცა საფინალო სასტვენის შემდეგ (როგორც მატჩის დაწყების წინ) ფეხბურთელები ვალდებულნი არიან, მოედნის ცენტრში ჩამწკრივდნენ და ერთმანეთს ხელი ჩამოართვან...

კვირას, ნაშუადღევს გამართული შვიდი მატჩიდან 6 სტუმრების გამარჯვებით დასრულდა, რაც სერია A-სთვის უიშვიათესი შემთხვევაა. “ინტერმა” სიენაში გაიმარჯვა და სკუდეტოსკენ სვლას დამაჯერებლად აგრძელებს. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა აპლოდისმენტები დამარცხებულსაც ეკუთვნის. მას შემდეგ, რაც **იბრაჰიმოვიჩმა** მეტად საეჭვო პენალტით გახსნა ანგარიში, ტოსკანელები შეტევაზე გადავიდნენ და ხუთიოდ წუთში **კორდობამ მაკარონეს** ხელი ვერ შეუშალა - 1:1. “ინტერისთვის” უაღრესად საჭირო იყო გოლი, რომელიც **კამბიასომ** პირველი ტაიმის მიწურულს გაიტანა. ეს გოლი იბრას დამსახურებაც იყო და მასპინძელ მცველთა უხეირობისაც. მეორე ტაიმი სიენელთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ საკმარისი იყო მორიგი წამიერი მოდუნება, რომ ზლატანმა საჯარიმოს ხაზიდან ბურთი შორეულ კუთხეში ჩასვა - 1:3. ორბურთიან დეფიციტს თითქოს საბოლოოდ უნდა გაეტეხა **მარიო ბერეტას** გუნდი, მაგრამ არა, “სიენამ” ბოლომდე იბრძოლა. ეგ იყო, რომ **ფორესტიერის** გოლმა დააგვიანა. მანამდე, **ჟულიო სეზარს** უამრავი სამუშაო ჰქონდა. ჩინებული შანსები გაანიავეს **კოდრეამ, გალოპამ** და იმავე მაკარონემ. ამას გარდა, არბიტრს პენალტის დანიშვნა მართებდა იმ ეპიზოდში, როცა **პელემ** საჯარიმოში **ლოკატელი** “გადათელა”... ასე იყო თუ ისე, კლასმა მაინც თავის გაიტანა და “ნერაძური” “რომასთან” 7-ქულიან ჰანდიკაპს ინარჩუნებს.

“რომამ” კი მეტად რთული გასვლა მოიგო ბერგამოში, სადაც თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ. პირველი ნახევრის დიდი ნაწილი “ატალანტასი” იყო. **ლუიჯი დელ ნერის** რევანში სწყუროდა გუნდზე, რომელსაც სამი წლის წინ ედგა სათავეში. მაგრამ 39-ე წუთზე **ტოტიმ** 22 მეტრიდან ეფექტურად დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა, ცოტა ხანში კი **მანსინიმ** დერეფანი დაიგულა, საჯარიმოში შეიჭრა და **კოპოლა** უსაქმოდ დატოვა. მეორე ტაიმში, ოფსაიდის მოტივით, **პეროტას** ნალდი გოლი არ ჩაუთვალეს. არადა, ატალანტელი **ბელინი** რომაელზე წინ იყო, რაც ლაინსმენმა ვერ შენიშნა. “ჯალოროსის” რომ არ მოეგო, ალბათ, ეს ეპიზოდი სერიოზული სკანდალის მიზეზი გახდებოდა.

“ლაციომ” საშინაო შეხვედრა წააგო “ჯენოასთან” და გასავარდნ ზონას 4-ქულიან დისტანციაზე მიუახლოვდა. “ბიანკოჩელესტე” აბსოლუტურად მოშლილი იყო: არც ერთი საგოლე მომენტი მეტოქის კართან! რაც შეეხება **მაურის** გოლს, ისიც გენუელთა მეკარე **რუბინიოს** ნაჩუქარი გახლდათ. “ჯენოას” სათამაშო უპირატესობა მეორე ნახევრის დასაწყისში, **ბორიელოს** დუბლით, მატერიალურშიც გარდაისახა - 1:2. “ულტრასები” და “ლაციოს” პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** მარცხმა უკიდურესად ალაშფოთა. ნამატჩევს რომაელთა თავკაცი **დელიო როსი** პრესკონფერენციაზეც არ მიბრძანებულა. გაირკვა, რომ ამ დროს ის და ლოტიტო გასახდელში იყვნენ ჩაკეტილები და ხმამაღლა საუბრობდნენ. მიმომხილველები ასკვნიან, რომ როსის რომაული დღეები (შეიძლება, საათებიც) დათვლილია.

ეტყობა, პალერმოელები დღესასწაულებმა გადაიყოლა. გენუაში ისინი სრულიად დემორალიზებულნი იყვნენ. ასეთი “პალერმო” ამ ჩემპიონატში მხოლოდ “იუვესთან” წაგების (0:5) დროს გვახსოვს. მაშინ, ამ მარცხს **სტეფანო კოლანტუონო** შეეწირა. ამჯერად, **ფრანჩესკო გვიდოლინს** ანალოგიური ხვედრი არ ემუქრება, თუმც პრეზიდენტ **მაურიციო ძამპარინისგან** სასტიკ საყვედურს რომ მიიღებს, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. საერთო ჯამში კი მატჩი შეიძლება **კასანოს** შოუდ მოვნათლოთ. “სამპის” ფორვარდმა, რომელიც დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველ მატჩს ატარებდა, გარდა იმისა, რომ თამაშს წერტილი დაუსვა, უშუალო მონაწილეობა მიიღო **ბელუჩისა** და **სამარკოს** გოლებშიც, პლუს ამას, არაერთ ეპიზოდში გაუმართა ხელი პარტნიორებს, რომლებაც რეალური მომენტები გააფუჭეს.

“ფიორენტინამ”, **მუტუს** დუბლითა და ზოგადად ბრწყინვალე თამაშის წყალობით, პარმაში მნიშვნელოვანი 3 ქულა აილო. მასპინძელთა მწვრთნელი **მიმო დი კარლო** ნამატჩევს წუხდა - წაგებას არ ვიმსახურებდითო. სხვათა შორის, მას “ფიოს” თავკაცმა **ჩეზარე პრანდელიმაც** დაუკრა კვერი - ფრე სამართლიანი შედეგი იქნებოდაო.

სტუმრების გამარჯვებით დასრულდა კიდევ ორი მატჩი. “უდინეზემ” კალიარიში შესანიშნავად მოთამაშე **კვალიარელას** გოლით გაიმარჯვა, თუმცა მატჩის დასაწყისში მასპინძლებს ორი ასპროცენტიანი შანსიდან ერთიც გამოეყენებინათ, თამაში სხვა სცენარით წარიმართებოდა. **ტავანოს** დუბლით “ლივორნომ” პირველივე ტაიმში მოუთავა საქმე “ტორინოს”, რომელმაც ერთი გოლი შეცვლაზე შესული **ბოტონეს** ხარჯზე გაქვითა.

როგორც იქნა, კვირის ბოლო მატჩში “მილანმა” სეზონში პირველი საშინაო გამარჯვება მოიპოვა და თან რა გამარჯვება. “როსონერიმ” “ნაპოლი” დაანგრია - 5:2. ტრავმის შემდეგ დაბრუნება **რონალდომ** დუბლით აღნიშნა. ამასთან, დებიუტი ჰქონდა ბრაზილიელ ვუნდერკინდ **პატოს**, რომელმაც სიტყვა შეასრულა და ეს ამბავი გოლით “დაასველა”.

### მომდევნო ტური

**19 იანვარი. ჯენოა-ატალანტა, ფიორენტინა-ტორინო. 20 იანვარი. იუვენტუსი-სამპდორია, ლივორნო-ემპოლი, ნაპოლი-ლაციო, პალერმო-სიენა, რეჯინა-კალიარი, რომა-კატანია, უდინეზე-მილანი, ინტერი-პარმა.**

### ემპოლი-რეჯინა 1:1

**ემპოლი:** ბალი-5.5, რაჯი-7, ვანილი-6 (56. აბატე-7), მარძორატი-6.5, ანტონინი-6, ბუშე-6.5, მარიანინი-5.5, ჯაკომაცი-5.5 (67. ტოსტო-6), ჯოვინკო-6 (73. პოცი-5), ვანუკი-6, საუდატი-6.

**რეჯინა:** კამპანიოლო-6.5, ლანძარო-5.5, ვალდესი-5.5, ჩირილო-4.5, ვიჯანი-6, კაშონე-5.5 (72. ტონიოცი-6), ბარეტო-5.5, კოცა-7, მოდესტო-6, მესიროლი-7, ჩერავოლო-6.5 (60. სტუანი-6).

**გოლები:** 0:1 ჩერავოლო (2), 1:1 საუდატი (5-პენ)

*მე-16 წუთზე საუდატიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 23-24; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 19-5 (11-4); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 5 000

### კატანია-იუვენტუსი 1:1

**კატანია:** პოლიტო-5.5, სილვესტრი-5.5, ტერლიცი-6, სტოვინი-7, ხ. ვარგასი-5.5, ედუსეი-5.5, იცკო-6.5, ბიაჯანტი-6, კოლუჩი-6 (67. მარტინესი-5), მასკარა-7, სპინეზი-6 (88. ჯაკ. ტედესკო-შ.გ).

**იუვენტუსი:** ბუფონი-6, სალიჰამიჯიჩი-6 (81. იაკუინტა-შ.გ), ლეგროტალიე-7, კიელინი-6, მოლინარო-6, ნოჩერინო-5.5, კ. ძანეტი-6, ნედვედი-6 (75. პალადინო-5.5), ტიაგო-5 (46. მარკიონი-6.5), დელ პიერო-7, ტრეზეგე-5.

**გოლები:** 1:0 სპინეზი (16), 1:1 დელ პიერო (90-პენ)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 15-23; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 8-18 (6-6); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 20 000

### სიენა-ინტერი 2:3

**სიენა:** მანინგერი-6, პორტანოვა-5.5, დე ჩელიე-6, ბერტოტო-6, ლორია-6, კოდრეა-5.5 (77. ფორესტიერი-6.5), ვერგასოლა-6, გალოპა-6.5, ფრიკი-5 (49. კორვია-5), ლოკატელი-6.5 (84. ალბერტო-შ.გ), მაკარონე-6.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-7, კორდობა-6, მაქსველი-6 (83. ბურდისო-შ.გ), მაიკონი-6 (46. სტანკოვიჩი-5.5), კივუ-6, მატერაცი-6, კამბიასო-7, ხიმენესი-6 (73. პელე-შ.გ), ხ. ძანეტი-6.5, იბრაჰიმოვიჩი-7, კრუსი-6.

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (26-პენ), 1:1 მაკარონე (31), 1:2 კამბიასო (45), 1:3 იბრაჰიმოვიჩი (52), 2:3 ფორესტიერი (90)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 18-13 (8-9); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 14 755

### ატალანტა-რომა 1:2

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-5.5, კაროციერი-6.5, ბელინი-6, ბელერი-5.5, კაპელი-6, დე აშენტისი-5.5 (46. მუსლიმოვიჩი-6), ტისონე-6, პინტუ-6, ლანჯელა-5.5 (66. პადოინი-6), გუარენტე-5.5 (77. დეფენდი-შ.გ), ფლოკარი-5.5.

**რომა:** ა. დონი-6.5, მექსე-5.5, ტონეტო-6, პანუჩი-6, ჟუანი-5.5, პეროტა-6.5 (84. ბრიგი-შ.გ), პისარო-6 (90. აკვილანი-შ.გ), დე როსი-5.5, ტადეი-6.5, მანსინი-6.5 (88. სისინიო-შ.გ), ტოტი-6.

**გოლები:** 1:0 პინტუ (17), 1:1 ტოტი (39), 1:2 მანსინი (45)

**გაფრთხილება:** 3-5; **კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 18-18; **თამაშგარე:** 1-8; **კარში დარტყმა:** 17-17 (10-9); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 12 000

### პარმა-ფიორენტინა 1:2

**პარმა:** ბუჩი-6, პაჩი-6, კასტელინი-6 (54. გასბარონი-6.5), დ. ძენონი-6, კოლი-7, ფალკონე-შ.გ (10. ფერნანდო კოუტუ-6), ჩიგარინი-6.5, მორონე-6, პიზანუ-6.5 (69. მარიგა-6), რეჯინალდო-6.5, კორადი-6.

**ფიორენტინა:** ფრეი-6.5, გამბერინი-6, პასკუალი-6.5, უიფალუში-6.5, კროლდრუპი-6, სანტანა-7, ლივერანი-6 (62. იორგენსენი-6), მონტოლივო-6.5 (68. გობი-6), დონადელი-6.5, ვიერი-6.5, მუტუ-8 (90. კუჟმანოვიჩი-შ.გ).

**გოლები:** 0:1 მუტუ (44), 1:1 კოლი (70), 1:2 მუტუ (86-პენ)

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 10-20; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 18-18 (11-12); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 15 162

### კალიარი-უდინეზე 0:1

**კალიარი:** სტორარი-6, ბისერა-5, აგოსტინი-4.5, ლოპესი-5, ბიანკო-6, ფოჯა-5, კონტი-6, პაროლა-5 (46. აკვაფრესკა-6), ბიონდინი-5.5 (71. ფინი-5.5), ჟედა-6, მატრი-5.5 (61. ლარივეი-5.5).

**უდინეზე:** ჰანდანოვიჩი-7, ფელიპე-5, ლუკოვიჩი-6.5, დოსენა-6.5, საპატა-7, ინლერი-7, გ. დ'აგოსტინო-6.5, მესტო-6, პეპე-7 (54. კოდა-6.5), კვალიარელა-7.5, დი ნატალე-7 (84. ფლორო ფლორესი-შ.გ).

**გოლები:** 0:1 კვალიარელა (33)

**გაძევება:** ფელიპე (29. უდინეზე), ლარივეი (89. კალიარი)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 10-6; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 15-18 (13-7); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 6 500

### სამპდორია-პალერმო 3:0

**სამპდორია:** კასტელაცი-6, აკარდი-6 (80. სალა-შ.გ), გასტალდელო-6, მაჯო-6, კამპანიარო-6.5, სამარკო-7, დ. ფრანჩესკინი-6.5, პიერი-6 (86. პიერი-შ.გ), პალომბო-6, კასანო-8 (82. ბონაცოლი-შ.გ), ბელუჩი-7.

**პალერმო:** ა. ფონტანა-5.5, ბიავა-4.5, კაპუანო-5, ძაკარდო-5, ბარძალი-5, მილიაჩო-5 (65. ბრეშანო-შ.გ), გუანა-5, სიმპლისიუ-შ.გ, კავანი-5 (65. ბრიენცა-შ.გ), ამაური-5, მიკოლი-5.5.

**გოლები:** 1:0 ბელუჩი (20), 2:0 სამარკო (45), 3:0 კასანო (77)

**გაფრთხილება:** 0-4; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 15-12 (9-8); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 22 000

### ლაციო-ჯენოა 1:2

**ლაციო:** ბალოტა-6.5, კრიბარი-5, ძაური-4.5, სტენდარდო-5.5, სკალონი-5 (69. დელ ნერო-5), მაური-5.5, ბეჰრამი-6.5 (90. კოლაროვი-შ.გ), ბარონიო-4, მუტარელი-5.5, პანდევი-5.5, როკი-5 (41. ტარე-6).

**ჯენოა:** რუბინიო-5, დე როზა-6.5, ბოვო-6.5, კრიშიტო-6.5, მილანეტო-7.5 (87. მაზიელო-შ.გ), იურიჩი-7, მ. როსი-6.5, კონკო-6, ლეონი-7.5 (68. პარო-6), ბორიელო-8, სკული-6 (59. გლეისონი-6.5).

**გოლები:** 1:0 მაური (23), 1:1 ბორიელო (52-პენ), 1:2 ბორიელო (55)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 13-12 (9-8); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 15 000

### ტორინო-ლივორნო 1:2

**ტორინო:** სერენი-6, ნატალი-6, ლანა-5.5, კომოტო-5.5, დელაფიორე-5, კორინი-6 (50. ლაზეტიჩი-5.5), პ. ძანეტი-6.5 (38. ბოტონე-6), ბარონე-5, რეკობა-6.5, ბელანოვიჩი-5 (72. ოგურო-შ.გ), დი მიკელე-4.

**ლივორნო:** ამელია-7, კნეჟევიჩი-6, გალანტე-6.5, პასკუალე-6, ბალერი-6.5, გრანდონი-6, ბერგვოლდი-შ.გ (17. ჯანიკედა-შ.გ/39. ე. ფილიპინი-6), დე ვეცე-7, ვიდიგალი-6.5, ტავანო-8, დიეგო ტრისტანი-7 (90. ბოგდანი-შ.გ).

**გოლები:** 0:1 ტავანო (21), 0:2 ტავანო (45), 1:2 ბოტონე (78)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 22-18; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 21-9 (12-6); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 11 000

### მილანი-ნაპოლი 5:2

**მილანი:** დიდა-6, ბონერა-6, ნესტა-6, მალდინი-6 (46. ფავალი-6.5), კალაძე-5.5, ამბროზინი-6, ზეედორფი-7, პირლო-6.5 (80. გურკუფი-შ.გ), კაკა-6.5, პატო-8, რონალდო-8 (69. ემერსონი-6).

**ნაპოლი:** იეცო-6, კუპი-5.5, კანავარო-5, დომიცი-4.5, დარიში-6, გარგანო-6, ჰამსიკი-6.5 (78. დალა ბონა-შ.გ), ბოლიაჩინო-5.5 (60. მონტერვინო-5), სავინი-4.5 (71. კაპარელა-შ.გ), ლავეცი-6, სოსა-6.5.

**გოლები:** 1:0 რონალდო (15), 1:1 სოსა (28), 2:1 ზეედორფი (31), 2:2 დომიცი (38-პენ), 3:2 რონალდო (46), 4:2 კაკა (68), 5:2 პატო (74)

**გაძევება:** გარგანო (89. ნაპოლი)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 23-19; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 18-9 (14-4); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 70 076

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 18 | 14 | 4 | 0 | 40-11 | 46 |
| 2. რომა | 18 | 11 | 6 | 1 | 35-19 | 39 |
| 3. იუვენტუსი | 18 | 10 | 6 | 2 | 36-16 | 36 |
| 4. უდინეზე | 18 | 9 | 5 | 4 | 23-21 | 32 |
| 5. ფიორენტინა | 18 | 8 | 7 | 3 | 28-17 | 31 |
| 6. პალერმო | 18 | 6 | 7 | 5 | 25-30 | 25 |
| 7. სამპდორია | 18 | 7 | 3 | 8 | 25-24 | 24 |
| 8. ნაპოლი | 18 | 6 | 5 | 7 | 27-27 | 23 |
| 9. ატალანტა | 17 | 5 | 7 | 5 | 24-23 | 22 |
| 10. კატანია | 18 | 5 | 7 | 6 | 18-20 | 22 |
| 11. ჯენოა | 18 | 5 | 7 | 6 | 18-24 | 22 |
| 12. მილანი | 15 | 5 | 6 | 4 | 26-14 | 21 |
| 13. პარმა | 18 | 4 | 6 | 8 | 20-26 | 18 |
| 14. ლივორნო | 17 | 4 | 6 | 7 | 21-28 | 18 |
| 15. ლაციო | 18 | 4 | 6 | 8 | 20-27 | 18 |
| 16. ტორინო | 18 | 2 | 11 | 5 | 16-22 | 17 |
| 17. ემპოლი | 18 | 3 | 7 | 8 | 15-25 | 16 |
| 18. სიენა | 18 | 2 | 8 | 8 | 19-28 | 14 |
| 19. რეჯინა | 17 | 2 | 8 | 7 | 13-26 | 14 |
| 20. კალიარი | 18 | 2 | 4 | 12 | 13-34 | 10 |

**ბომბარდირები:** 13 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 11 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა); 10 - ბორიელო (ჯენოა), კრუსი (ინტერი), ტოტი (რომა); 9 - ბელუჩი (სამპდორია); 8 - კაკა (მილანი), ტავანო (ლივორნო); 7 - ამაური (პალერმო), დელ პიერო (იუვენტუსი), დი ნატალე (უდინეზე), კ. დონი (ატალანტა), პანდევი (ლაციო), კვალიარელა (უდინეზე), სალაიეტა (ნაპოლი).

## სერია B

XX ტური

**ასკოლი-მოდენა 1:1**

გოლები: 1:0 პერული (60), 1:1 ოკაკა-ჩუკა (79)

**აველინო-ბარი 3:2**

გოლები: 1:0 კენეშეი (11), 1:1 კავალი (26), 1:2 ანტონელი (41), 2:2 პელიკორი (52), 3:2 პელიკორი (85-პენ)

**პიაჩენცა-ჩეზენა 0:0**

**ბოლონია-მანტოვა 3:0**

გოლები: 1:0 მარაცინა (16), 2:0 მარაცინა (58), 3:0 მარაცინა (71)

**ფროზინონე-ბრეშა 0:0**

**კიევო-გროსეტო 2:0**

გოლები: 1:0 მანდელი (29), 2:0 პელისიერი (81)

**ლეჩე-მესინა 0:0**

**სპეცია-პიზა 1:4**

გოლები: 0:1 კასტილიო (5-პენ), 0:2 კუტუზოვი (20), 1:2 გუიდეტი (40), 1:3 კუტუზოვი (60), 1:4 ჟულიანო (86)

გაძევება: კამორანი (44. სპეცია)

**რავენა-ვიჩენცა 0:1**

გოლი: 0:1 ძამპანია (25)

**რიმინი-ალბინოლეფე 0:0**

**ტრევიზო-ტრიესტინა 2:0**

გოლები: 1:0 ბარეტო (11), 2:0 პიოვაკარი (82)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოლონია | 20 | 12 | 6 | 2 | 26-9 | 42 |
| 2. პიზა | 20 | 12 | 5 | 3 | 35-25 | 41 |
| 3. კიევო | 20 | 12 | 4 | 4 | 36-23 | 40 |
| 4. ლეჩე | 20 | 11 | 6 | 3 | 31-13 | 39 |
| 5. ალბინოლეფე | 20 | 11 | 5 | 4 | 31-17 | 38 |
| 6. მანტოვა | 20 | 10 | 4 | 6 | 31-22 | 34 |
| 7. ბრეშა | 19 | 10 | 4 | 5 | 27-18 | 34 |
| 8. რიმინი | 20 | 8 | 6 | 6 | 27-21 | 30 |
| 9. მესინა | 20 | 8 | 5 | 7 | 17-23 | 29 |
| 10. ფროზინონე | 20 | 7 | 6 | 7 | 27-27 | 27 |
| 11. ასკოლი | 19 | 6 | 8 | 5 | 25-19 | 26 |
| 12. მოდენა | 20 | 6 | 7 | 7 | 28-27 | 25 |
| 13. ტრიესტინა | 20 | 6 | 6 | 8 | 24-34 | 24 |
| 14. პიაჩენცა | 20 | 7 | 2 | 11 | 16-24 | 23 |
| 15. გროსეტო | 20 | 5 | 7 | 8 | 16-26 | 22 |
| 16. აველინო | 20 | 5 | 5 | 10 | 22-28 | 20 |
| 17. ბარი | 20 | 4 | 8 | 8 | 23-31 | 20 |
| 18. სპეცია | 20 | 4 | 7 | 9 | 25-29 | 19 |
| 19. ტრევიზო | 20 | 5 | 3 | 12 | 19-29 | 18 |
| 20. ვიჩენცა | 20 | 3 | 7 | 10 | 18-32 | 16 |
| 21. ჩეზენა | 20 | 2 | 9 | 9 | 20-30 | 15 |
| 22. რავენა | 20 | 3 | 4 | 13 | 20-35 | 13 |

**ბომბარდირები:** 15 - კასტილიო (პიზა), გოდეასი (მანტოვა); 12 - ჩელინი (ალბინოლეფე), გრანოკე (ტრიესტინა), მარაცინა (ბოლონია), ჟედა (რიმინი); 10 - გუიდეტი (სპეცია), ლოდი (ფროზინონე); 9 - მოსკარდელი (ჩეზენა), პოსანცინი (ბრეშა), პელისიერი (კიევო), სონჩინი (ასკოლი), ტირიბოკი (ლეჩე).

## სერია C1/A

XX ტური

**პრო სესტო-ვერონა 1:1; ჩიტადელა-ვენეცია 3:1; კრემონეზე-კავეზე 2:1; ლეკო-ფოჯა 2:1; ლენიანო-პადოვა 1:0; მანფრედონია-პაგანეზე 1:0; მონცა-ტერნანა 4:2; ნოვარა-ფოლინიო 1:2; სასუოლო-პრო-პატრია 0:0.**

## სერია C1/B

XX ტური

**არეცო-სალერნიტანა 0:0; კროტონე-პერუჯა 1:1; ოუვე სტაბია-მარტინა 3:1; ლანჩანო-სამბენედეტეზე 1:0; პესკარა-სანჯოვანეზე 3:0; სორენტო-გალიპოლი 1:1; ტარანტო-პისტოიეზე 0:0; მასეზე-პოტენცა 2:2; ლუკეზე-ანკონა დღეს.**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტური

# რონალდოს პირველი ინგლისური ჰეთ თრიკი

## ანელკამ ლურჯი მაისურა მოიზომა, ხოლო დერბი ოთხი ახალწვეულითაც ვერაფერს გახდა...



მანჩესტერ იუნაიტედი-ნიუკასლი. კრისტიანო რონალდომ ჯორდებს სამი გოლი უძღვნა

**კრისტიანო რონალდომ** კრიზისში მყოფ "ნიუკასლს" ჰეთ თრიკი შეუსრულა. "მანჩესტერ იუნაიტედი" დაუნდობლად გაუსწორდა მეტოქეს და ცხრილში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ეს გუნდები რადიკალურად განსხვავებულ მდგომარეობაში არიან: ერთი პოზიციებს თმობს და ქვედა ეშელონისაკენ მიექანება, ხოლო მეორე მე-10 საჩემპიონო ტიტულს უმიზნებს. როცა რონალდო ასე თამაშობს, მიზნის მიღწევა ბევრად უფრო იოლი ხდება.

პირველი ნახევარი უგოლოდ დასრულდა. ჯორდების ასეთ შერცხვენას არაფერი მოასწავებდა. რონალდომ ანგარიში დაბალ კუთხეში გატანილი ჯარიმით გახსნა. მერე **უეინ რუნისა და კარლოს ტევესის** კომბინაცია დააგვირგვინა, ხოლო თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მანჩესტერულ კარიერაში პირველი ჰეთ თრიკი გაიფორმა. კრისტიანომ მიმდინარე სეზონში 22 გოლს მოუყარა თავი. აქედან 16 მან პრემიერლიგაში გაიტანა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია.

"ნიუკასლის" თავმჯდომარემ **მაიკ ეშლიმ** ახლა უკვე დანამდვილებით იცის, რომ ახალი მწვრთნელი უმოკლეს დროში უნდა დანიშნოს. გულშემატკივრები **ალან შირერს** ითხოვენ. დირექტორებს უფრო გამოცდილი დამრიგებელი სურთ. ისინი "პორტსმუთის" თავკაც **ჰარი რედნაპს** შეეხმიანნენ. რედნაპმა ჯორდებს ოფიციალური უარი შეუთვალა. გუნდს დროებით ისევ **ნაიჯელ პერსონი** უძღვება.

"ნიუკასლმა" მანჩესტერში უკანასკნელად 1972 წელს მოიგო. "იუნაიტედს" მოტივაციას მატებდა ის გარემოებაც, რომ "არსენალმა" "ბირმინგემთან" ორი დაუგეგმავი ქულა დაკარგა. "ეშმაკებმა" იმთავითვე იცოდნენ, რომ გამარჯვება ცხრილის სათავეში მოაქცევდა. ასეც მოხდა. "იუნაიტედმა" შინ ზედიზედ მე-11 მატჩი მოიგო. რონალდოს გარდა, თავი გამოიჩინეს ტევესმა და **რიო ფერდინანდმა**. არგენტინელმა თავდამსხმელმა დუბლი გამოაცხო. რიომ რუნის საუცხოო პასით ისარგებლა და ეფექტური გოლი გაიტანა. უეინმა პირადი გოლები, როგორც ჩანს, სხვა დროისათვის შემოინახა. მას "ნიუკასლთან" საუცხოო სტატისტიკა ჰქონდა - 6 გოლი ბოლო შვიდ მატჩში. თავდამსხმელი თავის გამოჩენას ცდილობდა. ის პირველ ტაიმში ეგოისტურად იქცეოდა და უკეთეს პოზიციაში მყოფ პარტნიორებს პასებს არ აძლევდა.

შეხვედრა "მანჩესტერის" ყოფილი ვარსკვლავისა და "ნიუკასლის" ამჟამინდელი კაპიტნის, **ალან სმიტის** გაძევებით დასრულდა. ის ტევესის ბოლო გოლს აპროტესტებდა. ფეხბურთელის აზრით, ბურთმა კარის ხაზი არ გადაკვეთა. ამიტომ მისი ჩათვლა უსამართლობა იყო. ბევრს ალანის გაცხარება არანორმალურ რეაქციად მოეჩვენა. იმ მომენტისათვის ანგარიში უკვე გამანადგურებელი იყო. არბიტრ **რობ სტაილსთან** მანჩესტერელებსაც ჰქონდათ პრეტენზიები. **სერ ალექს ფერგიუსონის** აზრით, მისი გუნდის სასარგებლოდ ორი ასპროცენტიანი პენალტი არ დაინიშნა. მიმომხილველებმა ყურადღება გაამახვილეს პირველ ეპიზოდზე: კრისტიანო რონალდო **სტივ ტეილორის** ფეხს წამოედო და მინდორზე გაკოტრიალდა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ პორტუგალიელი საკუთარი ინიციატივით წაიქცა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ტეილორს ბურთზე არ უთამაშია, შეგვიძლია, ვიდაოთ, არღვევდა თუ არა ნიუკასლელი მცველი წესს. გოლების დეტალურ აღწერას არ შევუდგებით. მკითხველს შევახსენებთ, რომ ჯორდებს მომდევნო მატჩი ასოციაციის თასზე "სტოკ სიტისთან" ელით...

"არსენალმა" "ბირმინგემთან" ვერაფერი გააწყო. 21-ე წუთზე **ემანუელ ადებაიორმა** პენალტი გაიტანა. გარი ოკონორმა მეორე ტაიმის დასაწყისში გაათანაბრა. თამაშის მიწურულს მასპინძლებმა შტურმი მოაწყვეს, მაგრამ ერთ ქულაზე მეტს ვერ გამორჩნენ. შეხვედრას **დევიდ ბექჰემი** დაესწრო. მოგეხსენებათ, ფორმის შესანარჩუნებლად ის "არსენალში" ვარჯიშობს.

"მეთოფეებმა" აქტიურად დაიწყეს. მეორე წუთზე **გაელ კლიშიმ** მარცხენა ფლანგიდან შეუტია. მან ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა. იქ კი **ედუარდომ** უხეიროდ დასცხო. მომდევნო ეპიზოდში ადებაიორი ბირმინგემელ მცველ **რაფაელ შმიტცს** გაექცა, მაგრამ ბურთი წინ გაიგდო, მეკარე **მაიკ ტეილორი** კარიდან გამოვიდა და მდგომარეობა განმუხტა. მე-15 წუთზე სტუმრებმაც გამოილეს ხელი: **ქემერონ ჯერომი** "არსენალის" ცენტრალურ მცველებს დაუსხლტა და პასი მეტოქის საჯარიმოს მარცხენა კუთხეში. მან შორეულ დაბალ კუთხეს დაუმიზნა. **მანუელ ალმუნია** ზამბარასავით გაიწელა და ბურთი ცალი ხელით მოიგერია. ალმუნიას არც მისი კოლეგა ჩამორჩა: **ალექს გლებმა** ედუარდოს საჯარიმოში ჩააწოდა, ხორვატმა თავდამსხმელმა დაარტყა, "ბირმინგემის" მეკარემ კი მკვდარი ბურთი აიღო. ედუარდოს (მანამდე ბოლო ხუთ მატჩში ექვსი გოლი ჰქონდა გატანილი) სხვა მომენტიც ჰქონდა: მისი თავური მეკარეს პირდაპირ ხელებში მოუვიდა. მე-20 წუთზე არბიტრმა **ფილ დაუდმა** სტუმრები 11-მეტრიანით დასაჯა. **სტივ კელი** ედუარდოსთან ორთაბრძოლისას დაჯარიმდა. ადებაიორმა სეზონის მე-13 გოლი მარჯვენა დაბალ კუთხეში შეაგდო.

რამდენიმე წუთში "არსენალის" საჯარიმოში საკამათო ეპიზოდი მოხდა. **ფილიპ სენდეროსისა** და **ოლივიე კაპოს** დუელი ამ უკანასკნელის წაქცევით დასრულდა. ლონდონელთა კარის უკან ბირმინგემი გულშემატკივრები ისხდნენ. მათ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ პენალტი იყო, მსაჯმა კი თამაშის გაგრძელების ნიშანი მისცა. "არსენალი" ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ **ალექს მაკლიშის** შეგირდები გულხელდაკრეფილნი არ ისხდნენ. "ბირმინგემი" მარჯვენა ფლანგიდან უტევდა. ალმუნიას სამუშაო არ აკლდა. შესვენების შემდეგ, სამ წუთში, სტუმრებმა საპასუხო გოლი შეაგდეს: ყოფილმა არსენალელმა **სებასტიან ლარსონმა** კუთხური მოაწოდა. ოკონორმა ბურთი მეკარის საჯარიმოში მიიღო და თავი დაჰკრა. კარში შესვლამდე ის **სესკ ფაბრეგასს** მოხვდა და მიმართულება შეიცვალა. ალმუნიამ ველარაფერი გააწყო.

"მეთოფეები" შეტევაზე გადავიდნენ. **ლაიამ რიჯველი** ადებაიორის დარტყმას გადაელობა. ტეილორმა სენდეროსის თავური აილო. მომდევნო ეპიზოდში, ბირმინგემელთა საჯარიმოში გლები და რიჯველი ერთმანეთს წაეკიდნენ. მსაჯმა ორივე ფეხბურთელს ყვითელი ბარათი უჩვენა. თამაშის დასრულებამდე ნახევარი საათის ადრე არსენ ვენგერმა ტაქტიკური ცვლილება განახორციელა: მან **თეო უოლკოტის** ნაცვლად **ნიკლას ბენდტნერი** გამოიყვანა (გასულ სეზონში დანიელ ფორვარდს "ბირმინგემთან" საიჯარო კონტრაქტი აკავშირებდა). ბენდტნერი შეტევის წინა ხაზზე დადგა, ედუარდომ მარცხენა გარემარბის პოზიციაზე გადაინია. "არსენალი" უტევდა. ლონდონელები თითქმის ყველა კუთხიდან უტყამდნენ, მაგრამ გადამწყვეტი გოლის გატანა არ მოხერხდა. ვენგერმა დაკარგული ქულების გამო წუხილი გამოთქვა, თუმცა ვითარების დრამატიზება ზედმეტად მიიჩნია...

**ნიკოლა ანელკამ** "ჩელსის" შემადგენლობაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა. "არისტოკრატებმა" **ჟულიანო ბელეტისა** და **შონ რაიტ-ფილიპსის** გოლებით იოლად სძლიეს "ტოტენჰემს" და ლიდერებთან სხვაობა შეინარჩუნეს. ანელკამ, რომელიც "ბოლტონიდან" 15 მილიონ გირვანქად იყიდეს, შეცვლაზე ითამაშა. ბოლო წუთზე მან ხარიხა შეაზანზარა. ბელეტიმ ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა. მან 30 იარდიდან ეფექტური გოლი შეაგდო. რაიტ-ფილიპსმა თამაშს მე-80 წუთზე დაუსვა წერტილი. "სტემფორდ ბრიჯზე" "მამლების" მოუგებელი სერია გრძელდება. "ტოტენჰემმა" თანაქალაქელის სტადიონზე ბოლოს 18 წლის წინ გაიმარჯვა...

**ფერნანდო ტორესმა** მორიგი გოლი შეაგდო. "ლივერპულმა" კი ზედიზედ მეოთხე მატჩი დაასრულა ფრედ და ლიდერებს უფრო მეტად ჩამორჩა. მერსისაიდელებმა მორიგი ორი ქულა მიდლსბროში გაანიავეს. მასპინძელმა **ჯორჯ ბოატენგმა** 26-ე წუთზე გახსნა ანგარიში. მან სეზონის პირველი გოლი გაიტანა. 67-ე წუთზე "ლივერპული" მეორე გოლს გადაურჩა: **სტიუარტ დაუნინგმა** ბურთი ძელს გაარტყა. 71-ზე ტორესმა 25 იარდიდან გაიტანა. დარჩენილ დროში სტუმრებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ მხოლოდ ერთ ქულას დასჯერდნენ. "მიდლსბრო" კი ერთგვარ ტრადიციას ამკვიდრებს. ის შინ ძლიერად თამაშობს პრემიერლიგის ელიტასთან ("ლივერპულთან" მოპოვებული ქულის გარდა, გავიხსენოთ, რომ რივერსაიდელებმა "არსენალიც" დაამარცხეს), სამაგიეროდ ბევრ ქულას კარგავს სუსტ მეტოქეებთან. შაბათის მატჩამდე "ბოროს" საკუთარ მოედანზე ჩატარებული ცხრა შეხვედრიდან მხოლოდ ორი ჰქონდა მოგებული...

ამ უქმეებზე **დევიდ მოიესმა** "ევერტონში" მუშაობის მე-10 წლისთავი აღნიშნა. იუბილეზე საუკეთესო საჩუქარი სამი ქულა იქნებოდა. ასეც მოხდა. ლივერპულელებმა "მანჩესტერ სიტი" დაამარცხეს. ერთადერთი გოლი მცველმა ჯოლეონ ლესკოტმა შეაგდო. მისთვის ეს სეზონის მეექვსე გოლი იყო. "ევერტონს" სამი აფრიკელი ლეგიონერი აკლდა - **იაკუბუ, პიენაარი** და **იობო. ლეონ ოსმანი** და **ენდი ჯონსონი** დაშავებულები იყვნენ. "სიტის" "გუდისონ პარკზე" 16 წელია, არ მოუგია. მას ვერც **ელანოს** დაბრუნებამ უშველა და ვერც **ნერი კასტილიოს** დებიუტმა...

"ასტონ ვილამ" იოლად მოუგო "რედინგს". ბირმინგემელებმა ბოლო სამ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმს მოუყარეს თავი. ამ სეზონში "რედინგს" მეტოქის მოედანზე ერთხელაც არ გაუმარჯვია. მან სტუმრად ჩატარებულ 11 შეხვედრაში 32 გოლი გაუშვა. და კიდევ, "დერბის" აქტიურმა სატრანსფერო კამპანიამაც ვერ უშველა. **პოლ ჯუელმა** "ვიგანთან" ოთხი ახალწვეული - **სევიჯი, ვილია, გალი** და **რობერი** ათამაშა, მაგრამ ბოლო წუთზე გაშვებული გოლით წააგო. ვიგანელებმა **სტივ ბრუსის** ხელმძღვანელობით რვა მატჩში 24 შესაძლებლიდან 12 ქულა დააგროვეს. დერბელებმა ჯუელის მისვლის შემდეგ ასევე რვა მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ ერთ ქულა ჩაიწერეს აქტივში...

### მომდევნო ტური

შაბათი, 19 იანვარი. **ბირმინგემი-ჩელსი, ბლექბერნი-მიდლსბრო, ფულჰემი-არსენალი, ლივერპული-ასტონ ვილა, მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი, ნიუკასლი-ბოლტონი, პორტსმუთი-დერბი, რედინგი-მანჩესტერ იუნ, ტოტენჰემი-სანდერლენდი, ვიგანი-ევერტონი.**

### არსენალი-ბირმინგემი 1:1

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, გალასი, სანია (83. დიაბი), სენდეროსი, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, ადებაიორი, ედუარდო, უოლკოტი (65. ბენდტნერი).

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, კელი, კუოდრო (61. პერნაბი), რიჯველი, შმიტცი, დემიენ ჯონსონი, კაპო, ლარსონი, მუამბა, ჯერომი (75. მაკშეფრი), ოკონორი (75. ფორსელი).

**გოლები:** 1:0 ადებაიორი (21-პენ), 1:1 ოკონორი (48).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 16(9)-2(2); **ჯარიმა:** 8-10; **კუთხური:** 14-3; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

მაყურებელი: 60 037

### ასტონ ვილა-რედინგი 3:1

**ვილა:** კარსონი, ბუმა, კერტის დევისი, ლაურსენი, ბერი, კრეიგ გარდნერი, სტილიან პეტროვი, რეოკოკერი, აგბონლაორი (90. პერგუდი), ქერიუ (90. სალიფუ), იანგი (90. მელონი).

**რედინგი:** ჰანემანი, დე ლა კრუსი (73. კონვეი), ინგიმარსონი, მერტი, შორი, კალიფა სისე, გუნარსონი, ჰარპერი, ჰანტი, დოილი (89. ლონგი), კიტსონი (76. ლიტა).

**გოლები:** 1:0 ქერიუ (22), 2:0 ლაურსენი (55), 3:0 ქერიუ (88), 3:1 ჰარპერი (90).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 14(8)-6(3); **ჯარიმა:** 15-11; **კუთხური:** 13-7; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

მაყურებელი: 32 288

### ჩელსი-ტოტენჰემი 2:0

**ჩელსი:** ჩეხი, ალექსი, ბელეტი, კარვალიო, ეშლი კოული, ბალაკი, ჯო კოული, მაკელელე, მალუდა (84. ბრიჯი), რაიტ-ფილიპსი (90. სიდველი), პისარო (58. ანელკა).

**ტოტენჰემი:** ჩერნი, შიმბონდა, დოსონი, კინგი, ლი, კევინ-პრინს ბოატენგი (84. კაბული), ლენონი, მალბრანკი (59. ტაარაბტი), ოჰარა (77. დეფო), ბერბატოვი, რობი კინი.

**გოლები:** 1:0 ბელეტი (19), 2:0 რაიტ-ფილიპსი (80).

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 8(6)-7(2); **ჯარიმა:** 17-11; **კუთხური:** 4-7; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

მაყურებელი: 41 777

### დერბი-ვიგანი 0:1

**დერბი:** პრაისი, კლოდ დევისი, მიერსი, მილსი, ტოდი, ფეგანი, გალი (85. მაკენი), რობერი (59. ედვორთი), სევიჯი, ბარნესი, ვილია (71. ტილი).

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, ბრემბლი, კილბეინი, მალხოტრა, ბრაუნი, ლანდზაატი (81. სიბირსკი), პალასიოსი (64. კუმასი), ვალენსია, მარკუს ბენტი (90. ოლემბე), ჰესკი.

**გოლი:** 0:1 სიბირსკი (82).

**გაძევება:** კლოდ დევისი (58. დერბი)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 3(1)-13(4); **ჯარიმა:** 12-16; **კუთხური:** 1-6; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 31 658

### ევერტონი-მანჩესტერ სიტი 1:0

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, ლესკოტი, ფილ ნევილი, ნუნუ ვალენტე, არტეტა, კაჰილი, კარსლი, ჟაგიელკა, ანიჩებე (90. ბაინესი), მაკფადენი (60. ვოგანი).

**სიტი:** ჰარტი, ბოლი, კორლუკა, დანი, ონუოა, რიჩარდსი, ელანო, ჰამანი (56. ჟელსონი), მარტინ პეტროვი, კასტილიო (57. ბიანკი), ვასელი (69. ირლანდი).

**გოლი:** 1:0 ლესკოტი (31).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 10(5)-6(1); **ჯარიმა:** 14-12; **კუთხური:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

მაყურებელი: 38 474

### მიდლსბრო-ლივერპული 1:1

**მიდლსბრო:** შვარცერი, გრაუნდსი, ჰუთი, ვიტერი, ლუკ იანგი, ჯორჯ ბოატენგი, დაუნინგი, ონილი, როშემბაკი, ალიადიერი (73. ჰათჩინსონი), თუნჯაი.

**ლივერპული:** გვინა, არბელოა (46. ბაბელი), კარაგერი, ფინენი, ჰიპია, ბენაიუნი (59. ალონსო), ჯერარდი, მასკერანო, რიისე, ტორესი, ვორონინი (75. კუიტი).

**გოლები:** 1:0 ჯორჯ ბოატენგი (26), 1:1 ტორესი (71).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 9(3)-14(7); **ჯარიმა:** 4-11; **კუთხური:** 3-9; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

მაყურებელი: 33 035

### ვესტ ჰემი-ფულჰემი 2:1

**ვესტ ჰემი:** გრინი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი, სპექტორი, აპსონი, ეთერინგტონი (63. ბოუიერი), ლიუნგბერგი (89. ფობერი), მულინსი, ნობლი, ეშტონი, კარლტონ კოული (65. ზოა მორტე).

**ფულჰემი:** ნიემი, ბეირდი, ბოკანეგრა (14. პოუზი), კონჩესკი, სტეფანოვიჩი, ვოლცი (77. ბულარდი), საიმონ დევისი, სტივ დევისი, დემპსი, მერფი, ჰილი (78. სმერტინი).

**გოლები:** 0:1 საიმონ დევისი (8), 1:1 ეშტონი (28), 2:1 ანტონ ფერდინანდი (69).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 12(9)-10(2); **ჯარიმა:** 19-13; **კუთხური:** 8-7; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

მაყურებელი: 34 947

### მანჩესტერ იუნ.-ნიუკასლი 6:0

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ევრა (67. სიმპსონი), რიო ფერდინანდი, ოში, ვიდიჩი, ანდერსონი (72. ფლეტჩერი), ქერიკი, გიგზი (72. ნანი), რონალდო, რუნი, ტევესი.

**ნიუკასლი:** გივენი, კასაპა, კარი, ხოსე ენრიკე, სტივ ტეილორი, ბატი, დაფი, მილნერი (64. ვიდუკა), ნზოგბია, ოუენი (82. როზენალი), სმიტი.

**გოლები:** 1:0 რონალდო (49), 2:0 ტევესი (55), 3:0 რონალდო (70), 4:0 რიო ფერდინანდი (85), 5:0 რონალდო (88), 6:0 ტევესი (90).

**გაძევება:** სმიტი (90. ნიუკასლი).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 31(21)-7(5); **ჯარიმა:** 7-7; **კუთხური:** 16-1; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 75 965

### სანდერლენდი-პორტსმუთი 2:0

**სანდერლენდი:** გორდონი, კოლინსი, ევანსი (77. მაკშეინი), ნოსვორთი, მილერი, რიჩარდსონი, უაითჰედი, იორკი, ჯონსი (83. ოდონოვანი), დერილ მერფი, სტოუკსი (73. ლიდბიტერი).

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, კემპბელი, დესტენი (90. ტრაორე), ჰრეიდარსონი, ჰამარო, პოუზი, კრანჩარი, მვუემბა (65. სონგოო), პედრო მენდესი, მვარუვარი, ნაჯენტი.

**გოლები:** 1:0 რიჩარდსონი (33), 2:0 რიჩარდსონი (44).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 12(5)-9(5); **ჯარიმა:** 12-6; **კუთხური:** 7-5; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 37 269

### ბოლტონი-ბლექბერნი 1:2

**ბოლტონი:** [illegible] ჯოი ობრაიენი, ენდი [illegible] (61. მაკენი), კოენი (63. [illegible]), იანაკოპულოსი, [illegible] ნოლანი, [illegible].

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნელსენი, ოოიერი (73. ხიზანიშვილი), სამბა, უორნოკი, ბენტლი, დევიდ დანი, პედერსენი, რიდი, მაკარტი (77. რობერტსი), სანტა კრუსი (90. დერბიშირი).

**გოლები:** 1:0 ნოლანი (43), 1:1 სამბა (53), 1:2 რობერტსი (90).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 10(5)-16(6); **ჯარიმა:** 17-18; **კუთხური:** 2-6; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

მაყურებელი: 18 315

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 22 | 16 | 3 | 3 | 44-11 | 51 |
| 2. არსენალი | 22 | 15 | 6 | 1 | 43-17 | 51 |
| 3. ჩელსი | 22 | 14 | 5 | 3 | 35-16 | 47 |
| 4. ლივერპული | 21 | 10 | 9 | 2 | 35-14 | 39 |
| 5. ევერტონი | 22 | 12 | 3 | 7 | 38-22 | 39 |
| 6. ასტონ ვილა | 22 | 11 | 6 | 5 | 40-28 | 39 |
| 7. მანჩესტერ სიტი | 22 | 11 | 6 | 5 | 29-23 | 39 |
| 8. ბლექბერნი | 22 | 10 | 6 | 6 | 30-29 | 36 |
| 9. პორტსმუთი | 22 | 9 | 7 | 6 | 31-22 | 34 |
| 10. ვესტ ჰემი | 21 | 9 | 5 | 7 | 27-20 | 32 |
| 11. ნიუკასლი | 22 | 7 | 5 | 10 | 27-39 | 26 |
| 12. ტოტენჰემი | 22 | 6 | 6 | 10 | 42-40 | 24 |
| 13. რედინგი | 22 | 6 | 4 | 12 | 30-47 | 22 |
| 14. მიდლსბრო | 22 | 5 | 6 | 11 | 19-36 | 21 |
| 15. ბოლტონი | 22 | 5 | 5 | 12 | 24-34 | 20 |
| 16. ბირმინგემი | 22 | 5 | 5 | 12 | 23-33 | 20 |
| 17. ვიგანი | 22 | 5 | 5 | 12 | 22-37 | 20 |
| 18. სანდერლენდი | 22 | 5 | 5 | 12 | 22-40 | 20 |
| 19. ფულჰემი | 22 | 2 | 9 | 11 | 23-39 | 15 |
| 20. დერბი | 22 | 1 | 4 | 17 | 10-47 | 7 |

**ბომბარდირები:** 16 - კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი); 14 - ემანუელ ადებაიორი (არსენალი); 11 - ფერნანდო ტორესი (ლივერპული); 10 - კარლოს ტევესი (მანჩესტერ იუნაიტედი), როკე სანტა კრუსი (ბლექბერნი), რობი კინი (ტოტენჰემი), ნიკოლა ანელკა (ბოლტონი/ჩელსი).

### ჩემპიონშიპი

XXVIII ტური

**ბარნსლი-ნორვიჩი 1:3**

გოლები: 1:0 დევენეი (18), 1:1 ევანსი (48), 1:2 ფოდერინგემი (70), 1:3 დაბლინი (74).

**ბრისტოლი-კოლჩესტერი 1:1**

გოლები: 0:1 ლისბი (6), 1:1 სპროული (33).

**ბარნლი-პლიმუთი 1:0**

გოლი: 1:0 ბლეიკი (66).

**კარდიფი-შეფილდ უენ. 1:0**

გოლი: 1:0 ჰასელბენკი (36).

**ჩარლტონი-ბლექპული 4:1**

გოლები: 1:0 ბუგერა (6), 2:0 ვარნი (10), 2:1 ბერჯესი (12), 3:1 ჟი (24), 4:1 ჟი (52).

**იფსვიჩი-სტოკი 1:1**

გოლები: 1:0 ჰეინესი (19), 1:1 ფულერი (33).

**ლესტერი-ქოვენთრი 2:0**

გოლები: 1:0 ჰოვარდი (11), 2:0 ჰეილესი (85).

**პრესტონი-უოტფორდი 1:0**

გოლი: 1:0 მელორი (75).

**შეფილდ იუნ.-ქუინზ პარკი 2:1**

გოლები: 0:1 აგიემანგი (45), 1:1 სტიუარტი (64-საკ.კარში), 2:1 ჰენდრი (69).

**საუთჰემპტონი-სკანთორპი 1:0**

გოლი: 1:0 რასიაკი (25).

**ფულვერჰემპტონი-კრ. პალასი 0:3**

გოლები: 0:1 მორისონი (24), 0:2 სკანელი (49), 0:3 სკოუკროფტი (66).

**ჰალი-ვესტ ბრომვიჩი 1:3**

გოლები: 0:1 ფილიპსი (2), 0:2 მორისონი (32), 1:2 გარსია (71), 1:3 ბედნარი (90).

გაძევება: რობინსონი (73. ვესტ ბრომვიჩი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვესტ ბრომვ. | 27 | 15 | 5 | 7 | 59-32 | 50 |
| 2. ბრისტოლი | 27 | 13 | 9 | 5 | 35-32 | 48 |
| 3. უოტფორდი | 27 | 14 | 5 | 8 | 44-35 | 47 |
| 4. სტოკი | 27 | 11 | 11 | 5 | 43-34 | 44 |
| 5. ჩარლტონი | 27 | 12 | 7 | 8 | 40-32 | 43 |
| 6. კრ.პალასი | 27 | 10 | 11 | 6 | 34-27 | 41 |
| 7. იფსვიჩი | 27 | 11 | 7 | 9 | 44-36 | 40 |
| 8. კარდიფი | 27 | 10 | 9 | 8 | 34-32 | 39 |
| 9. პლიმუთი | 27 | 10 | 8 | 9 | 35-30 | 38 |
| 10. ჰალი | 27 | 10 | 8 | 9 | 33-32 | 38 |
| 11. ბარნლი | 27 | 9 | 10 | 8 | 34-35 | 37 |
| 12. ულვერჰემპ. | 27 | 9 | 10 | 8 | 24-26 | 37 |
| 13. საუთჰემპტ. | 27 | 10 | 6 | 11 | 36-44 | 36 |
| 14. შეფილდ იუნ. | 27 | 9 | 8 | 10 | 31-31 | 35 |
| 15. ბარნსლი | 27 | 8 | 10 | 9 | 34-39 | 34 |
| 16. ბლექპული | 27 | 8 | 9 | 10 | 35-35 | 33 |
| 17. ქოვენთრი | 26 | 9 | 5 | 12 | 29-42 | 32 |
| 18. ნორვიჩი | 27 | 8 | 7 | 12 | 27-35 | 31 |
| 19. ლესტერი | 27 | 6 | 12 | 9 | 27-27 | 30 |
| 20. ქუინზ პარკი | 27 | 7 | 9 | 11 | 31-40 | 30 |
| 21. შეფილდ უენ. | 26 | 8 | 4 | 14 | 28-34 | 28 |
| 22. პრესტონი | 27 | 7 | 6 | 14 | 26-33 | 27 |
| 23. სკანთორპი | 27 | 6 | 9 | 12 | 28-41 | 27 |
| 24. კოლჩესტერი | 27 | 5 | 11 | 11 | 39-46 | 26 |

### I ლიგა

ტრანმერი-ბრისტოლი 0:2, ჩელტენჰემი-ბორნმუთი 1:0, დონკასტერი-კარლაისლი 1:0, ჰადერსფილდი-ჯილინგემი 1:3, ლუტონი-სვონსი 1:3, ნორსჰემპტონი-ჰარტლპული 1:1, ნოტინგემი-ლეიტონი 4:0, ოლდჰემი-ბრაიტონი 1:1, პორტ ვეილი-მილუოლი 3:1, საუთენდი-იოვილი 1:1, უოლსოლი-სვინდონი 2:2, ქრუ-ლიდსი დღეს.

### II ლიგა

ბრედფორდი-ნოთს ქაუნთი 3:0, ბრენტფორდი-ჩესტერფილდი 2:1, ჩესტერი-მანსფილდი 0:1, დარლინგტონი-ბერი 3:0, გრიმსბი-რექსჰემი 1:0, ლინკოლნი-როტერჰემი 1:3, მილტონი-ბარნეტი 0:1, მორკომბი-დაგენჰემი 1:0, პიტერბორო-მაკლსფილდი 0:1, სტოკპორტი-ექრინგტონი 2:0, ვიკომბი-როჩდეილი 0:1, ჰერფორდი-შრუსბერი 3-1.

### კონფერენსი

სელისბერი-ოქსფორდი 3:1.



ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XIX ტური

# რეალმა პირველი წრე რეკორდით დაასრულა

დიდი ხანია, "ბარსელონას" ასე იოლად არ მოუგია. კატალონიელთა ტრიუმფალური გამარჯვება დიდწილად **ტიერი ანრის** ფანტასტიკურმა თამაშმა განაპირობა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ფრანგმა ფორვარდმა "ბარსელონაში" გადაბარგების შემდეგ საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. რა თქმა უნდა, გვახსოვს "ლევანტესთან" მატჩი და ანრის ჰეთ-ტრიკი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვალენსიური კლუბი იმდენად სუსტი იყო, რომ მის კარში გოლის გატანა ფაქტობრივად არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა. ამჯერად ტიერი **ლიონელ მესისა** და **რონალდინიოს** გარეშე გამოსული კატალონიური გრანდის მთავარ შემოქმედ ფეხბურთელად მოგვევლინა. ის პრაქტიკულად ყველა სახიფათო შეტევაში მონაწილეობდა. ხშირ შემთხვევაში კი საგოლე შეტევებს უყრიდა საფუძველს. ანრის გარდა **სამუელ ეტოო, ეიდურ გუდიონსენი** და **ბოიან კრკიჩი** აქტიურობდნენ. მათი საერთო ძალისხმევით "ბარსელონამ" დაგეგმილი სამი ქულა მართლაც ძალიან იოლად მოიპოვა. მიუხედავად ამისა, გაგვიჭირდება იმის თქმა, რომ **ფრანკ რაიკაარდის** ბიჭებმა ის ფეხბურთი აჩვენეს, რომლის გამოც ამ გუნდს ათეულობით მილიონი გულშემატკივარი ეთაყვანება. შაბათის ორთაბრძოლაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ დაცვაში პრობლემები ჯერაც არ აღმოფხვრილა. ნახევარდაცვისა და თავდასხმის მაღალი კლასი რომ არა, **ვიქტორ ვალდესს** გაცილებით მეტი სამუშაო ექნებოდა.

რაიკაარდმა ძირითად შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები განახორციელა. მან **გაბრიელ მილიტო, ერიკ აბიდალი** და **ანდრეს ინიესტა** დაასვენა და **ტურამის**, გუდიონსენისა და **სილვინიოს** ტრიოს მისცა შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი. ობიექტურად რომ ვისაუბროთ, ბრაზილიელსა და ისლანდიელს იმ საღამოს ვერაფერს ვუსაყვედურებდით. აი, ტურამის თამაში კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ვეტერანი ფრანგი საჯარიმო მოედნის მისადგომებთან, ზოგჯერ უშუალოდ საჯარიმოშიც ბურთს კარგავდა და მეტოქეს საგოლე მომენტს ჩუქნიდა. მასპინძელთა საბედნიეროდ, "მურსიამ" ლილიანის საჩუქრები ვერ შეირგო.

აგარიში გუდიონსენმა გახსნა. ყველაფერი **ჯანლუკა ძამბროტას** კარგი თამაშით დაიწყო. იტალიელმა განაპირა მცველმა ფლანგზე თავისუფალი სივრცე მონახა და საჯარიმოში ჩაანოდა. ეიდურმა მარჯვენა ფეხით კუთხეში გადაგზავნა ბურთი. პირველ ტაიმში ამის შემდეგ საინტერესო თითქმის არაფერი მომხდარა. სამაგიეროდ, შესვენების შემდეგ გულშემატკივრებმა დიდად გაიხარეს. ტიერი ანრიმ მარცხენა ფლანგზე არაერთი დრიბლინგი განახორციელა. სტუმართა მცველებს მისი გაუვნებელყოფა ძალიან უჭირდათ. ფრანგს გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ ხელი მოეცარა. ამის შემდეგ მან თანაგუნდელებზე თამაში დაიწყო და შესანიშნავი შედეგიც მოიმკა. ახალგაზრდა ბოიან კრკიჩმა "კამპ ნოუზე" თავისი მეორე გოლი სწორედ უფროსი მეგობრის პასის წყალობით გაიტანა. მოგვიანებით ანრიმ ეტოოსაც გაატანინა. ბოლოს სამუელს შეცვლაზე შესულმა **ჯოვანი დოს სანტოსმაც** გაუმართა ხელი. ეტოო "ბარსელონას" დუბლით დაემშვიდობა. ის აფრიკის თასზე იასპარეზებს და მოსამზადებლად კამერუნის ნაკრებში წავიდა. რაიკაარდსა და **ლაპორტას** დიდი იმედი ჰქონდათ, რომ სამუ "მოუთვინიერებელი ლომების" დახმარებაზე უარს იტყოდა, თუმცა პატრიოტიზმმა ყველაფერი გადაწონა და "ბარსა" არცთუ მცირე ხნით მრისხანე ფორვარდის გარეშე დარჩა. რაიკაარდს ისღა დარჩენია, ილოცოს, რომ კამერუნის ეროვნული გუნდი რაც შეიძლება მალე გამოეთიშოს კონტინენტის პირველობას.

მასპინძელთა დამრიგებელი, რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი გახლდათ: *"ბოლო დროს აშკარად ვატყობ, რომ გულშემატკივრებს გუნდის შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებათ. ვფიქრობ, ეს მცდარი პოზიციაა. ჩვენ ვალდებულები ვართ, დღევანდელი "ბარსელონისადმი" ნდობით განვიმსჭვალოთ. მერწმუნეთ, ეჭვითა და კრიტიკით საქმეს გავაფუჭებთ. ინჩასები გუნდს უნდა დაეხმარონ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდება. დღეს კარგად ვითამაშეთ. დიდი ანგარიშით გამარჯვება ნებისმიერ შემთხვევაში სასიხარულოა.*

*არ შემიძლია, ტიერი ანრი არ შევაქო. მრავალდღიანი ტანჯვისა და სერიოზული სირთულეების შემდეგ მან ფანტასტიკური შეხვედრა ჩაატარა. ამ დღეს მოუთმენლად ველოდი. მერწმუნეთ, ანრის შესაძლებლობები ამოუწურავია. მას უდიდესი გამოცდილება, კლასი და ცოდნა უმაგრებს ზურგს. მალე სტაბილურობას მოიპოვებს და "ბარსელონისთვის" უმნიშვნელოვანესი, შეუცვლელი ფიგურა გახდება. წარმოუდგენლად ბედნიერი ვარ სილვინიოს, ძამბროტას, გუდიონსენისა და ტურამის კარგი თამაშის გამო. მართალია, ლილიანს რამდენიმე ეპიზოდში ტრიბუნებმა დაუსტვინეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ შეუმცდარი ადამიანი არ არსებობს. მთლიანობაში მანაც საიმედოდ იასპარეზა".*

"ლევანტესა" და "რეალის" შეხვედრაში პრიმერა დივიზიონის ერთპიროვნულ ლიდერსა და წყალწაღებულ აუტსაიდერს შორის უმცირეს განსხვავებას **რუუდ ვან ნისტელროის** თამაში განაპირობებდა. სამეფო კლუბს უსუსტესი მონინააღმდეგის დამარცხება ძალიან გაუჭირდა. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ "ლევანტემ" რაიმე განსაკუთრებულად ღირებული გააკეთა. უბრალოდ, თავად მადრიდელებს უჭირდათ შესაძლებლობების გამოვლენა. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმზე ითქმის. სტუმრები შესვენების შემდეგაც ვერ ბრწყინავდნენ. **დე როსის** ბიჭები ცდილობდნენ, დედაქალაქელები საჯარიმოსთან ახლოს არ მიეშვათ და მოედნის ცენტრში მედგრად იბრძოდნენ. რა თქმა უნდა, გაცილებით დაბალი კლასის მქონე "ლევანტე" ურთულეს ამოცანას ყოველთვის ვერ ართმევდა თავს. ამიტომ, შიგადაშიგ "რეალი" სახიფათო მომენტებს ქმნიდა. ანგარიშის გახსნის ფანტასტიკური შესაძლებლობა **რობინიომ** გაუშვა ხელიდან. მის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. რამდენიმე წუთში მასპინძელთა ერთ-ერთმა მცველმა საჯარიმოში ხელით ითამაშა და პენალტი აიკიდა. **ვან ნისტელროიმ** სტანდარტული საუცხოოდ შეასრულა. მოგვიანებით ჰოლანდიელი დუბლსაც შენვდა. მისი წყალობით, "რეალმა" რეკორდი დაამყარა. მას შემდეგ, რაც ესპანეთის ჩემპიონატში ეგრეთ წოდებული სამქულიანი სისტემა დაინერგა 19 ტურის შემდეგ ასეთი მაჩვენებელი არავის ჰქონია.

დასასრულს **ბერნდ შუსტერის** კომენტარს შემოგთავაზებთ: *"წინასწარ ვიცოდით, რომ "ლევანტე" არნახული ენთუზიაზმით დაგვიპირისპირდებოდა. აუტსაიდერებისთვის ლიდერის გამწარება ღირსების საქმე გახლდათ. არ უარვყოფ, მეტი პასუხისმგებლობა გვამართებდა. ნებისმიერ შემთხვევაში უკეთ უნდა გვეთამაშა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მოვიგეთ და პირველი წრე სოლიდური უპირატესობით დავასრულეთ. მჯერა, მეორე წრეშიც მოწოდების სიმაღლეზე ვიქნებით და საქმეს კეთილ დასასრულამდე მივიყვანთ. დღევანდელ შეხვედრას დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ ფორტუნის წყალობით მოვიგეთ. პენალტი სწორედ მაშინ დაინიშნა, როცა ნერვიულობის პიკზე ვიმყოფებოდით. ვგრძნობდით, რომ საფინალო სასტვენი ახლოვდებოდა და შეცდომას შეცდომაზე ვუშვებდით."*

### მომდევნო ტური

**20 იანვარი. ოსასუნა-ბილბაო, ბარსელონა-რასინგი, სარაგოსა-მურსია, ლევანტე-მალიორკა, ატლეტიკო-რეალი, ვილიარეალი-ვალენსია, ალმერია-დეპორტივო, ვალიადოლიდი-ესპანიოლი, ბეტისი-რეკრეატივო, ხეტაფე-სევილია.**

### ბარსელონა-მურსია 4:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, ტურამი, სილვინიო, მარკესი, ჩავი, ანრი, გუდიონსენი (66. ინიესტა), კრკიჩი (83. ჯიოვანი), ეტო'ო (89. პედრიტო).

**მურსია:** ნოტარიო, დავიდ დე კოსი, მეხია, პენია, ოჩოა (70. არსო), მოვილია, დე ლუკასი, პაბლო გარსია (68. ინიგო), აბელი (79. რიჩი), გოიტომი, ბაიანო.

**გოლები:** 1:0 გუდიონსენი (26), 2:0 კრკიჩი (51), 3:0 ეტო'ო (76), 4:0 ეტო'ო (86)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 18(10)-9(3); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 8-2; **ჯარიმა:** 11-10; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 78 000

### ბილბაო-სევილია 2:0

**ბილბაო:** ირაისოსი (43. არანსუბია), ირაოლა, აიტორ ოსიო, ამორებიეტა, კოიკოლი, ხავი მარტინესი, სუსაეტა, დავიდ ლოპესი, იესტე, ორბაისი (60. მუნიოსი), ადურისი (84. ლორენტე).

**სევილია:** დე სანკტისი, დანიელ ალვეში, ფასიო, კრესპო (46. ადრიანო), ესკუდე, მარესკა, პოულსენი, ხესუს ნავასი, რენატო, დიეგო კაპელი (64. დუდა), ჩევანტონი (58. ხუანხო).

**გოლები:** 1:0 იესტე (27), 2:0 სუსაეტა (67)

**გაძევება:** ესკუდე (53. სევილია)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 14(6)-11(1); **კუთხური:** 4-4; **თამაშგარე:** 3-0; **ჯარიმა:** 17-14; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 31 000

### ბეტისი-ხეტაფე 3:2

**ბეტისი:** რიკარდო, ილიჩი, ხუანიტო, მელი, დამია, რივერა, არსუ (85. ლიმა), ხუანდე (58. სომოსა), ედუ, პავონე, ჩისკო (58. მარკ გონსალესი).

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, ბელენგერი, მარიო, ლიხტი, კორტესი (85. კონტრა), დე ლა რედი, გრანერო, ალბანი, სელესტინი (64. ბრაულიო), გავილანი (71. კასკერო), მანუ დელ მორალი.

**გოლები:** 1:0 პავონე (3), 2:0 ედუ (33), 3:0 ბელენგერი (59-საკ. კარში), 3:1 დე ლა რედი (61-პენ), 3:2 მანუ დელ მორალი (77)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 8(3)-25(13); **კუთხური:** 3-8; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 31-17; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 27 000

### ვალიადოლიდი-რეკრეატივო 3:1

**ვალიადოლიდი:** სერხიო ასენხო, პედრო ლოპესი, გარსია კალვო, მარკოსი, რაფა (46. ალექსისი), ალვარო რუბიო, ვივარ დორადო, სისი, კაპდევილა (57. ოსკარ სანჩესი), ლორენტე, ვიქტორი (80. ბორხა).

**რეკრეატივო:** სორენტინო, პამპა კალვო, იაგო ბუსონი, მარტინ კასერესი, დანი ბაუტისტა. ხესუს ვასკესი, კარლოს მარტინსი (46. ბარბერი), აიტორი (46. ხერარდი), კამუნასი, სინამა პონგოლე, ხავი გერერო (80. მარკიტოსი).

**გოლები:** 1:0 ლორენტე (7), 2:0 ლორენტე (22), 2:1 კამუნასი (43), 3:1 ლორენტე (87)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 11(4)-6(5); **კუთხური:** 6-2; **თამაშგარე:** 6-4; **ჯარიმა:** 18-14; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 22 000

### ალმერია-ესპანიოლი 1:0

**ალმერია:** დიეგო ალვესი, ბრუნო, კარლოს გარსია, აკასიეტე, მანე, ხუანიტო, ფელიპე მელო, კრუსატი, სორიანო (74. კალუ უჩე), ხუანმა ორტისი (81. ორტისი), ნეგრედო (90. სისმა).

**ესპანიოლი:** ლაფუენტე, საბალეტა, ტორეხონი, ლაკრუსი, დავიდ გარსია (69. კლემენტე როდრიგესი), მოისეს ურტადო, რიერა, ანხელი (65. ლოლა), ლუის გარსია, ტამუდო, კორო (82. ვალდო).

**გოლი:** 1:0 კალუ უჩე (86)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 17(5)-8(2); **კუთხური:** 10-5; **თამაშგარე:** 2-0; **ჯარიმა:** 23-16; **ბურთის ფლობა:** 51%-497%

**მაყურებელი:** 15 000

### ვილიარეალი-დეპორტივო 4:3

**ვილიარეალი:** ვიერა, ხოსემი, ფუენტესი, სიგანი, კაპდევილა, სენა, კასორლა, ბრუნო (57. კანი), პირესი (64. ტომასონი), ნიჰათი, როსი (74. ხოსიკო).

**დეპორტივო:** ფაბრი, ლაური, კოლოჩინი, ფილიპე ლუისი, პაბლო ამო, სერხიო, გუარდადო, ხუან როდრიგესი, დე გუსმანი (76. ვერდუ), რიკი (69. ბოდიპო), ადრიანი (62. ჩისკო).

**გოლები:** 0:1 სერხიო (26-პენ), 1:1 როსი (30-პენ), 1:2 პაბლო ამო (57), 2:2 ნიჰათი (64), 3:2 ნიჰათი (67), 4:2 ტომასონი (79-პენ), 4:3 გუარდადო (90)

**გაძევება:** პაბლო ამო (80. დეპორტივო)

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 13(7)-12(3); **კუთხური:** 1-4; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 22-24; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 30 000

### სარაგოსა-მალიორკა 2:2

**სარაგოსა:** სესარი, დიოგო, აიალა, პავონი, ხუანფრანი (78. პარედესი), სელადესი, საპატერი, ლუქსენი (46. ოსკარი), დიეგო მილიტო, ოლივეირა, სერხიო გარსია (67. დ'ალესანდრო).

**მალიორკა:** ლუქსი, ექტორი, დავიდ ნავარო, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, ვარელა (46. გუისა), პერეირა, იბაგასა, იონას გუტიერესი, არანგო, ტრეხო (75. ვიქტორი).

**გოლები:** 0:1 ვარელა (17), 1:1 დიეგო მილიტო (23), 2:1 დიეგო მილიტო (36), 2:2 გუისა (61)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 13(7)-9(6); **კუთხური:** 9-5; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 20-13; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 35 000

### ოსასუნა-რასინგი 0:2

**ოსასუნა:** რიკარდო, ასპილიკუეტა, კრუჩაგა, მიგელ ფლანიო, მონრეალი, პუნიალი, პლასილი, ექტორ ფონტი (67. უგო ვიანა), ხუანფრანი (79. პანდიანი), მარგარაისი (57. ველა), დადი.

**რასინგი:** ტონიო (44. კოლტორტი), სერხიო სანჩესი, გარაი, სესარ ნავასი, პინოსე, ხორდი, კოლსა, ხორხე ლოპესი, სერანტი (76. ფუშერი), ჩიტე, ივან ბოლადო (63. პაბლო ალვარესი).

**გოლები:** 0:1 კოლსა (81), 0:2 პაბლო ალვარესი (83)

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 21(6)-11(6); **კუთხური:** 10-3; **თამაშგარე:** 6-2; **ჯარიმა:** 8-24; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 23 000

### ლევანტე-რეალი 0:2

**ლევანტე:** კუიოვიჩი, დესკარგა, ალვარო, ხოსე სერანო, რუბიალესი, ბერსონი, ტომაზი, ხუანმა (72. საული), კურტუა (87. ეტიენი), პედრო ლეონი (69. იბორა), რიგა.

**რეალი:** კასილიასი, ტორესი, კანავარო, პეპე, მარსელო, გახო, ჟულიო ბაპტიშტა (56. გუტი), სნეიდერი (71. იგუაინი), ვან ნისტელროი, რაული, რობინიო (84. დრენტე).

**გოლები:** 0:1 ვან ნისტელროი (75-პენ), 0:2 ვან ნისტელროი (87)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 15(3)-14(8); **კუთხური:** 8-1; **თამაშგარე:** 0-7; **ჯარიმა:** 16-16; **ბურთის ფლობა:** 38%-62%

**მაყურებელი:** 20 000

### ატლეტიკო-ვალენსია 1:0

**ატლეტიკო:** აბიატი, პერეა, პაბლო, ელერი, ანტონიო ლოპესი, რაულ გარსია, კლებერ სანტანა, მაქსი როდრიგესი (90+1. ლუის გარსია), სიმაო, ფორლანი (72. რეიესი), აგუერო (90+3. ვალერა).

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, ალბიოლი, ივან ელგერა, მორეტი, მარჩენა, მონტორო (46. ბანეგა), მატა (46. ჟიგიჩი), ბარახა (79. ვისენტე), სილვა, ხოაკინი, არისმენდი.

**გოლი:** 1:0 აგუერო (27)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 14(7)-13(5); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 19-15; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 44 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 19 | 15 | 2 | 2 | 41-14 | 47 |
| 2. ბარსელონა | 19 | 12 | 4 | 3 | 38-13 | 40 |
| 3. ატლეტიკო | 19 | 11 | 4 | 4 | 35-19 | 37 |
| 4. ესპანიოლი | 19 | 10 | 6 | 3 | 29-20 | 36 |
| 5. ვილიარეალი | 19 | 11 | 2 | 6 | 34-30 | 35 |
| 6. რასინგი | 19 | 9 | 5 | 5 | 20-19 | 32 |
| 7. ვალენსია | 19 | 8 | 3 | 8 | 22-29 | 27 |
| 8. სევილია | 19 | 8 | 2 | 9 | 35-25 | 26 |
| 9. ვალიადოლიდი | 19 | 6 | 6 | 7 | 27-28 | 24 |
| 10. ალმერია | 19 | 6 | 5 | 8 | 16-21 | 23 |
| 11. ბილბაო | 19 | 5 | 7 | 7 | 18-19 | 22 |
| 12. სარაგოსა | 19 | 5 | 7 | 7 | 29-32 | 22 |
| 13. მალიორკა | 19 | 5 | 7 | 7 | 28-31 | 22 |
| 14. მურსია | 19 | 5 | 7 | 7 | 16-24 | 22 |
| 15. ხეტაფე | 19 | 6 | 3 | 10 | 21-27 | 21 |
| 16. ბეტისი | 19 | 5 | 6 | 8 | 20-28 | 21 |
| 17. რეკრეატივო | 19 | 5 | 6 | 8 | 15-24 | 21 |
| 18. ოსასუნა | 19 | 5 | 5 | 9 | 20-25 | 20 |
| 19. დეპორტივო | 19 | 4 | 5 | 10 | 19-31 | 17 |
| 20. ლევანტე | 19 | 2 | 2 | 15 | 11-35 | 8 |

**ბომბარდირები:** 12 - ლუიშ ფაბიანო (სევილია); 11 - ვან ნისტელროი (რეალი), დ. მილიტო (სარაგოსა); 10 - ტამუდო (ესპანიოლი), ნიჰათი (ვილიარეალი); 9 - აგუერო (ატლეტიკო), ლორენტე (ვალიადოლიდი), გუისა (მალიორკა); 8 - რაული (რეალი), მესი (ბარსელონა), კანუტე (სევილია), როსი (ვილიარეალი); 7 - ოლივეირა (სარაგოსა), ფორლანი (ატლეტიკო).

### II დივიზიონი

XX ტური

**სელტა-სალამანკა 0:0**

**მალაგა-გრანადა 1:1**

გოლები: 1:0 სალვა ბალესტა (14), 1:1 გერა (27)

**სოსიედადი-ალავესი 1:0**

გოლი: 1:0 ელუსტონდო (90)

**ხერესი-ლას პალმასი 0:3**

გოლები: 0:1 დ. გარსია (18), 0:2 ადრიანი (84), 0:3 მ. მარკესი (85)

**ერკულესი-ელჩე 0:1**

გოლი: 0:1 ნოელ-უილიამსი (8)

**სევილია A-კადისი 1:2**

გოლები: 0:1 პარი (50-პენ), 1:1 პაბლო (64), 1:2 კასასი (90)

**ალბასეტე-ეხიდო 2:0**

გოლები: 1:0 მორანი (45), 2:0 ბარკერო (54)

**ხიმნასტიკი-ტენერიფე 1:1**

გოლები: 1:0 ხანდრო (3), 1:1 აიოსე (27-პენ)

**ნუმანსია-ეიბარი 1:1**

გოლები: 1:0 პალასიოსი (27), 1:1 სურუტუსა (33)

**ფეროლი-კორდობა 0:1**

გოლი: 0:1 ასენი (32)

**სპორტინგი-კასტელონი 0:2**

გოლები: 0:1 არანა (40), 0:2 გარაი (63)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 20 | 12 | 4 | 4 | 32-18 | 40 |
| 2. ნუმანსია | 20 | 11 | 6 | 3 | 29-16 | 39 |
| 3. სპორტინგი | 20 | 9 | 5 | 6 | 29-21 | 32 |
| 4. ელჩე | 20 | 9 | 5 | 6 | 24-19 | 32 |
| 5. სოსიედადი | 20 | 8 | 7 | 5 | 21-18 | 31 |
| 6. სევილია B | 20 | 8 | 7 | 5 | 21-20 | 31 |
| 7. ტენერიფე | 20 | 7 | 8 | 5 | 26-25 | 29 |
| 8. ეიბარი | 20 | 8 | 5 | 7 | 22-22 | 29 |
| 9. სელტა | 20 | 7 | 8 | 5 | 26-22 | 29 |
| 10. გრანადა | 20 | 8 | 5 | 7 | 24-24 | 29 |
| 11. კადისი | 20 | 8 | 4 | 8 | 19-19 | 28 |
| 12. სალამანკა | 20 | 7 | 6 | 7 | 27-24 | 27 |
| 13. ერკულესი | 20 | 6 | 8 | 6 | 26-22 | 26 |
| 14. კორდობა | 20 | 5 | 11 | 4 | 24-25 | 26 |
| 15. კასტელონი | 20 | 6 | 7 | 7 | 19-17 | 25 |
| 16. ალავესი | 20 | 6 | 6 | 8 | 21-23 | 24 |
| 17. ხიმნასტიკი | 20 | 5 | 6 | 9 | 20-24 | 21 |
| 18. ალბასეტე | 20 | 5 | 5 | 10 | 14-21 | 20 |
| 19. ლას პალმასი | 20 | 5 | 5 | 10 | 20-29 | 20 |
| 20. ეხიდო | 20 | 5 | 5 | 10 | 17-30 | 20 |
| 21. ფეროლი | 20 | 4 | 5 | 11 | 19-30 | 17 |
| 22. ხერესი | 20 | 2 | 10 | 8 | 18-29 | 16 |

## საფრანგეთი

XX ტური

**ვალანსი-სტ. ეტიენი 2:0**

**ვალანსი:** პენეტო; დუკურტუა, მარტინესი, უადუ, მო. ტრაორე, საესი, დუმენგი (81. რიპერი), მატერი (66. ბელმადი), რუდე, პუჟოლი, სავიდანი (74. სებო).

**სტ. ეტიენი:** ჟანო, მ. დაბო, ტაელარიდისი (69. ფ. დიავარა), ბენალუანი, ვარო, მატუიდი, პერენი, დერნისი (83. პეჟე), გარენი, ლანდრენი (46. გილიოტი), ბ. გომისი.

**გოლები:** 1:0 დუმენგი (9), 2:0 პუჟოლი (90)

**გაფრთხილება:** 3-4

**მაყურებელი:** 13 516

**ბორდო-ოსერი 4:1**

**ბორდო:** რამე, შალმე, ენრიკე, პლანუსი, ჟურიეტი, ა. დიარა, ალონსო (80. იუსი), მიკუ (65. ფრენანდო), ტრემულინა (65. ვენდელი), ბელიონი, კავენაგი.

**ოსერი:** სორენი, ჟორესი, მარკოსი, მინო, ლეჟონი (66. ტამაში), შაფნი, პედრეტი, ტომასი, კალენბერგი, იელენი, ნიკულაე.

**გოლები:** 0:1 ნიკულაე (2), 1:1 კავენაგი (14), 2:1 პლანუსი (39), 3:1 კავენაგი (52), 4:1 ბელიონი (90+2)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 21 223

**მონაკო-ლორიანი 1:0**

**მონაკო:** რომა, ადრიანო, ბოლივარი, სამბუ, მურატორი, მერიემი, ბერნარდი (78. მ. მარტინი), პინო (46. ნენე), მენეზი, ბაკარი (88. ი. ლეკო), პიკიონი.

**ლორიანი:** ოდარი, ჟალე, მარშალი, სიანი, მორელი, ეველო, აბრიელი, ოტკოერი, ლე პენი (65. მარენი), ვაირუა (87. ბურპანი), საიფი (76. მანსური).

**გოლი:** 1:0 სამბუ (90+1)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 3 000

**ლილი-მეცი 1:1**

**ლილი:** მალიჩკი, ბერია, ტაფორო (19. ბასტოსი), რამი, პლესტანი (76. პაზარი), ლიხტშტაინერი, დებუში, კაბეიე, ობრანიაკი, ფრო, კლუივერტი (63. მირალა).

**მეცი:** მარიშე, დელომო, ბასონგი, კუბილიე, გეიე, ფრანსუა, კარდი(46. ბელსონი), აგუაზი, ჟიგაქსი (61. კორალესი), პიანიჩი (52. დიოპი), რეზუარი.

**გოლები:** 0:1 ჟიგაქსი (23), 1:1 კაბეიე (90+4)

**გაძევება:** ბასონგი (49. მეცი)

**გაფრთხილება:** 1-4

**მაყურებელი:** 12 602

**კაენი-ნანსი 0:0**

**კაენი:** ტებო, ენგბარტი, ტიამი, სორბონი, სეობი, პრომანი, რ. გომისი (63. გრანდენი), ნივე, დერუანი (75. ტუდიჩი), ელუჩანსი, კომპანი.

**ნანსი:** ბრასილიანო, სოგე, ანდრე ლუისი, პუიგრენიე, ბიანკალანი, ბ. გავანონი, ბერენგერი, ი. დია (74. ბრისონი), მალონგა, კიმი, ფორტუნე (64. კურბელო).

**გაფრთხილება:** 3-3

**მაყურებელი:** 20 327

**სტრასბური-ნიცა 0:1**

**სტრასბური:** კასარი, დოს სანტოსი, ბელაიდი, პესლეი, ლაკური, კოადი (80. ჟელეში), როდრიგო, ფანშონი (60. რენტერია), აბდესადკი (69. გამეირო), იოჰანსენი, ა. სანტოსი.

**ნიცა:** ლორისი, როოლი, გასე, ალ. იაია (50. ბარული), ჟონემანი, ემუაფნი, ელბუიკი, ბალმონი, ედერსონი, ლასლანდი, ბამოგო (88. მ. ტრაორე).

**გოლი:** 0:1 ედერსონი (52)

**გაფრთხილება:** 2-3

**მაყურებელი:** 15 047

**ლე მანი-სოშო 0:2**

**ლე მანი:** როში, კალვე, ლევეიონი, ბუპური, ლორიო (68. მაიგა), კუტადორი (84. დუიარი), იებდა, სესენონი, ლე ტალეკი, მაცუი (80. ელ ბაჰრი), დე მელო.

**სოშო:** რიშერი, დაფი, ბრეშე, პერკისი, პიშო, პიტო, მატისი, ისაბეი, დალმა, ერდინგი (65. სენე), დაგანო (59. მორის-ბელეი).

**გოლები:** 0:1 ერდინგი (44), 0:2 ისაბეი (53)

**გაძევება:** დალმა (63. სოშო)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 9 714

**ლიონი-ტულუზა 3:2**

**ლიონი:** კუპე, რევეიერი, ს. ანდერსონი, სკილაჩი, გროსო, ტულალანი, კლერიოში, ჟუნინიო (70. ბოდმერი), ბენ არფა, ბაროში, ბენზემა (77. რემი).

**ტულუზა:** დუშე, ებონდო, არიბაჟე, სეტო, ილუნგა, დიოზი, სირიეი, მუ. სისოკო (88. ფაბინიო), ბერგუნუ, არაში, ელმანდერი.

**გოლები:** 0:1 რევეიერი (8-საკ. კარში), 1:1 ბენ არფა (16), 2:1 ჟუნინიო (56), 3:1 ბენზემა (65), 3:2 ფაბინიო (90+2)

**გაფრთხილება:** 1-4

**მაყურებელი:** 36 587

**პსჟ-ლანსი 3:0**

**პსჟ:** ლანდრო, სეარა, ზ. კამარა, იეპესი, არმანი, დიგარდი (42. დიანე), კლემანი, მანტემი, როტენი, ლუინდულა (82. ბ. მენდი), ნ'გოგი (54. პაულეტა).

**ლანსი:** რუნიე, დემონი, ბიშევაცი, პილტონი, ობეი (68. ლორენტი), კოვაჩევიჩი, საბლე, ლაკური (86. სი. კეიტა), ბუკარი (62. ხიტერი), ბელაპი, მაულიდა.

**გოლები:** 1:0 პაულეტა (58), 2:0 დიანე (65), 3:0 დიანე (67)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 37 916

**რენი-მარსელი 3:1**

**რენი:** პუპლენი, ეშიეჟილე, ფანი, ჰანსონი, ბრ. შეირუ, ლიმუანი, ლერუა (77. ტომერი), სორლენი, ბრიანი, პაჟისი, ვილტორი.

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ჟივე, კრუპოვიესა, კანა, ბენ. შეირუ, ლ. ნ'დიაიე (46. ჟ. როდრიგესი), ნასრი, ვალბუენა (70. მ'ბოლი), აკალე (72. ზენდენი), ჯ. სისე.

**გოლები:** 0:1 ჯ. სისე (15), 1:1 პაჟისი (38), 2:1 ვილტორი (81), 3:1 ვილტორი (87)

**გაძევება:** კრუპოვიესა (68. მარსელი)

**გაფრთხილება:** 2-0

**მაყურებელი:** 29 778

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 20 | 13 | 3 | 4 | 41-18 | 42 |
| 2. ნანსი | 20 | 9 | 9 | 2 | 25-11 | 36 |
| 3. ბორდო | 20 | 10 | 6 | 4 | 31-24 | 36 |
| 4. ვალანსი | 20 | 9 | 5 | 6 | 25-17 | 32 |
| 5. ნიცა | 20 | 8 | 8 | 4 | 20-14 | 32 |
| 6. კაენი | 20 | 9 | 5 | 6 | 23-19 | 32 |
| 7. ლე მანი | 20 | 9 | 3 | 8 | 26-28 | 30 |
| 8. მონაკო | 20 | 8 | 4 | 8 | 23-19 | 28 |
| 9. რენი | 20 | 8 | 4 | 8 | 21-24 | 28 |
| 10. ლორიანი | 20 | 6 | 9 | 5 | 20-20 | 27 |
| 11. მარსელი | 20 | 6 | 7 | 7 | 21-23 | 25 |
| 12. პსჟ | 20 | 6 | 7 | 7 | 19-20 | 25 |
| 13. სტ. ეტიენი | 20 | 7 | 4 | 9 | 20-22 | 25 |
| 14. ტულუზა | 20 | 6 | 7 | 7 | 21-24 | 25 |
| 15. სტრასბური | 20 | 6 | 6 | 8 | 18-21 | 24 |
| 16. ოსერი | 20 | 7 | 2 | 11 | 18-30 | 23 |
| 17. ლილი | 19 | 4 | 10 | 5 | 19-19 | 22 |
| 18. ლანსი | 19 | 5 | 5 | 9 | 16-24 | 20 |
| 19. სოშო | 20 | 4 | 7 | 9 | 17-25 | 19 |
| 20. მეცი | 20 | 1 | 5 | 14 | 10-32 | 8 |

**ბომბარდირები:** 13 - ბენზემა (ლიონი); 11 - ბელიონი (ბორდო); 10 - ნიანგი( მარსელი), ელმანდერი (ტულუზა), დე მელო (ლე მანი); 8 - საიფი (ლორიანი), კონე (ნიცა); 7 - ნიკულაე (ოსერი), ჟუნინიო (ლიონი).

### II დივიზიონი

XX ტური

| | |
|---|---|
| ბასტია-კლერმონი | 0:0 |
| ბულონი-აიაკო | 0:0 |
| დიჟონი-მონპელიე | 0:2 |
| გრენობლი-ანჟერსი | 0:0 |
| გენიონი-სედანი | 2:3 |
| ლიბურნი-რეიმსი | 1:1 |
| ნიორი-გინგამი | 1:3 |
| ტრუა-ამიენი | 1:0 |
| ნანტი-შატორუ | 2:1 |
| ბრესტი-ჰავრი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნანტი | 20 | 12 | 6 | 2 | 32-15 | 42 |
| 2. ჰავრი | 18 | 10 | 6 | 2 | 33-17 | 36 |
| 3. ტრუა | 19 | 8 | 8 | 3 | 26-18 | 32 |
| 4. კლერმონი | 19 | 7 | 10 | 2 | 29-19 | 31 |
| 5. ანჟერსი | 20 | 8 | 7 | 5 | 20-17 | 31 |
| 6. გრენობლი | 20 | 8 | 6 | 6 | 23-18 | 30 |
| 7. აიაკო | 20 | 8 | 6 | 6 | 22-21 | 30 |
| 8. ბასტია | 19 | 8 | 6 | 5 | 26-19 | 29 |
| 9. მონპელიე | 20 | 7 | 8 | 5 | 21-16 | 29 |
| 10. ბულონი | 20 | 7 | 6 | 7 | 25-26 | 27 |
| 11. სედანი | 19 | 6 | 8 | 5 | 24-23 | 26 |
| 12. ბრესტი | 19 | 7 | 5 | 7 | 18-21 | 26 |
| 13. გინგამი | 20 | 5 | 7 | 8 | 18-20 | 22 |
| 14. ნიორი | 20 | 6 | 4 | 10 | 20-24 | 22 |
| 15. შატორუ | 20 | 5 | 7 | 8 | 20-24 | 22 |
| 16. რეიმსი | 19 | 6 | 4 | 9 | 20-30 | 22 |
| 17. დიჟონი | 20 | 4 | 8 | 8 | 13-27 | 20 |
| 18. ამიენი | 19 | 3 | 6 | 10 | 16-27 | 15 |
| 19. ლიბურნი | 19 | 3 | 5 | 11 | 23-36 | 14 |
| 20. გენიონი | 20 | 2 | 7 | 11 | 20-31 | 13 |

## თურქეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ოფთასი-გენჩლერი | 1:1 |
| კასიმფაშა-გაზიანთეფი | 0:1 |
| კონია-ბეშიქთაში | 1:2 |
| რიზე-გალათასარაი | 2:5 |
| ანკარაგიუჩუ-ანკარა | 1:1 |
| ბურსა-დენიზლი | 1:1 |
| მანისა-კაისერი | 0:1 |
| სივასი-ტრაბზონი | 2:0 |
| ფენერბაჩე-ისთანბული | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სივასი | 18 | 13 | 1 | 4 | 30-13 | 40 |
| 2. გალათასარაი | 18 | 11 | 6 | 1 | 34-14 | 39 |
| 3. ფენერბაჩე | 18 | 11 | 5 | 2 | 32-19 | 38 |
| 4. ბეშიქთაში | 18 | 11 | 4 | 3 | 24-15 | 37 |
| 5. კაისერი | 18 | 7 | 8 | 3 | 25-17 | 29 |
| 6. დენიზლი | 18 | 7 | 4 | 7 | 23-22 | 25 |
| 7. კონია | 18 | 7 | 4 | 7 | 23-29 | 25 |
| 8. გაზიანთეფი | 18 | 7 | 3 | 8 | 23-24 | 24 |
| 9. ანკარაგიუჩუ | 18 | 6 | 6 | 6 | 20-22 | 24 |
| 10. ტრაბზონი | 18 | 6 | 4 | 8 | 22-24 | 22 |
| 11. ისთანბული | 18 | 5 | 6 | 7 | 22-22 | 21 |
| 12. ოფთასი | 18 | 5 | 6 | 7 | 17-17 | 21 |
| 13. რიზე | 18 | 6 | 3 | 9 | 20-32 | 21 |
| 14. ბურსა | 18 | 4 | 8 | 6 | 17-20 | 20 |
| 15. მანისა | 18 | 4 | 5 | 9 | 23-30 | 17 |
| 16. გენჩლერი | 18 | 3 | 6 | 9 | 20-28 | 15 |
| 17. ანკარა | 18 | 2 | 8 | 8 | 15-22 | 14 |
| 18. კასიმფაშა | 18 | 2 | 3 | 13 | 13-33 | 9 |

## საბერძნეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| პანიონიოსი-არისი | 0:3 |
| აეკ-ვერია | 5:1 |
| აპოლონი-ოფი | 1:1 |
| ლარისა-ასტერასი | 1:1 |
| ლევადია-ატრომიტოსი | 2:1 |
| პაოკ-ქსანთი | 0:1 |
| ერგოტელისი-ირაკლისი | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აეკ | 16 | 12 | 0 | 4 | 35-9 | 36 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 16 | 10 | 5 | 1 | 31-13 | 35 |
| 3. პანათინაიკოსი | 16 | 10 | 4 | 2 | 24-7 | 34 |
| 4. ასტერასი | 16 | 8 | 5 | 3 | 17-8 | 29 |
| 5. არისი | 16 | 8 | 4 | 4 | 16-8 | 28 |
| 6. პაოკ | 16 | 7 | 2 | 7 | 19-17 | 23 |
| 7. პანიონიოსი | 16 | 6 | 4 | 6 | 19-23 | 22 |
| 8. ქსანთი | 16 | 6 | 3 | 7 | 17-16 | 21 |
| 9. ატრომიტოსი | 16 | 6 | 3 | 7 | 13-16 | 21 |
| 10. ლარისა | 16 | 2 | 10 | 4 | 12-16 | 16 |
| 11. ირაკლისი | 16 | 3 | 6 | 7 | 12-18 | 15 |
| 12. ოფი | 16 | 4 | 3 | 9 | 20-30 | 15 |
| 13. ლევადია | 16 | 4 | 3 | 9 | 13-29 | 15 |
| 14. აპოლონი | 16 | 3 | 5 | 8 | 15-29 | 14 |
| 15. ვერია | 16 | 3 | 5 | 8 | 12-22 | 14 |
| 16. ერგოტელის | 16 | 2 | 6 | 8 | 10-24 | 12 |

## ჰოლანდია

XIX ტური

**ნაიმეგენი-ტვენტე 2:2**

გოლები: 0:1 ნ'კუფო (16), 1:1 აჩაუი (36-პენ), 2:1 ბოკერინგი (68), 2:2 ენგელაარი (90)

**გრონინგენი-ექსელსიორი 3:2**

გოლები: 1:0 ლოვრე (57), 1:1 დენ უდენი (58), 2:1 ბერგი (63), 2:2 ველასკო (73), 3:2 ლოვრე (90)

**ბრედა-ვენლო 0:0**

**როდა-ვილემი 1:1**

გოლები: 0:1 პოეპონი (36), 1:1 მეუვისი (83-პენ)

**ფეიენოორდი-ეინდჰოვენი 0:1**

გოლი: 0:1 ბაკალი (40)

**გრააფსხაპი-ვიტესი 0:3**

გოლები: 0:1 კოლკი (41), 0:2 ტაკაკი (56), 0:3 კოლკი (79)

**აიაქსი-ალკმაარი 6:1**

გოლები: 0:1 არი (4), 1:1 ვერტონგენი (23), 2:1 პერესი (44-პენ), 3:1 ჰუნტელაარი (61), 4:1 ბაკირჩიოგლუ (67), 5:1 ლეონარდო (87), 6:1 ჰუნტელაარი (89)

**უტრეხტი-ჰერენვეენი 2:2**

გოლები: 0:1 პრანიჩი (1), 0:2 ბრედლი (27), 1:2 მუტი (50), 2:2 კელერი (68)

**ჰერაკლესი-სპარტა 2:0**

გოლები: 1:0 კანსა (12), 2:0 ვან დერ ბერგი (52)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 18 | 12 | 3 | 3 | 40-14 | 39 |
| 2. აიაქსი | 18 | 10 | 6 | 2 | 52-26 | 36 |
| 3. ფეიენოორდი | 18 | 11 | 3 | 4 | 34-14 | 36 |
| 4. გრონინგენი | 19 | 11 | 3 | 5 | 31-30 | 36 |
| 5. ტვენტე | 19 | 8 | 9 | 2 | 30-16 | 33 |
| 6. როდა | 19 | 9 | 6 | 4 | 36-28 | 33 |
| 7. ჰერენვეენი | 19 | 9 | 4 | 6 | 44-27 | 31 |
| 8. უტრეხტი | 19 | 8 | 5 | 6 | 41-33 | 29 |
| 9. ვიტესი | 19 | 8 | 4 | 7 | 26-24 | 28 |
| 10. ბრედა | 18 | 7 | 5 | 6 | 22-25 | 26 |
| 11. ალკმაარი | 17 | 7 | 4 | 6 | 30-24 | 25 |
| 12. გრააფსხაპი | 18 | 6 | 4 | 8 | 21-29 | 22 |
| 13. ვენლო | 19 | 4 | 6 | 9 | 23-38 | 18 |
| 14. ჰერაკლესი | 19 | 4 | 4 | 11 | 15-41 | 16 |
| 15. ნაიმეგენი | 19 | 3 | 5 | 11 | 17-33 | 14 |
| 16. ვილემი | 19 | 3 | 4 | 12 | 19-28 | 13 |
| 17. სპარტა | 18 | 2 | 6 | 10 | 22-44 | 12 |
| 18. ექსელსიორი | 19 | 3 | 3 | 13 | 22-51 | 12 |

**ბომბარდირები:** 18 - ჰუნტელაარი (აიაქსი); 14 - ნ'კუფო (ტვენტე); 11 - აფონსო ალვეში (ჰერენვეენი), ნელისე (უტრეხტი), მაკაი (ფეიენოორდი); 10 - კოვერმანსი (ეინდჰოვენი), სუარესი (აიაქსი); 9 - პერესი (აიაქსი), ბერგი (გრონინგენი), დენ ოუდენი (ექსელსიორი); 8 - არი (ალკმაარი), დე გროოტი (გრააფსხაპი), სიბონი (ჰერენვეენი).

### II დივიზიონი

XXIII ტური

კამბური-ომნივორლდი 1:0; ემენი-ტელსტარი 1:1; დორდრეხტი-ვეენდამი 2:2; ვოლენდამი-ეინდჰოვენი II 6:2; ცვოლე-როსენდალი 1:1; ფორტუნა-დენ ბოში 0:1; ჰაარლემი-აპელდოორნი 2:1; ჰელმონდი-დენ ჰააგი 2:0; ვაალვეიკი-იგლზი 7:2; ტოპ ოსი-მაასტრიხტი 4:1.

## პორტუგალია

XVI ტური

**ფერეირა-მარიტიმუ 3:1**

გოლები: 1:0 ედსონი (8), 1:1 მოსორო (27), 2:1 ვესლი (33), 3:1 ვესლი (44)

**ბენფიკა-ლეიქსოეში 0:0**

**პორტუ-ბრაგა 4:0**

გოლები: 1:0 ლ. ლოპესი (4), 2:0 მეირელესი (17), 3:0 ლ. ლოპესი (82), 4:0 ფარიასი (90)

**ამადორა-ნასიონალი 0:1**

გოლი: 0:1 ალონსო (52)

**ბოავიშტა-ლეირია 3:1**

გოლები: 0:1 ჟოაო პაულუ (13), 1:1 მარსელაო (57), 2:1 რიბეირო (75), 3:1 ფარი (83)

**აკადემიკა-სპორტინგი 1:1**

გოლები: 0:1 ტონელი (81), 1:1 პავლოვიჩი (90)

**ბელენენსეში-ნავალი** გზ. დასრულდა

**სეტუბალი-გიმარაეში** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 16 | 13 | 2 | 1 | 28-5 | 41 |
| 2. ბენფიკა | 16 | 8 | 6 | 2 | 26-9 | 30 |
| 3. სპორტინგი | 16 | 7 | 6 | 3 | 23-15 | 27 |
| 4. გიმარაეში | 15 | 7 | 4 | 4 | 18-18 | 25 |
| 5. სეტუბალი | 15 | 5 | 9 | 1 | 22-15 | 24 |
| 6. ბრაგა | 16 | 6 | 5 | 5 | 18-19 | 23 |
| 7. მარიტიმუ | 16 | 7 | 2 | 7 | 20-16 | 23 |
| 8. ნასიონალი | 16 | 5 | 5 | 6 | 12-13 | 20 |
| 9. ბელენენსეში | 15 | 4 | 7 | 4 | 13-14 | 19 |
| 10. ბოავიშტა | 16 | 4 | 7 | 5 | 17-23 | 19 |
| 11. ამადორა | 16 | 3 | 7 | 6 | 17-19 | 16 |
| 12. ლეიქსოეში | 16 | 2 | 10 | 4 | 15-18 | 16 |
| 13. აკადემიკა | 16 | 3 | 7 | 6 | 16-24 | 16 |
| 14. ფერეირა | 16 | 4 | 3 | 9 | 15-23 | 15 |
| 15. ნავალი | 15 | 4 | 3 | 8 | 10-23 | 15 |
| 16. ლეირია | 16 | 0 | 5 | 11 | 10-26 | 5 |

**ბომბარდირები:** 13 - ლისანდრო ლოპესი (პორტუ); 8 - ლინცი (ბრაგა); 6 - მაკუკულა (მარიტიმუ), ჟოაო პაულუ (ლეირია), ედინიო (სეტუბალი), ნუნუ გომეში (ბენფიკა); 5 - მატეუსი (სეტუბალი), ლიპატინი (ნასიონალი), კარდოსო (ბენფიკა), ლიტო (აკადემიკა), ვესლი (ფერეირა), მარსელაო (ბოავიშტა).

### II დივიზიონი

XVI ტური

ტროფენსე-ფატიმა 1:0; პენაფიელი-ფრეამუნდე 2:2; ეშტორილი-ჟილ ვისენტე 2:0; რიუ ავე-გონდომარი 2:2; ვარზიმი-პორტიმონენსე 0:0; ფეირენსე-სანტა კლარა 0:1; ბეირა მარი-ვიზელა 0:3; ოლჰანენსე-ავეში 2:1.

ინტერვიუ დიდი დეშამთან

# ინგლისში კაპელოს ერთადერთი პრობლემა მის პირად ცხოვრებაში ჩარევა იქნება

## დიდიე: ხანდახან, ხასიათი არ მიწყობს ხელს, რომ ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობა დავამყარო

"იუვენტუსიდან" წასვლის შემდეგ, დიდიე დეშამი დღემდე უმუშევარია. მას თავისი პრინციპები აქვს. საკუთარ ხასიათსაც უჩივის. როგორც ჩანს, ტურინული კარიერის მინურულს განცდილი წყენა მას ისევ გულში აქვს. იტალიელი ჟურნალისტები დეშამს არ ივიწყებენ. ამჯერად, მას "სტამპა" დაუკავშირდა და საინტერესო ინტერვიუც ჩაწერა...



დიდიე დეშამი

**- მიეჩვიეთ უკვე უმუშევარი კაცის ხვედრს?**

- თქვენ წარმოიდგინეთ, უფეხბურთოდაც კარგად ვგრძნობ თავს. შვილი სკოლაში დამყავს, ფორმის შესანარჩუნებლად ვვარჯიშობ კიდეც, ჩოგბურთსაც ვთამაშობ... ფეხბურთს ძირითადად ტელევიზიით ვუყურებ, "კანალ პლუსზე" კომენტარს ვუკეთებ საინტერესო თამაშებს, ორშაბათობით კი საფეხბურთო მიმოხილვაშიც ვმონაწილეობ. მოკლედ, ძალიანაც მომწონს ასეთი ცხოვრება.

**- სამწვრთნელო სამუშაოზე დაბრუნების ვარიანტები თუ გაქვთ?**

- კი, იყო. ზაფხულში რამდენიმე წინადადება მივიღე ფრანგული და უცხოური კლუბებისგან. ოთხ ენას ვფლობ, შესაბამისად, სამსახურის შოვნა პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა შუა სეზონში შეთავაზებებს პრინციპულად არ ვიღებ. ველოდები ახალი სეზონის დაწყებას...

**- "იუვენტუსში" მუშაობამ ბევრი რამ გასწავლათ, არა?**

- რა თქმა უნდა. თუმცა სეზონის დასასრული ჩემთვის მეტად მტკივნეული აღმოჩნდა. სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი მიზეზიც იყო იმისა, თუ რატომ გავაკეთე პაუზა. დრო მჭირდებოდა, რათა ტურინული იმედგაცრუება გადამეტანა.

**- ნანობთ, რომ წასვლა მოგიწიათ, თუ სხვა მიზეზი იყო?**

- არა. იცით, ბევრს რამეს ჩემს ხასიათსაც ვაბრალებ. ხანდახან, სწორედ ხასიათი არ მიწყობს ხელს, რომ ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობა დავამყარო. მაგრამ როგორც კი რაიმე გადაწყვეტილებას ვიღებ, მას არანაირ ფასად არ ვცვლი. შესაძლოა, მეტი მოქნილობა მჭირდებოდა. გამიძნელდა გუნდის დატოვება იმ მომენტში, როცა სერია B-ს მძიმე გამოცდა უკვე ზურგსუკან იყო. აღარ ვიყავი ისეთი დამაჯერებელი, როგორც სეზონის დასაწყისში. ასე რომ, ფული არაფერ შუაშია და გაზეთები ამაზე ტყუილებს წერდნენ. ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ ნეგატიური გამოცდილება ადამიანს ბევრ რამეში ეხმარება, ეხმარება იმაში, რომ რაღაც შეცვალოს, ან თავად შეიცვალოს.

**- სატრანსფერო საკითხებში მეტისმეტად მომთხოვნი ხომ არ იყავით?**

- ვითხოვდი სამი ფეხბურთელის ყიდვას, ისეთი მოთამაშეების, რომლებიც გუნდში სერიოზულ კონკურენციას შექმნიდნენ. ეს იყო და ეს.

**- ხომ არ დაასახელებდით ამ ფეხბურთელებს?**

- ადრე უკვე ვთქვი ამაზე: ტონი, ტურე და გაბრიელ მილიტო.

**- და ტიაგო? ალმირონი?**

- ისინი არ ყოფილან ჩემს სიაში. რატომღაც, "იუვენტუსს" ძალიან უნდოდა მათი ყიდვა, ნებისმიერ ფასად... მაგრამ ახლა ეს საკითხები მე აღარ მეხება და არც მაინტერესებს.

**- როგორ ფიქრობთ, რას მიაღწევს "იუვენტუსი" ამ სეზონში?**

- თუ ჩემპიონთა ლიგაში მოხვდა, ეს ფაქტობრივად სკუდეტოს ტოლფასი იქნება.

**- მზად ხართ იმისთვის, რომ კიდევ იმუშაოთ იტალიაში?**

- ჩემი სახელი "იუვესთან" ასოცირდება... მაგრამ რატომაც არა? თუმცა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ უცხოელი მწვრთნელებისთვის სერია A-ს გზა დაკეტილია, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა.

**- სამაგიეროდ, ძლიერ იტალიელ მწვრთნელებზე უცხოეთში დიდი მოთხოვნაა. რას აზრის ხართ ინგლისის ნაკრებში ფაბიო კაპელოს დანიშვნაზე?**

- კაპელოსთვის ყველაფერი კარგად აეწყო. მას უნდოდა რომელიმე ნაკრებში მუშაობა და მიიღო კიდეც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული თანამდებობა. მაგრამ უცნაურად მეჩვენება, რომ ბრიტანელებმა ვერ იპოვნეს მწვრთნელი თავიანთ სპეციალისტებს შორის. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ კაპელო წარმატებებს მიაღწევს, რადგან დღევანდელი ფეხბურთი, ასე ვთქვათ, უნივერსალურ ენაზე საუბრობს. ფაბიოს ერთადერთი პრობლემა იქნება მის პირად ცხოვრებაში ქექვა. ინგლისში ეს გარდაუვალია და ამას უნდა შეეგუოს.

**- ამავე დროს, მარჩელო ლიპი კარგა ხნით ჩამოსცილდა სამწვრთნელო პრაქტიკას. ეს არ გაკვირვებთ?**

- ...ლიპიც და მოურინიოც. ისე, მართლაც გასაკვირი ამბავია. თუმცა მარჩელომ თავად გააკეთა არჩევანი, ეს მისი პირადი მოტივებია. მერე კი, ისევე როგორც მე, არ ისურვა შუა სეზონში მუშაობის დაწყება. ესეც სერიოზული არგუმენტია.

**- რა აზრის ხართ რობერტო დონადონიზე?**

- მას ევრო 2008-ის წილისყრაზე შევხვდი და წარმატებებიც ვუსურვე. დამეთანხმებით, ადვილი არ იყო ლიპის შეცვლა. მაგრამ ის წავიდა ამ რისკზე. რობერტოსთან ყოველთვის თბილი ურთიერთობა მქონდა, განსხვავებით რაიმონ დომენეკისგან... სხვათა შორის, ახლა პირველად ვამბობ ამას: დომენეკი ხშირად მირეკავდა და "იუვენტუსის" ფეხბურთელებზე, ვინც მას აინტერესებდა, გარკვეულ მონაცემებს მთხოვდა.

**- როდის შეიძლება, რომ დიდიე დეშამი საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს?**

- ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჯერ ისიც არ ვიცი, დავბრუნდები კი ოდესმე სამწვრთნელო სკამზე. თუმცა ამის შანსი რომც გაჩნდეს, დომენეკის შეცვლა ნამდვილად არ მინდა. პირიქით, იმედი მაქვს, რომ მის ხელში საფრანგეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოვა.

**- და როგორ აფასებთ დომენეკის მუშაობას?**

- მას აქვს თავისი იდეები და მოთამაშეთა ფართო არჩევანი, ისეთი არჩევანი, რომ ტრეზეგეც კი ნაკრებს მილმა რჩება. რაც შეეხება მის დამოკიდებულებას იტალიელებთან, ვიტყოდი, რომ დომენეკი ერთგვარი პროვოკაციის მსხვერპლი გახდა, მერე მას "სან სიროზე" უსტვინეს... სამწუხაროა, რომ ასე მოხდა, არადა, საფრანგეთი და იტალია ფეხბურთში ერთმანეთს ყოველთვის პატივს სცემდნენ.

**- რომელ ფრანგ ფეხბურთელებს გამოყოფდით სატრანსფერო ბაზარზე?**

- ჩვენ ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი გვყავს, განსაკუთრებით შემტევი სტილის. ანელკას გარდა, შეიძლება, ყურადღება მივაქციოთ ბენზემას, რომელიც ფენომენალური მოთამაშეა. მიუხედავად ასაკისა, ის უკვე ჩამოყალიბებული პროფესიონალია. ბენზემას აქვს ინტელექტი და სისწრაფე. დარწმუნებული ვარ, ის კიდევ გაიზრდება. ძალიან საინტერესო ფეხბურთელები არიან აგრეთვე ბენ არფა "ლიონიდან", მენეზი "მონაკოდან", ნასრი "მარსელიდან"... არ არის საკმარისი? ჩვენი უპირატესობა ისაა, რომ საფრანგეთში ტალანტები სწრაფად იზრდებიან. მიზეზი მარტივია: მწვრთნელებს არ ეშინიათ მათი ძირითად შემადგენლობაში დაყენება. სამწუხაროდ, ფრანგულ კლუბებს არ აქვთ იმდენი ფინანსები, რამდენიც იტალიელებს, შესაბამისად, ისინი ვარსკვლავებს ვერ ყიდულობენ. ასე რომ, რისკი მუშაობის აუცილებელი პირობაა.

**- ვის დარჩება სკუდეტო ამ სეზონში?**

- "ინტერს" უმაღლესი კლასის ოსტატები ჰყავს. რობერტო მანჩინიმ მშვენივრად მოახერხა მათი ერთ მუშტად შეკვრა. ამიტომ, ეს გუნდი უმთავრესი ფავორიტია. სხვებზე რა გითხრათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# მოდის, რევოლუცია მოდის!

## ვინ იქნება კლინსის პირველი მსხვერპლი?



**იმის** გამო, რომ გერმანიის ჩემპიონატი ტრადიციულად ყველაზე გვიან განახლდება, გასულ უქმეებზე საფეხბურთო გერმანიის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, ის იყო, რომ იურგენ კლინსმანმა „ბაიერნთან" კონტრაქტი გააფორმა. შაბათის ნომერში ამ თემას ერთი გვერდი დავუთმეთ და ასეა დღევანდელ ნომერშიც, თუმცა დღევანდელი მასალა უფრო ანალიზი და მომხდარის ცივი გონებით შეფასებაა.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, რომ მომდევნო სეზონისთვის „ბაიერნის" მთავარ მწვრთნელად **იურგენ კლინსმანის** დანიშვნის ინიციატივა პირველად არა კლუბის ხელმძღვანელებისგან, არამედ თვითონ იურგენ კლინსმანისგან წამოვიდა. როგორც ირკვევა, მას მერე, რაც გაცხადდა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ **ოტმარ ჰიტცფელდი** რეკორდმაისტერს დატოვებდა, კლინსიმ არაერთხელ აგრძნობინა „ბაიერნის" შეფებს, რომ მზად იყო, „გენერალი" შეეცვალა და მეტიც: ეს სამსახური ძალიან უნდოდა.

*„დასამალი არაფერია,"* – ამბობს „ბაიერნის" მენეჯერი **ული ჰიონესი**, - *„სანამ მასთან მოლაპარაკებებს დავიწყებდით, რამდენჯერმე დაგვირეკა. გვეკითხებოდა, რას და როგორ აპირებთო. ერთი სიტყვით, გვაგრძნობინა, რომ ეს სამსახური ძალიან უნდოდა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ „ბაიერნისთვის" ღირსეული მწვრთნელის პოვნა ძალიან გაგვიჭირდებოდა და ლურსმნების ჩაჭედება შუბლით მოგვიწევდა, მაგრამ ყველაფერი ძალიან მარტივად მოხდა და ეს ძალიან მახარებს."*

ული ამბობს, კლინსმანი „ბაიერნისთვის" სასურველი კანდიდატი იყო, მაგრამ ის არ იყო ერთადერთი მწვრთნელი, რომელზეც ვფიქრობდით და რომელთანაც მოლაპარაკებების დაწყება გვსურდაო. *„კიდევ ორი-სამი მწვრთნელი გვყავდა სიაში, მაგრამ არცერთ მათგანთან არ გვისაუბრია. მოლაპარაკებები მხოლოდ კლინსმანთან დავიწყეთ, რადგან პირველივე საუბრის შემდეგ ვიგრძენით, რომ მას ძალიან უნდოდა „ბაიერნის" მწვრთნელად მუშაობა,"* – აცხადებს 56 წლის მენეჯერი.

კლინსმანმა „ბაიერნის" ბოსებს თავისი თავი პირდაპირ თუ ირიბად, პირველად დაახლოებით ერთი წლის წინათ შესთავაზა, როცა გაზეთ „ცაიტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ასეთი რამ განაცხადა: *„მიუხედავად იმისა, რომ ული ჰიონესისგან კარდინალურად განსხვავებული მოსაზრებები მაქვს, მაინც წარმომიდგენია, რომ ოდესმე და სადმე მასთან ერთად ვიმუშავო. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მიუნხენის „ბაიერნში".* ჰიონესს კი ყველაზე მეტად ის ახარებს, რომ კლინსმანისა და „ბაიერნის" შეთანხმების ინფორმაციის პირველი წყარო „ბაიერნის" ოფიციალური ვებგვერდი იყო და არა რომელიმე გაზეთი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოლაპარაკებები და შეთანხმება ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა. მენეჯერის აზრით, ეს კარგის ნიშანია.

კლინსი გუშინ თავისი მომავალი შეგირდების საქმეში ნახვას აპირებდა. „ბაიერნმა" ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ჩინეთის ოლიმპიური ნაკრები 7:2 გაანადგურა. მაგრამ იურგენმა მატჩზე დასწრება ბოლო მომენტში გადაიფიქრა – მიზეზი უცნობია. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ის კიდევ ცოტა ხანს კალიფორნიაში იცხოვრებს და მოამზადებს გეგმას სახელწოდებით „ბაიერნი 2008/09". ახლა კლინსის მთავარი ამოცანა, სამწვრთნელო შტაბის შექმნაა, შტაბისა, რომელიც 1 ივლისიდან რეკორდმაისტერის გაწვრთნას უნდა შეუდგეს.

*„ერთი-ორი თვე მაქვს იმისათვის, რომ ყველაფერზე ჩამოვყალიბდე. ფაქტია, რომ თქვენ არ იხილავთ ერთი კაცის შოუს, არამედ „ბაიერნშიც" ისე იქნება, როგორც ეს გერმანიის ნაკრებში იყო – მეყოლება შტაბი და ჩვენ ერთად ვუხელმძღვანელებთ გუნდს. ჩემი შტაბი, ასე ვთქვათ, საერთაშორისო იქნება, მაგრამ მეტწილად ამერიკელებით დაკომპლექტდება,"* – აცხადებს იურგენი და იქვე ამატებს, რომ ის უკვე ფიქრობს რამდენიმე კანდიდატურაზე, მაგრამ მათ გვარებს, რა თქმა უნდა, არ აკონკრეტებს.

ექსპერტები ყველაზე დიდ მნიშვნელობას ასისტენტის როლს ანიჭებენ. მართლაც, ყველაზე საინტერესო ისაა, თუ ვინ იქნება კლინსმანის მარჯვენა ხელი. გერმანიის ნაკრებში ასეთი **იოახიმ ლიოვი** იყო და აკი არაერთხელ დაწერილა, რომ ბუნდესგუნდში ტაქტიკოსიც ლიოვი იყო და სტრატეგიც, კლინსმანს კი უფრო მოტივატორის როლი ჰქონდა. მიმომხილველებმა უკვე დაწერეს, კლინსმანი ლიოვის გარეშე არაფერს წარმოადგენსო და ერთიც ვნახოთ, ვინ იქნება „ბაიერნში" მისი ლიოვი.

გუშინ გერმანულ პრესაში გავრცელდა ცნობა, რომ კლინსის ასისტენტად **გვიდო ბუხვალდი** მოიაზრება. ბუხვალდს „კიოლნერ ექსპრესის" კორესპონდენტი დაუკავშირდა და აი, რა განაცხადა 46 წლის სპეციალისტმა, რომელიც კლინსის ახლო მეგობრად მიიჩნევა: *„ამ საქმისთვის მზად ვარ. „ბაიერნში", მით უმეტეს იურგენთან ერთად დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი."* ბუხვალდი ბოლოს მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე აახენის „ალემანიას" წვრთნიდა, საიდანაც გაათავისუფლეს და ახლა უმუშევარია. თუმცა ბუხვალდი ამბობს, რომ კლინსმანს მას თანამშრომლობის თხოვნით არ მიუმართავს. „ბილდი" კი წერს, რომ მათ შორის სატელეფონო საუბარი უკვე შედგა. ფაქტია, რომ „ბაიერნში" მომავალი არ ექნება **ოტმარ ჰიტცფელდის** მუდმივ ასისტენტ **მიხაელ ჰენკეს**, რომელიც ალბათ „გენერალს" შვეიცარიის ნაკრებში გაჰყვება. ცხადია ისიც, რომ კლინსმანი ჰიტცფელდის სამწვრთნელო შტაბს არ შეინარჩუნებს და ყველას გაუშვებს.

■ ■ ■

როცა **ფრანც ბეკენბაუერმა**, ული ჰიონესმა, **კარლ ჰოპფნერმა** და **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** კლინსმანი ოფიციალურად წარადგინეს, იურგენმა გაიცინა და თქვა, კარგად ვიცი, რაშიც გავყავი თავი და მინდა ვთქვა, რომ ყველაფრისთვის მზად ვარო. ვინ ვინ და „ბაიერნის" შეფებმა ალბათ ყველაზე უკეთ უწყიან, რომ კლინსმანის მოსვლის შემდეგ რეკორდმაისტერში ძალიან ბევრი რამ აღარ იქნება ისე, როგორც ახლაა. მართალია, იურგენმა პრესკონფერენციაზე თქვა, იმდენ ცვლილებას ნამდვილად არ განვახორციელებ, რამდენიც გერმანიის ნაკრებში განვახორციელეო, მაგრამ ფაქტია, რომ „ბაიერნმა" კლინსმანის სახით რევოლუცია „იყიდა".

მოდით, ერთად დავფიქრდეთ: ვინ შეიძლება გახდეს კლინსმანის პირველი მსხვერპლი 1 ივლისის შემდეგ, ანუ, როცა იურგენი ძალაუფლებას მიიღებს?

ზემოთაც ვთქვით, რომ სამწვრთნელო შტაბი ალბათ მთლიანად შეიცვლება - ჰიტცფელდის მიერ მოყვანილი ყველა სპეციალისტი წავა. საინტერესოა, რა ბედი ელის ული ჰიონესს? უკვე 29 წელიწადია, რაც ული ყოველთვის მწვრთნელის გვერდით, სათადარიგოთა სკამზე ზის და გამორიცხული არაა, რომ კლინსმანმა მას ტრიბუნაზე მიუჩინოს ადგილი. მართალია, აქ ბოსი ჰიონესია, მაგრამ ვაი და კლინსმანმა მის გვერდით ჯდომა არ მოინდომოს? ფაქტია, რომ ული და კლინსი კარგი მეგობრები არასდროს ყოფილან და ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ჰიონესი იურგენს ეგოისტს უწოდებდა.

**ვილი სანიოლს** „ბაიერნის" ხელმძღვანელებისგან მიღებული აქვს პირობა, რომ **ოლივერ კანის** ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ გუნდის კაპიტანი გახდება და ფრანგ მცველს დიდი იმედი აქვს, რომ ასეც იქნება, მაგრამ კლინსმანს ძველი პირობები და დაპირებები არ აინტერესებს. თუ ვინ იქნება „ბაიერნის" კაპიტანი, ეს მხოლოდ იურგენის გადასაწყვეტი იქნება, როგორც ეს გერმანიის ნაკრებში გააკეთა – გეხსომებათ, კანს კაპიტნის სამკლაური ჩამოართვა და გუნდის თავად **მიხაელ ბალაკი** დანიშნა. მერე კი, კანს პირველი მეკარის სტატუსიც წაართვა. ასე რომ, სანიოლს ურჩევნია, სამკლაურზე პრეტენზია არ გამოთქვას...

დიდი შანსია, რომ კლინსმანს არ დასჭირდება ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან **დანიელ ვან ბუიტენი** და **იან შლაუდრაფი**. მოედანს მიღმა კი, მთავარი დისციპლინა და პროფესიონალიზმი იქნება. იურგენი მკაცრად დასჯის უდისციპლინო ფეხბურთელებს და ვერ აიტანს ისეთ ამბებს, რაც მაგალითად შარშან **კრისტიან ლელს** გადახდა (ორჯერ დააკავეს იმის გამო, რომ მეგობარი გოგონა სცემა). გეხსომებათ, რომ **კევინ კურანის** შემთხვევაში საკმარისი იყო ორი დაგვიანება და თამაშამდე ორი დღით ადრე დისკოთეკაზე გართობა, რომ კლინსმანს ის მუნდიალის განაცხადში არ შეეყვანა.

კანის წასვლის შემდეგ "ბაიერნის" კარი **მიხაელ რენზინგმა** უნდა დაიცვას. იქნება კი ასე? სენსაციური ვარიანტი: კლინსმანი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ 38 წლის **იენს ლემანს** აიყვანს და რენზინგის კონკურენტად დასვამს. ამ უკანასკნელს ზაფხულში „არსენალთან" კონტრაქტი უმთავრდება. **ოლივერ ბირჰოფი** ამბობს, ლემანი რომ კლინსმანის საყვარელი მეკარეა, ეს ყველამ ვიცით.ლემანი „ბაიერნში" – ეს ძალიან არარეალურია, მაგრამ ფეხბურთში არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება, მით უმეტეს მაშინ, როცა კლინსმანთან გვაქვს საქმე.

კლინსიზე ვერავინ იტყვის, არაკომუნიკაბელურიაო, მაგრამ ფაქტია, რომ მას არ უყვარს, როცა მის შეგირდებს ქომაგები აწუხებენ. უკვე გაირკვა, რომ მან „ბაიერნის" სავარჯიშო კატაკომბებიდან მოედნამდე გვირაბი მოითხოვა, რათა ფეხბურთელი ისე გავიდეს მოედანზე, რომ არავინ შეაწუხოს. რეკორდმაისტერის შეფებმა რამდენიმე თვის წინ წამოწყეს ახალი ავტოსადგომის მშენებლობა, სადაც ფანები ფეხბურთელებს ველარ შეაწუხებენ. ფაქტია ისიც, რომ ისევე, როგორც გერმანიის ნაკრებში, „ბაიერნის" ვერცერთი ფეხბურთელი ველარ გასცემს ინტერვიუს კლინსის თანხმობის გარეშე. შაბათს იურგენმა ისეთ ტელეკომპანიებს უთხრა ინტერვიუზე უარი, როგორებიცაა ARD და ZDF...

გოტფრიდ ლენცი

## ეფენბერგი: პოლდის არანაირი ბონუსი არ ექნება!

გილოცავ, იურგენ! რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ მსოფლიოში ყველაზე იღბლიანი მწვრთნელი ხარ. ამაზე მეტი იღბლიანობა უკვე წარმოუდგენელია. სამწვრთნელო კარიერაში შენი პირველი სამსახური გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი იყო, მეორე კი გერმანიის საუკეთესო კლუბის, „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტი იქნება. მინდა ვთქვა, რომ ეს კაგრი გადაწყვეტილებაა, რადგან კლინსმანი გერმანელია. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ენის ცოდნას ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს. კლინსმანი იცნობს კლუბს, მის გარემოს, გერმანულ მედიას და იცის აქაური წნეხის სიმძიმეც. ეს საუკეთესო კრიტერიუმებია იმისათვის, რომ მან „ბაიერნში" წარმატებას მიაღწიოს.

ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებრალია კრიტიკა იმის შესახებ, რომ ვითომ კლინსმანი ყოველდღიურ სამუშაოს ვერ გაუძლებს და სადავეები ხელიდან გაექცევა. ცხადია, კლუბში მუშაობა ნაკრებში მუშაობისგან კარდინალურად განსხვავდება, მაგრამ იურგენი საკლუბო ფეხბურთზე იოლად გადაეწყობა – ამაში დარწმუნებული ვარ. ამისათვის ის საკმარისად ჭკვიანია. და კიდევ ის, რომ ადრე ჰიონესთან დაპირისპირება ჰქონდა, მხოლოდ და მხოლოდ წარსულის გადმონაშთია და მეტი არაფერი.

მოკლედ, კლინსმანისა და „ბაიერნის" თანამშრომლობის დაწყების დღეს მოუთმენლად ველოდები. ცხადია ისიც, რომ **პოდოლსკის** და **შვაინშტაიგერს** ძალიან უხარიათ იმ მწვრთნელის მოსვლა, რომლის ხელშიც გაითქვეს სახელი. მაგრამ ვინც ფიქრობს, რომ კლინსმანის მწვრთნელობა შვაინისთვის ან პოლდისთვის სხვებთან შედარებით უპირატესობას ნიშნავს, სასტიკად ცდება. კლინსმანი არცერთს არ მიანიჭებს ბონუსს. ზაფხულში „ბაიერნში" ყველაფერი ნულიდან დაიწყება.

## ზამერი: კლინსმანი უნდა შეიცვალოს!

ძალიან მიხარია, რომ „ბაიერნმა" იურგენ კლინსმანის სახით გერმანელი სპეციალისტი მიიწვია. ეს მთელი საფეხბურთო გერმანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნიშანია. თუმცა მე ამ გადაწყვეტილებამ მაინცა და მაინც არ გამაკვირვა, რადგან თუკი „ბაიერნის" მწვრთნელთა სიას გადავხედავთ და დავფიქრდებით იმაზე, თუ ვინ ესადაგება რეკორდმაისტერის ჩარჩოებს, ბევრ კანდიდატს ნამდვილად ვერ მივაგნებთ. უნდოდათ თუ არ უნდოდათ, ყველა გზა კლინსმანისკენ ამ **მათეუსისკენ** მიდიოდა.

თუმცა „ბაიერნის" შეფების გადაწყვეტილება მაინც უდიდეს პატივისცემას იმსახურებს. თუნდაც იმიტომ, რომ წარსულში კლინსმანი, როგორც ფეხბურთელი და მერე როგორც ბუნდესმწვრთნელი, მიუნხენური კლუბის შეფებს არაერთხელ დაუპირისპირდა. ამიტომაც მისასალმებელია ის ფაქტი, რომ „ბაიერნის" შეფებმაც და იურგენმაც ეგოიზმი დაივიწყეს და პროფესიულად მოიქცნენ.

ფაქტია, რომ კლინსმანი უნდა შეიცვალოს. „ბაიერნი" სხვაა, გერმანიის ნაკრები კი სულ სხვა – მიუნხენში კლინსის ნამდვილად არ ექნება იმის დრო, რომ დაისვენოს და საკუთარი ელემენტები დატენოს. „ბაიერნში" მას საერთოდ არ ექნება თავისუფალი დრო. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერს ფრიადზე გააკეთებს და ყველა პრობლემას მოაგვარებს, რადგან ის ყოველთვის პროგრესულად მოაზროვნე, კარგი დამგეგმავი, კარგი დიპლომატი და კარგი სტრატეგი იყო. და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ის ლამის პოლიგლოტია – „ბაიერნის" თითქმის ყველა ფეხბურთელს მშობლიურ ენაზე დაელაპარაკება. ეს კი უდიდესი პრივილეგიაა.

## დაუმი: კლინსმანი ბაიერნში ახალ იმპულსებს მიიტანს!



ვულოცავ „ბაიერნს"! რეკორდმაისტერმა ძალიან მოკლე დროში მიიღო ფაქტობრივად იდეალური გადაწყვეტილება. პირველი: კლინსმანი გერმანულად საუბრობს! მეორე: იურგენი ბუნდესლიგის შვილია! მესამე: კლინსმანი ის კაცია, ვინც „ბაიერნის" რამდენიმე ფეხბურთელი მსოფლიო დონის ვარსკვლავად აქცია. კლინსიმ შესანიშნავად იცის „ბაიერნის" და საერთოდ გერმანული ფეხბურთის ავან-ჩავანი და არასდროს გაურბის პასუხისმგებლობას.

აქამდე ისე იყო, რომ ვინც არ უნდა ყოფილიყო „ბაიერნის" მწვრთნელი, გუნდს ყოველთვის ჰქონდა იმის პოტენციალი, რომ ტიტულებისთვის ებრძოლა. ეს ფაქტი კლინსმანს სამსახურს კიდევ უფრო გაუადვილებს და უფრო იოლს გახდის იმას, რომ კლინსიმ თავისი იდეები განახორციელოს, გუნდში ახალი იმპულსები შეიტანოს და ტიტულები მოაგებინოს.

თუმცა აშკარაა ისიც, რომ ყოველდღიური სამსახური კლინსმანს აქამდე არ ჰქონია და „ბაიერნი" გაცილებით რთულ პირობებში ივერთნება, ვიდრე გერმანიის ნაკრები. თანაც, მიუნხენურ კლუბში კლინსმანს უფრო მეტ ვარსკვლავებთან ექნება საქმე. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ იურგენი ყველა სირთულეს გადალახავს და „ბაიერნს" თავის ხელს ძალიან მალე დაატყობს.



ტულონი-ნარბონი. ჯორჯ გრეგანი, ენდი მერთენსი და გია ლაბაძე

ლეგიონერები

# ჰაინეკენი, ჩელენჯი, საფრანგეთი...

ყველაზე პრესტიჟულ სარაგბო ევროტურნირ, ჰაინეკენის თასის გათამაშებაში ჯგუფური ეტაპი დასასრულს უახლოვდება. ერთი ტურით ადრე E ჯგუფში მოასპარეზე ქართველი მორაგბეების გოდერძი შველიძისა და დავით ზირაქაშვილის „კლერმონი" პლეიოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს.

ბოლოსწინა ტურში „კლერმონმა" შინ ირლანდიური „მანსტერი" მიიღო და 26:19 დაამარცხა. ვულკანების შემადგენლობაში ქართველთაგან მხოლოდ ზირაქაშვილმა ითამაშა, ის შეხვედრაში 58-ე წუთიდან ჩაერთო. ჯგუფის ლიდერმა ინგლისურმა „ვოსფსმა" კი შინ სძლია აუტსაიდერს, უელსის „პლანეპ-ლის" 40:7. ბოლო ტურში კლერმონი საკუთარ მოედანზე სწორედ უელსელებს უმასპინძლებს. ქართველთა გუნდს აუცილებლად ოთხი ან მეტი ლელოს გატანა და გამარჯვება მართებს, რათა მეოთხედფინალში როგორც საუკეთესო მეორეადგილოსანმა გაალწიოს.

E ჯგუფი. ვოსფსი-18 ქულა, მანსტერი-15, კლერმონი-14, პლანეპლი-0

**ჰაინეკენის თასი. V ტური**

A ჯგუფი. ლონდონ აირიში (ინგ) - ნიუპორტი (უელ) 41:24, პერპინიანი (საფ) - ბენეტონი (იტ) 55:13. ლონდონ აირიში - 19 ქულა, პერპინიანი - 18, ნიუპორტი - 8, ბენეტონი - 5

B ჯგუფი. ალსტერი (ირ) - ბურგუენი (საფ) 25:24, ოსფრიზი (უელ) - გლოსტერი (ინგ) 32:15. გლოსტერი - 19 ქულა, ოსფრიზი - 17, ბურგუენი - 7, ალსტერი - 5

C ჯგუფი. სტად ფრანსე (საფ) - ბრისტოლი (ინგ) 19:11, კარდიფი (უელ) - ჰარლიქვინზი (ინგ) 23:12. კარდიფი - 16 ქულა, სტად ფრანსე - 13, ბრისტოლი - 12, ჰარლეინზი - 2

D ჯგუფი. ვიადანა (იტ)-გლაზგო (შოტ) 15:18, სარასენზი (ინგ)-ბიარიცი (საფ) 45:16. სარასენზი-20 ქულა, გლაზგო-15, ბიარიცი-13, ვიადანა-3

F ჯგუფი. ლენსტერი (ირ) - ტულუზი (საფ) 20:13, ედინბურგი (შოტ) - ლესტერი (ინგ) 17:12? ტულუზი - 15 ქულა, ლენსტერი - 12, ლესტერი - 10, ედინბურგი - 9

ჩელენჯ კაპის გათამაშებაში ბოლოსწინა ტურმა შემდეგ ეტაპზე გამსვლელთა ვინაობის უმრავლესობა გამოავლინა. მათ შორის ჯერჯერობით არ არიან ქართველ მორაგბეთა გუნდები, თუმცა პლეი ოფში გასვლის შანსს ერთბაშად ოთხი გუნდი - „ოში", „ბრივი", „მონპელიე" და „კასტრი" ინარჩუნებს. ბოლო ტური გაარკვევს, ამ კლუბებიდან რომელი გააგრძელებს ასპარეზობას, როგორც უკეთესი მეორეადგილოსანი.

A ჯგუფში **მამუკა მაგრაქველიძის** „ოში" თანამემამულეთა გუნდს „ალბის" მასპინძლობდა და გამარჯვებას მატჩის ბოლო წუთებზე მიაღწია 15:13. მაგრაქველიძემ შეხვედრაში თავიდან ბოლომდე ითამაშა. ჯგუფის გამარჯვებული კი ინგლისური „ბასია", რომელმაც მე-5 ტურში გასვლით მატჩში დაამარცხა იტალიური „ოვერმაკი" 31:13.

A ჯგუფი ბასი - 23 ქულა, ოში - 14, ალბი - 7, ოვერმაკი - 6

C ჯგუფში პლეი ოფში გასვლისათვის იბრძვის **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი", რომელიც შინ დამარცხდა გათამაშების ლიდერ ინგლისურ „ნიუკასლთან" 12:19. ხინჩაგიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს. ამავე ჯგუფში ირლანდიურმა „ქონოთმა" სტუმრად მოიგო ესპანეთში „ელ სალვადორთან" 60:0.

C ჯგუფი. ნიუკასლი - 19 ქულა, ბრივი - 16, კონოთი - 9, ელ სალვადორი - 0

D ჯგუფში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ორი გუნდიდან უკეთესი შედეგი „მონპელიეს" აქვს ბოლოსწინა ტურში ერთმანეთის პირისპირ სწორედ **მამუკა გორგოძის** „მონპელიე" და **ავთანდილ კოპალიანის** „ბაიონი" იდგნენ. მონპელიელებმა გასვლით შეხვედრაში რთული, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელი გამარჯვება მოიპოვეს 26:24. გორგოძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, კოპალიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე შეცვალეს. ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა ინგლისურმა „სელ შარკსმა", რომელმაც შინ დაამარცხა „პადოვა" 45:6.

D ჯგუფი სეილ შარკსი - 25 ქულა, მონპელიე - 17, ბაიონი - 8, პადოვა - 1

E ჯგუფშიც ორი „ქართული" კლუბია. **ძმები გიორგაძეების** გუნდებიდან უკეთ უფროსის, **აქვსენტის** „კასტრი" ასპარეზობს. კასტრელებმა მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს სტუმრად იტალიაში „კალვიზანოსთან" 27:9. „გლობუსამ" თავიდან ბოლომდე ითამაშა. **ირაკლის** „დაქსი" კი სტუმრად დამარცხდა ჯგუფის ლიდერ, ინგლისურ „ლიდსთან" 18:25. ირაკლის თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

E ჯგუფი. ლიდსი - 19 ქულა, კასტრი - 17, კალვიზანო - 9, დაქსი - 3.

B ჯგუფი. მონტობანი (საფ)-ვურსტერი (ინგ) 7:24, ბუქარესტი (რუმ)-პარმა (იტ) 21:20 ვურსტერი-24 ქულა, მონტობანი-11, ბუქარესტი-10, პარმა-3

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მე-2 დივიზიონში მე-11 ტურის შეხვედრები გაიმართა, რის შედეგადაც ლიდერებში მყოფ ქართველ მორაგბეთა გუნდების ხუთეულის ერთი, „გრენობლი" გამოაკლდა.**

კვლავ ერთპიროვნულად უდგას სატურნირო ცხრილს სათავეში **გია ლაბაძის** „ტულონი", რომელმაც ამჯერად საკუთარ მოედანზე დიდი გაჭირვებით დაამარცხა **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი" 21:20. ლაბაძემ მატჩში თავიდან ბოლომდე ითამაშა. ძირითად შემადგენლობაში იყო კუთარაშვილიც, რომელიც 47-ე წუთზე შეცვალეს.

ისევ აკვირვებს რაგბის სპეციალისტებს **ირაკლი მაჩხანელის** „მონ დე მარსანი", რომელმაც შინ დაამარცხა „ლიონი" 19:10; მაჩხანელი ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ქარველი მორაგბეებს გარეშე ჩაიარა **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ორიაკისა" და **ლევან ლვაბერიძის** „გრენობლის" ორთაბრძოლამ. გამარჯვება ამ მატჩში მასპინძლებს დარჩათ 12:10.

სტუმრად ვერაფერს გახდა „ლა როშელთან" **ანტონ ფეიქრიშვილის** „აჟენი" 6:17. ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო. სტუმრად მოიგო **მერაბ კვირიკაშვილის** „პომ". ამჯერად აუტსაიდერ „ბლანიაკთან" 19:17 მეკოს არ უთამაშია.

საკუთარ მოედანზე დამარცხდა „ბეზიესთან" **იგორ ბარბაქაძის** „ტარბი" 7:11. ბარბაქაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 40-ე წუთზე შეცვალეს. **დავით აშვეთიას** „იიონაქსმა" კი სტუმრად ინვნია მარცხი „ბორდოსთან" 16:33. აშვეთია 52-ე წუთზე შეცვალეს.

II დივიზიონი. X ტური. ლა როშელი - აჟენი 17:6, ტულონი - ნარბონი 21:20, მონ დე მარსანი - ლიონი 19:10, ბორდო - იიონაქსი 33:16, ბლანიაკი - პო 17:19, მეტრო რასინგი - ლიმოჟი 29:0, ტარბი - ბეზიე 7:11, ორიაკი - გრენობლი 12:10

1. ტულონი - 44 ქულა, 2. მონ დე მარსანი - 36, 3. ორიაკი - 33, აჟენი - 33, 5. მეტრო რასინგი - 31, 6. ბეზიე - 30, 7. გრენობლი - 29, 8. ლიონი - 25, 9. ლა როშელი - 25, 10. პო - 21, 11. ნარბონი - 20, 12. იიონაქსი - 18, 13. ბორდო - 17, 14. ტარბი - 15, 15. ლიმოჟი - 13, 16. ბლანიაკი - 4.

**ბესიკ ჯანგავაძე**

LOYALCAPITAL group
ქვარციტი QUARTZITE
BTA Silk Road Bank



იანვრის ბაშო

# წლის პირველი და კარიერის პირველი

გუშინ ტოკიოს დარბაზ „რიოგოკუ კოკუგიკანში" წლის პირველი სუპერტურნირი, იანვრის ბაშო დაიწყო. პირველად მეორე ელიტურ დივიზიონ ძურიოში ქართველი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** გამოჩნდა, 20 წლის ფალავანმა იორიკირის ილეთით პირველი გამარჯვება იზეიმა - მან უმაღლეს დივიზიონ მაკუუჩიში ასპარეზობის გამოცდილების მქონე **სატოიამა** დაამარცხა. ლევან გორგაძე ძურიოს დივიზიონის დასავლეთის მე-12 ფალავანია. მისი მიზანი ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება და ძურიოში რეიტინგში წინსვლაა. 26 წლის **კოკაი** აღმოსავლეთის მეცხრე მაეგაშირაა, გუშინ მანაც გაგვახარა - **ვაკაკირინი** ძალიან ეფექტური გდებით (სუკუინაგე) დაამარცხა.

დღეს კოკაის მეტოქე 22 წლის მონღოლი, მერვე მაეგაშირა **კაკურიუა**, ბოლო ხანს ისინი ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს - 2:2. ძურიოდ დივიზიონში ტოჩინოშინი 25 წლის **კიტატაიკის** შეხვდება. კოკაი 146 კილოს იწონის, ტოჩინოშინი - 145-ს. მესამე დივიზიონ მაკუშიტაში გადასული **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** პირველ დღეს ისვენებდა.

ივლისის შემდეგ პირველად იჭიდავა მონღოლმა დიდმა ჩემპიონმა **ასაშორიუმ**, რომელმაც **კოტოშოგიკუ** დაამარცხა. მოიგო მეორე იოკოძუნამაც, **ჰაკუჰომ დეჯიმას** აჯობა. პირველ დღეს მოულოდნელად დამარცხდა ოძეკი **ჩიოტაიკაი**, რომელიც ტრავმირებული შეხვდა იანვრის (ჰაცუ) ბაშოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ტოჩინოშინი

ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)
**13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)**

**მაკუუჩი**

I დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ვაკაკირინი 1:0 (სუკუინაგე), ჰაკუჰო-დეჯიმა 1:0, ასაშორიუ-კოტოშოგიკუ 1:0, კისენოსატო-ჩიოტაიკაი 1:0, კოტომიცუკი-ტოკიტენკუ 1:0, კაიო-ტოიონოშიმა 1:0, კოტოოშუ-მიაბიამა 1:0, ამინიშიკი-გოეიდო 1:0, ტოჩინონადა-ამა 1:0, ასასეკირიუ-ვაკანოსატო 1:0, ტამაკასუგა-როპო 1:0, ჰოკუტორიკი-ბარუტო 1:0, ტაკეკაძე-ჰომაშო 1:0, კაკურიუ-ტოიოჰიბიკი 1:0. კიოკუტენჰო-ვაკანოპო 1:0.

II დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-კაკურიუ, ასაშორიუ-კისენოსატო, ჰაკუჰო-ტოკიტენკუ, კოტომიცუკი-დეჯიმა, კაიო-კოტოშოგიკუ, კოტოოშუ-ტოიონოშიმა, ჩიოტაიკაი-მიაბიამა, ამა-გოეიდო, ამინიშიკი-ტოჩინონადა, ტამაკასუგა-ასასეკირიუ, ვაკანოსატო-როპო, ჰოკუტორიკი-ჰომაშო, ბარუტო-ტაკეკაძე, კასუგაო-კიოკუტენპო, ფუტენო-ივაკიამა.

**ძურიო**

I დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი-სატოიამა 1:0 (იორიკირი), კორიუ-კასუგანიშიკი 1:0, რიუოჩიოპაკუპო 1:0, საკაიძავა-ჰაკუროძანი 1:0, ოცუკასა-კოტოკასუგა 1:0.

II დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი-კიტატაიკი 1:0, რიუოკორიუ, კასუგანიშიკი-ჩიოპაკუპო, ოცუკასა-ჰაკუროძანი, საკაიძავა-კოტოკასუგა.



კოკაი ვაკაკირინის ამარცხებს



ეროვნული ნაკრები

# დუშეთი და პირდაპირი რეპორტაჟი გადაწყვეტილია!

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები დღეიდან დუშეთის სპორტულ კომპლექსში დასკვნით მოსამზადებელ ეტაპს გაივლის მოახლოებული „ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის.

როგორც გუშინ ხელბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, დუშეთის დარბაზმა ყველანაირი მოთხოვნა დააკმაყოფილა - იქ გათბობაცაა და მოედნის ზომებიც შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.

ოფიციალურად გადაწყდა ისიც, რომ 20 იანვარს, საქართველო-ლუქსემბურგის ფინალს აუცილებლად ნახავს ქართველი გულშემატკივარი. ამ დღეს, 18 საათზე, ტელეკომპანია საზოგადოებრივი მაუწყებელი ფინალის პირდაპირ რეპორტაჟს გადმოსცემს ნორვეგიიდან.

**კობა ხატისაშვილი**

## ჭადრაკი

### საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. ქალები

# ყინვა და ცაიტნოტი...



ბელა ხოტენაშვილი

ამ უქმეებზე საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშებაში მესამე და მეოთხე ტური გაიმართა. როგორც იტყვიან, ტურნირი გახურდა. თუმცა, სიმართლე ითქვას, გახურდა კი არა, პირიქით - გაცივდა და თუ რატომ, ახლავე მიხვდებით. საქმე ის გახლავთ, რომ საახალწლოდ დაჭერილმა ცივმა ამინდებმა როგორც ჩანს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში რაღაც დააზიანა და სასახლეს ელექტროენერგია არ მიეწოდება. ლოკალური ავარია შაბათ დილით მოხდა, მაგრამ პრობლემის მოგვარება ღამემდე ვერ მოხერხდა. არადა, თითქოს არ უნდა იყოს დიდად სანვალებელი საქმე. ეჭვი გვაქვს, ქალაქის შესაბამისი სამსახურები უქმეებზე ისვენებდნენ და მუშა ჯგუფების შეკრება ვერ მოხერხდა.

აბა, ერთი მოჭადრაკეებს კითხეთ, როგორ ითმენენ და მერე იფიქრონ დასვენებაზე. ისედაც საოცრად ცივა თბილისში და ამ პირობები რომ შუქს ვერ მიანვდი შენობას, როგორ უნდა მოახერხო ჯანსაღად აზროვნება და პარტიის ზუსტად წარმართვა, საკითხავია. ვერც ახერხებენ, უფრო სწორად ძალიანაც ეშლებათ ხელი - ისეთ შეცდომებს უშვებენ, თავადაც უკვირთ. კიდევ კარგი გაზით მომარაგება მაინც არ შეწყვეტილა და ორიოდე ქურა გამართულად მუშაობს, თუმც მათი სიმძლავრე საკმარისი არაა - ახლოს თუ მიუჯდები გაზქურას, თორემ ორიოდ მეტრის მოშორებით გინდ მჯდარხარ, გინდ - არა. ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ დღეისთვის მოხერხდება ელექტროენერგიის აღდგენა და მონაწილეებს უკეთეს პირობებში მოუხდებათ თამაში.

კურიოზული შეცდომები ვახსენეთ და ამ მხრივ გამორჩეული მეოთხე ტური იყო. მეორე დაფაზე **ნინო ბაციაშვილი ინგა ჭარხალაშვილს** ხვდებოდა. ორივეს 2,5 ქულა ჰქონდა და ნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ **ბელა ხოტენაშვილსა და მაკა ფურცელაძეს,** რომლებიც თავის მხრივ ერთმანეთში არკვევდნენ ურთიერთობას. ბარემ ვიტყვით, რომ თეთრებით მოთამაშე ხოტენაშვილმა კარგად წარმართა შეხვედრა და თავიდანვე მოპოვებული უპირატესობის ბოლომდე მიყვანა შეძლო. ბელას 4 ქულა გაუხდა, რაც ერთადერთი მაქსიმალური შედეგია ტურნირზე.

ბაციაშვილ-ჭარხალაშვილის ბრძოლა თანაბრად წარიმართა. დაფაზე მალე მძიმე ფიგურები გაქრა და ერთი ფერის კუთა ენდშპილი გამოვიდა, რომლებთაც 5-5 პაიკი უმაგრებდა ზურგს. პაიკთა განლაგებაც სიმეტრიული იყო, ამიტომ აქ რომელიმე მხარის მოგება თითქმის გამორიცხული გახლდათ, თუკი, რა თქა უნდა, უხეში შეცდომა არ იქნებოდა დაშვებული. ჭადრაკის ხიბლი და მზაკვრობაც იმაშია, რომ ერთმა ნაჩქარევმა, არაზუსტმა ნაბიჯმა შესაძლოა ხუხულასავით დაგინგრიოს ოფლით და შრომით ნაგები. ნინომ ეს შეგონება დაივიწყა და რომ იფიქრა, აქ ცუდი აღარაფერი მოხდებაო, მაშინ დაუცდა ფეხი: მეტოქემ მაშინვე ერთი შეხედვით იოლი დასანახი, მაგრამ მაინც კარგად შენიღბული ჩხვლეტა აგემა - მეფის ფრთაზე ჭარხალაშვილმა სამიდან ერთ-ერთი პაიკით ისეთი სვლა გააკეთა, რომ H პაიკს გზა გაუხსნა და ლაზიერში გაიყვანა. ინგამ მეტოქეს თავად უთხრა - ძალით წააგე, ზედმეტად მანევრირებდი და ეს სვლაც გამოგრჩაო. დაეთანხმა კიდეც ბაციაშვილი, ან სხვა რა გზა ჰქონდა?

ასეთივე დრამატიზმით წარიმართა მეშვიდე დაფაზე **ანუკი ხაყომიას** და **ანა გავაშელის** შეხვედრა. აქ თეთრებით ანუკი თამაშობდა და თუმც უპირატესობა ვერ მოიპოვა, არც წასაგები პოზიცია მიუღია. მაგრამ გავაშელი ბევრად გამოცდილია და შუა თამაშში პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. თეთრებს ზუსტი თამაში სჭირდებოდათ, რომ არ წაეგოთ, თუმც კონტრ-მანევრის საშუალებაც გააჩნდათ: მეფის ფრთაზე g და H პაიკი მიიწევდნენ მერვე ჰორიზონტალისკენ, H პაიკი სულაც H6 უჯრამდეც მივიდა, მაგრამ მეტოქეს თეთრი ფერის კუ ჰდავდა, რომელსაც ლაზიერიც უმაგრებდა ზურგს, ამიტომ H7 უჯრაზე ველარ გადაადგილდებოდა - ორმაგი დარტყმის ქვეშ იდგა; თავის მხრივ ხაყომიას შავი ფერის კუ ჰყავდა, რაც პაიკის დაცვას ვერ უზრუნველყოფდა, ამიტომ ლაზიერს სულ თვალი უნდა ეჭირა მისთვის. თეთრების ლაზიერს g2 პაიკისთვისაც უნდა მიექცია ყურადღება, რადგანაც მეტოქე ლაზიერით და კუთი ამ უჯრაზე აკეთებდა ზეწოლას. თეთრები თავის შანსს ეძებდნენ და ლაზიერით და კუთი მანევრირებდნენ - ქიშებით ცდილობდა ანუკი შავების მეფე ცუდ პოზიციაზე გაეყვანა და იქ ეძებნა შანსები. თუმცა, ობიექტურად სარგებელი ვერ უნდა ენახა და მის პოზიციას უარესიც ეთქმოდა, რადგანაც გავაშელს ორი პაიკი - B და C უჯრაზე ჰყავდა და აქედან B პაიკი ლაზიერის დახმარებით წინ მიიწევდა. სწორედ ამ დროს შეცდა გავაშელი: მეფე არასწორ ადგილზე დააყენა, რის გამოც თეთრებმა დრო იხელთეს, პაიკი წინ წაწიეს და ლაზიერში გასვლაში ველარაფერი შეუშლიდა ხელს. თუმც, თავადაც შეეძლო გავაშელს ლაზიერში გაეყვანა B პაიკი და მართალია ერთი ტემპით ჩამორჩებოდა ანუკის, თავის დაცვას შეძლებდა და ყაიმს გამორჩებოდა. ეს ვარიანტი მატჩისშემდგომმა ანალიზმა დაადასტურა, მაგრამ შეცდომის გამო, როგორც ხშირად ხდება, ანა უფრო დაიბნა და ეს არცთუ რთული ვარიანტი ვერ მოძებნა.

ასეთი კურიოზები შეიძლება არა, მაგრამ შეცდომათა წყალობით კი მოიგეს ზოგიერთებმა, რასაც სიცივესთან ერთად ცაიტნოტსაც დავაბრალებდით. ფაქტია, თბილისის ჭადრაკის სასახლის 37-ე ოთახში სათამაშო პირობები არ არს და გაძლებაზე ბრძოლას უფრო გავს ყოველი პარტია.

სინოპტიკოსთა ვარაუდით თბილისში სიცივე დღეს აღწევს პიკს. თუ ასე მოხდა, აშკარაა, რამდენიმე დღე კვლავ შენარჩუნდება დაბალი ტემპერატურა, რაც ტურნირის ჩაშლის საშიშროებასაც ქმნის; ცხადია, თუკი შუქის მინოდება არ აღდგება შენობაში.

დავიტოვოთ იმედი, რმო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობა და თელასიც დროულად მოაგვარებენ საკითხს და მომავალ წერილებში წმინდა საჭადრაკო თემებზე წერა მოგვიწევს.

გარდა სიცივისა, უშუქობამ ტურნირის ტექნიკური მომსახურებაც შეაფერხა და მონაწილენი ნილისყრის შედეგებს დროულად ვერ იგებენ, - რეიტინგ ოფიცერი **ვარლამ ვეფხიშვილი** საკუთარ ბინაში აწარმოებს შესაბამის ოპერაციებს.

სამწუხაროდ, გუშინ ვერც ამ გზით მოხერხდა წილისყრა, რადგანაც ბატონ ვარლამს შინაურმა ტექნიკამ უღალატა. გვიან ღამემდე წყვილები დადგენილი არ იყო. დიდი შანსია, გუშინ ვერც მოსწრებოდა და მხოლოდ დღეს დილით, ტურნირის მსაჯის **მარიკა ჯაფარიძის „ნოუთბუკით“** თულა მოახერხებენ შესაბამისი პროგრამის ჩატვირთვას. ერთადერთი, რაც ვიცით, პირველ დაფაზე მოთამაშე წყვილია - **ინგა ჭარხალაშვილი ბელა ხოტენაშვილს** ხვდება.

**ზვიად შათირიშვილი**

## კალათბურთი

# ქართული ლეგიონი იზრდება

## ჯგერენაი ვანდალია



ირაკლი ჯგერენაია (ზედა რიგში, მარცხნიდან მესამე)

12 იანვარს ამერიკაში გაფრინდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი **ირაკლი ჯგერენაია.** იგი კარიერას აიდაჰოს უნივერსიტეტში გააგრძელებს. მართალია ირაკლის მომავალი კლუბის სახელი მომხიბვლელად არ ჟღერს - „ვანდალები“, მაგრამ კლუბი ძლიერია და NCAA-ს (კოლეჯების უმაღლესი ლიგა) დასავლეთ ათლეტთა დივიზიონში ასპარეზობს. ქართველ მკითხველს შევახსენებთ, რომ ამავე ლიგაში კიდევ ერთი ჩვენიანი თამაშობს - დიმიტრი ფაცაცია (არკანზასის უნივერსიტეტში).

ჯგერენაიას ამერიკაში წასვლემდე ვესაუბრეთ, მაგრამ, ვიდრე მის კომენტარს შემოგთავაზებდეთ, ვფიქრობთ თქვენთვის საინტერესო უნდა იყოს აიდაჰოს კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. „აიდაჰომ ქართველი ვარსკვლავი დაიმატა“ - ასე ჰქვია მცირე სტატიას. შემდეგ ვკითხულობთ:

„აიდაჰოს კოლეჯის საკალათბურთო გუნდში მსუბუქი ფორვარდი ერეკლე ჯგერენაია ჩაირიცხა. „იკა“, როგორც მას ახლობლები ეძახიან, გუნდს საგაზაფხულო სემესტრისთვის შეუერთდება და ამერიკაში ჩამოსვლისთანავე მოირგებს კოლეჯის მაისურს. სხვათა შორის, დივიზიონის მატჩები მომავალ კვირაში იწყება.

გასულ სეზონში ჯგერენაია სოხუმის უნივერსიტეტთან ერთად საქართველოს ახალგაზრდულ ლიგაში თამაშობდა და საშუალოდ 24 ქულას, 8 მოხსნასა და 4 პასს აგროვებდა. გასულ ზაფხულს მან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა.

ახალწვეულზე დიდ იმედებს ამყარებს აიდაჰოს კოლეჯის მთავარი მწვრთნელი ჯორჯ ფეიფერი: „იკა ამპლუით მსუბუქი ფორვარდია და ფლანგზე დიდ სამსახურს გაგვიწევს. მიუხედავად მისი სიმაღლისა (206 სმ.) პერიმეტრიდან ტყორცნები მისი ერთ-ერთი პლუსია. ჯგერენაია თავისი სიმაღლით, ათლეტურობითა და მოქნილობით გუნდის თამაშს მრავალფეროვანს გახდის. ჩვენი მხრიდან ყველაფერს ვილონებთ, რომ იკამ აკლიმატიზაცია სწრაფად გაიაროს. მისი დამატება აქამდეც გვსურდა, ზაფხულის შემდეგ მის ამერიკაში ჩამოყვანაზე ვმუშაობთ, მაგრამ იანვრამდე ეს ვერ მოვახერხეთ.“

„ვფიქრობ, აიდაჰოში გადმოსვლით სწორი ნაბიჯი გადავდგი. ამ გუნდის მწვრთნელებს კარგად ვიცნობ, მათთან შესანიშნავი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა და არა მგონია, რამე პრობლემა შემექმნას. ახლა მთავარია, გუნდის სქემებში სწრაფად ჩავჯდე, რათა მწვრთნელების იმედები გავამართლო,“ - აცხადებს ქართველი ფორვარდი.“

ამერიკელების დაწერილს ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ ამ შემოდგომაზე ირაკლი ჯგერენაია თსუ-ს ეხმარებოდა და გუნდთან ერთად საწყისი ორი წრე მეორე ადგილზე დაასრულა. თუმცა, მას თსუ-ს ბოლო ორ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია.

ახლა შეგიძლიათ წაიკითხოთ, რა განაცხადა ირაკლიმ ჩვენთან საუბრისას: „აიდაჰოს კოლეჯიდან მოწვევა დიდი ხნის წინ მივიღე, მაგრამ ამერიკაში გამგზავრებას ვერ ვახერხებდი. საბოლოოდ ყველა ფორმალობა მოვაგვარე და მალე კოლეჯების ლიგაში ვითამაშებ. ჩემი ინფორმაციით, აიდაჰოს ძლიერი გუნდი ჰყავს და კოლეჯთა ელიტაში - NCAA-ში თამაშობს. ვფიქრობ, ახალ გუნდთან შეგუება არ გამიჭირდება. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.“

ბოლოს დავამატებთ, რომ ამერიკაში ირაკლის მისი ძმა გიორგი დახვდება. იგი გასულ წელს პიტსფილდის სკოლაში ჩაირიცხა და სასწავლებლის საკალათბურთო გუნდის „მეინ სენტრალის“ ღირსებას იცავს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ჯერჯერობით ვერ აეწყო...

ჯერჯერობით ვერ აეწყო ქართველი კალათბურთელის **დიმიტრი ფაცაციას** ამერიკული კარიერა. დიმიტრი კოლეჯთა ლიგის (NCAA) ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „არკანზასში“ ჩაირიცხა, თუმცა ის ვერაფრით გამოირჩევა. ნოემბერში ფაცაციამ ორჯერ მოირგო „როზერბეკსის“ მაისური, ჯამში სულ 7 წუთი ითამაშა და ერთი მოხსნა მიითვალა. მეტად პროდუქტიული ქართველი მსროლელისთვის არც დეკემბერი აღმოჩნდა - ფაცაციამ დეკემბრის თვეში ხუთ მატჩში ჯამში 14 წუთი დაჰყო მოედნებზე. მის ანგარიშზე კი სულ სამი ქულა (19 დეკემბერს „ნიუ ვესტის“ კალათში სამქულიანი ჩააგდო) და ერთი მოხსნაა. წლეულს „არკანზას როზერბეკსმა“ ორი მატჩი გამართა, ქართველკს კი ჯერ არ უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დიმიტრი ფაცაცია

## ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

# ოქსანა სეზონს იწყებს

წლეულს საჩოგბურთო ასპარეზზე ყველაზე მეტად 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვასი** გვეიმედება, რომელიც პროფესიულ ჩოგბურთში კარიერაში პირველ სრულ სეზონს იწყებს. შტუტგარტში (გერმანია) ჰარდის საფარზე მცირე საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი) იწყება, სადაც მსოფლიოს 646-ე ჩოგანი (ახალგაზრდებში მე-12) ქართველი საკვალიფიკაციო ბადის მერვე ნორმად არის განთესილი. ოქსანას პირველი მეტოქე 21 წლის რუმინელი **ბეატრის სიმონი** იქნება, რომელიც მსოფლიოს 924-ე ჩოგანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# სამი ქართული გამარჯვება, სამივე სტუმრად

## ბორისას დებიუტი საბერძნეთში



გიორგი ცინცაძე

საბერძნეთის ჩემპიონატში „ეგალეოსთან" გასვლითი მატჩის მეშვიდე წუთზე **ვლადიმერ ბორისამ** ორქულიანი ტყორცნის შედეგად თანაგუნდელები 30:23 დააწინაურა. ეს გახლდათ ვოვას პირველი ქულები ახალი კლუბის „არისის" შემადგენლობაში. ამ ორქულიანს ბორისამ კიდევ ორი საშუალო დისტანციიდან ტყორცნა მიაყოლა და მატჩი 6 ქულით, 1 მოხსნითა და 1 ჩაჭრით დაასრულა. როგორც „არისის" ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, ქართველმა ფორვარდმა 16 წუთი უქმად არ დახარჯა: „სალონიკის „არისი" შეუჩერებელია. მან „ეგალეოსთან" გასვლითი შეხვედრა დასაწყისიდან ბოლომდე დამაჯერებლად ჩაატარა და დამსახურებულად გაიმარჯვა - 88:71. მწვრთნელმა გორდინ ჰერბერტმა 16 წუთი სათამაშო დრო არგუნა ახალწვეულ ვლადიმერ ბორისას, რომელსაც საბერძნეთის ჩემპიონატში ნაყოფიერი დებიუტი ჰქონდა. მან პუბლიკას უჩვენა, რომ მაღალი კლასის კალათბურთელია და "არისს" მომავალშიც დიდ სამსახურს გაუწევს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ვოვას სალონიკურ კლუბში დებიუტი გასულ ოთხშაბათს ჰქონდა. მან ლიტვის „რიტასის" წინააღმდეგ 3 წუთი ითამაშა და, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ მცირე დროში მოედანი უქულოდ დატოვა.

„არისი" სადღეისოდ საბერძნეთის ერთ-ერთი წარმატებული კლუბია, იქაურ ჩემპიონატში მესამე ადგილზეა (მხოლოდ „ოლიმპიაკოსსა" და „პანათინაიკოსს" ჩამორჩება). სალონიკელებს 11 ტურის შემდეგ 8 მოგება და 3 წაგება აქვთ.

### ცინცაძე სნაიპერია

დეკემბრის დასაწყისიდან დღემდე ბევრი ევროპული კლუბი ცდილობს, მაგრამ ესტონური „ტარტუ როკი" ვერც ერთმა ვერ წააქცია. **გიორგი ცინცაძის** თანაგუნდელებს ღირებული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ბერძნულმა პაოკმა, რუსულმა „სამარამ", ფინურმა „ლაარენრანტამ" და რა გასაკვირია, რომ „როკს" ტანამემამულე „კალევმაც" ვერაფერი დააკლო. შიდა ჩემპიონატში ტარტუელებმა კალეველები სტუმრად 81:73 დაამარცხეს. ისევე როგორც ბორისას „არისმა" „როკმაც" საწყის წუთებზე მოიპოვა დიდი ფორა და პირველი ტაიმი 47:37 მოიგეს. მეორე ნახევარში მასპინძლებმა ბევრი იფაფხურეს, მაგრამ საფინალო სირენამდე სხვაობის შვიდზე მეტით შემცირება ვერ შეძლეს.

ახლა მთავარზე - მატჩის სნაიპერი ქართველი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე გახდა. მან 31 წუთში 17 ქულა ჩააგდო, 9-დან 5 ორქულიანი და 7-დან 7 საჯარიმო ჩააგდო. ბუმ ესეც არ იკმარა და 3 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიამატა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ შარშან გარდამტეხ ფინალში „ტარტუმ" „კალევი" სტუმრად სწორედ ცინცაძის მიერ ბოლო წუთებზე გაკეთებული შედეგიანი გადაცემის წყალობით დაამარცხა.

გეტყვით იმასაც, რომ ესტონეთის ჩემპიონატში „კალევმა" პირველი მარცხი იწვნია. ამის მიუხედავად იგი სატურნირო ცხრილში პირველ ადგილს ინარჩუნებს, 18 მოგება და 1 წაგება აქვს. გიორგი ცინცაძის „როკს" 18 დან 15 მატჩი აქვს თავის სასარგებლოდ დასრულებული.

### მანუ და პერიმეტრი

ერთთვიანი შესვენების შემდეგ **მანუჩარ მარკოიშვილმა** კვლავ მიაღწია 20-ქულიან ზღვარს და „კიევს" „კრივბასბასკეტთან" 75:56 გაამარჯვებინა.

ქართველმა ფორვარდმა 8-დან 5 სამქულიანი, 2-დან 2 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო გამოიყენა. 20 ქულის გარდა მანუს ანგარიშზე 3 შედეგიანი გადაცემა და 4 მოხსნაა. კიეველთა შორის სნაიპერობა უკრაინელმა არტურ დროზდოვმა იკისრა - 22 ქულა.

საინტერესო ფრაგმენტები ამოვილეთ „კიევის" ოფიციალური საიტიდან: „სტუმრებს თავიდან ცოტა გაუჭირდათ. ტომო მაჰორიჩი იძულებული გახდა მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წუთში წუთშესვენება აეღო. მცირე ამოსუნთქვის შემდეგ დედაქალაქელთა თამაში დალაგდა, სტეკი-ჯეკსის დუეტმა ფარქვეშეთი გაამაგრა, ხოლო პერიმეტრიდან „კრივბასელების" დარბევა მარკოიშვილმა ითავა. მანუმ პირველ ტაიმში 4 სამქულიანი ჩააგდო და თანაგუნდელებს სოლიდური ფორა დაუბევა. „კიევი" მესამე პერიოდს სულაც 25-ქულიანი უპირატესობით შეხვდა - 61:36. ეს ერთი აქსიომის შედეგი იყო - თუ დაცვაში თამაშობ, შეტევაშიც ყველაფერი გამოგივა: „კიევი" დაცვაში შეუდარებელი იყო, შეტევაში კი მარკოიშვილმა, ჯეტერმა და მარავიჩმა მასპინძლებს ნამდვილი არტილერიული დაბომბვა მოუწყეს..."

მანუს კლუბს სათანადო შეფასება მისცა „კრივბასის" მთავარმა მწვრთნელმა **ზვეზდან მიტროვიჩმა**, რომელიც საქართველოში 2002 წელს უკრაინულ „ხიმიკთან" ერთად „დინამოსთან" სათამაშოდ იმყოფებოდა: „ჩვენი დღევანდელი მეტოქე არა მარტო უკრაინაში, ევროპაშიც ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. კიეველებს ადგილობრივ ჩემპიონატში ერთი წაგებაც არა აქვთ. მათთან გამარჯვება გმირობის ტოლფასია"

სადღეისოდ „კიევს" უკრაინის ჩემპიონატში 14 მატჩი აქვს ჩატარებული და ზვეზდანმაც აღნიშნა, რომ ერთი წაგებაც არა აქვს.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**



ვლადიმერ ბორისა

## წყალში ხტომა

გზა ოლიმპიადამდე

# პეკინში პეკინის საგზურისთვის

ქართველი წყალში მხტომელები პეკინის ოლიმპიური ლიცენზიებისათვის საბრძოლველად ემზადებიან. 16-21 იანვარს, სეზონს გახსნიან **ჭოლა ჭანტურია** და **შოთა კორახაშვილი**, რომლებიც მადრიდში მსოფლიო თასის ეტაპზე იასპარეზებენ. მართალია, მადრიდში ოლიმპიური ლიცენზიები არ თამაშდება, მაგრამ იქ მოპოვებული სარეიტინგო ქულები საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება. წყალში მხტომელთათვის დარჩენილია 22 ლიცენზია, საიდანაც 18 გათამაშდება პეკინის მსოფლიო თასზე, 15-25 თებერვალს, ხოლო დანარჩენ 4 ლიცენზიას ყველაზე მაღალრეიტინგიან წყალმხტომელებს გაუნაწილებენ.

პეკინში წასვლამდე, ჭოლა ჭანტურია და შოთა კორახაშვილი მინსკს ესტუმრებიან, სადაც მათ შეუერთდებათ **გიორგი გევორქიანიც**. აღნიშნული ტრიო 1-13 თებერვალს, ბელორუსის ნაკრებთან ერთად მოემზადება. ბელორუსიდან პეკინში კი სამიდან 2 საუკეთესო წყალმხტომელი წავა.

რაც შეეხება პეკინის სალიცენზიო ტურნირს, ჩინეთში ჩვენი სპორტსმენები ერთეულებშიც სცდიან ბედს და სინქრონულ ხტომებშიც. რაკილა სინქრონულში მხოლოდ 8 ადგილია თავისუფალი, გუნდის ხელმძღვანელობა ალბათ უფრო ერთეულებზე გააკეთებს აქცენტს. როგორც ნაკრების თავკაცმა ირაკლი ბარტაიამ გვითხრა, ჭანტურიასა და კორახაშვილს საკუთარ პროგრამებში თითო ახალი ნახტომი აქვთ, რომლებსაც პირველად მადრიდში გამოიყენებენ.

პეკინიდან ქართული დუეტი ჩინეთისავე ქალაქ შენჟენში გადაინაცვლებს, სადაც მასპინძელთა დაფინანსებით გრანპრიზე იასპარეზებს.

**კობა ხატისაშვილი**

## თერილი

**ვლადიმერ ლავრინენკო.** 13.01.1932, სოხუმი – 07.01.2004, მოსკოვი. ცურვა. თავისუფალი სტილი. ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1954-1500მ) სსრკ სამგზის ჩემპიონი (1951-გულაღმა 200მ და 400მ: 1954 — 1500მ) ორგზის მეორე (1953,54—ესტაფეტა 4X200მ) და ორგზის მესამე(1952-53—1500მ) პრიზიორი. 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (XXV ადგილი) საუკეთესო პირადი შედეგები: თავისუფალი სტილით 200მ — 2.15.0წთ, 400მ—4.42.0წთ, 800მ- 10.04.2წთ, 1500მ- 18.52.9წთ, გულაღმა 100მ – 1.09.8წთ, 200მ- 2.32.7წთ, 400მ – 5.37.4 წთ, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს რომის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვლადიმერ უგრეხელიძეს ძმის

**ანტოლი უგრეხელიძის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და კალათბურთის ეროვნული ფედერაცია უსამძიმრებენ გამოჩენილ ვეტერან კალათბურთელს ვლადიმერ უგრეხელიძეს ძმის

**ანატოლი უგრეხელიძის**

გარდაცვალების გამო.

"ლელოს" რედაქცია სამძიმარს უცხდებს ვლადიმერ უგრეხელიძეს ძმის გარდაცვალების გამო.



ფილიპ კოლშრაიბერი

ტურნირების მიმოხილვა

# მოთელვა დასრულდა

დღეს, მელბურნში დაიწყო საჩოგბურთო სეზონის პირველი სასლემო ტურნირი - ავსტრალიის ღია პირველობა, რის გამოც, წინა კვირის ტურნირები ჩვეულებრივზე ერთი დღით ადრე, შაბათს დასრულდა.

სიდნეიში, კაცების ფინალში **დმიტრი ტურსუნოვმა** ძალიან დაძაბულ პაექრობაში დაჯაბნა გიგანტი ავსტრალიელი **კრის გუჩონე**, ვინც ფინალამდე ტურნირს ისეთი ძლიერი ჩოგბურთელები გამოთიშა, როგორებიც არიან ავსტრალიელი **ლეიოტონ ჰიუიტი**, ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** და სლოვაკი **რადეკ სტეპანეკი**.

ფინალმა ბრეიკების გარეშე ჩაიარა. ორივე ჩოგბურთელს ძლიერი მოწოდება გამოარჩევს და ამ "იარალმა" ამჯერადაც კარგად იმუშავა. ორივე სეტში გამარჯვებული ტაიბრეიკზე გამოვლინდა, სადაც უფრო სტაბილური და შეუმცდარი რუსი გამოდგა, რომელმაც კარიერაში მეოთხე ტურნირის მოიგო.

ორმეტრიან გუჩონეს რეიტინგში 125-ე ადგილი უკავია და ტურნირზე ის უაილდ ქარდით მიიწვიეს. მანაც თავის კარიერაში საუკეთესო ტურნირი ჩაატარა. ფინალში მან 15 ეისი კი მოაწოდა, მაგრამ მოსაგებად ეს საკმარისი არ გამოდგა. რუსმაც ქულები მეტწილად თავის სერვისზე აგროვა, მაგრამ მეტოქისაზე ვერც ის აღწევდა უპირატესობას.

*"თამაშმა ბრეიკის გარეშე რომ ჩაიარა, სულაც არ გამკვირვებია. კრისი თავის მოწოდებაზე შეუმცდარი იყო, ჩემსაზე კი ზედმეტად რისკავდა. ჩემი მიზანი საკუთარ სერვისზე ქულების დაგროვება და მისთვის იოლი ქულების აღების საშუალების არმიცემა იყო. როცა ქულის გათამაშება ჭიანურდებოდა, ის შეცდომებს უშვებდა. მეც სწორედ ეს ფაქტორი გამოვიყენე"*, - თამაშის შემდეგ განაცხადა ტურსუნოვმა, ვინც კარიერაში ატპ-ის პირველი ტურნირი 2006 წელს მუმბაიში (ყოფილი ბომბეი) მოიგო, შარშან კი ინდიანაპოლისსა და ბანკოკში გაიმარჯვა და სეზონი რეიტინგის 34-ე საფეხურზე დაასრულა.

გუჩონეს სულ ორი ფინალი აქვს ნათამაშები და ორივე წააგო. თუმცა, სიდნეის ფინალის შემდეგ ამბობს, რომ ახლა გაცილებით თავდაჯერებულია და დარმწუნებულია, რომ მალე პირველ გამარჯვებასაც იზეიმებს.

*"თუ ასე თამაშს გავაგრძელებ, მაშინ უფრო კარგი შედეგებიც არ დააყოვნებს. ამ ტურნირზე არაერთხელ დავამტკიცე, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შემიძლია. ახლა მთავარია, ეს შესაძლებლობა გამოვიყენო"*, - ამბოლბს გუჩონე.

■ ■ ■

ოკლენდის ტურნირის ფინალში, გერმანელმა **ფილიპ კოლშრაიბერმა** ორსეტიან დაძაბულ პაექრობაში მოუგო მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს ესპანეთიდან, **ხუან კარლოს ფერეროს**. გერმანელმა ჩოგბურთელმა შეხვედრის განმავლობაში შვიდი ეისის მოწოდება შეძლო, მაგრამ ამდენჯერვე ორმაგი შეცდომა დაუშვა. ბოლო ორი ორმაგი მან ბოლო გეიმში დაუშვა, თუმცა ამის მიუხედავად, მაინც მიაღწია გამარჯვებას.

*"ბოლო ორმაგი რომ დავუშვი, საკუთარი თავის დამშვიდება ვცადე. ვიცოდი, რომ თუ შემდეგ ქულას მოვიგებდი, მაშინ გამარჯვებაც ახლოს იქნებოდა. ახლა ჩემი მიზანი რეიტინგის მოწინავე ოცეულში შესვლაა და ვეცდები, მას რაც შეიძლება მალე მივაღწიო"*, - განაცხადა ჩემპიონმა.

ფერეროსთვის ეს ზედიზედ მეექვსე ფინალი იყო, რომლებშიც მარცხი იწვნია. ბოლო ტიტული მან 2003 წლის ოქტომბერში მადრიდში, მასტერსის სერიის ტურნირზე მოიპოვა.

ჰობარტის ტურნირის გამარჯვებული ისე გამოვლინდა, რომ შეხვედრა არც გამართულა. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ ტრავმის გამო, კორტზე გამოსვლა არ ინება რუსმა **ვერა ზვონარევამ**. ამან მარცხენა კანჭის ტრავმა მაშინ მიიღო, როცა ფინალში სათამაშოდ მოთელვას გადიოდა. ზვონარევა შიშობს, რომ ჰობარტში მიღებული ტრავმა, მელბურნში თამაშის საშუალებასაც არ მისცემს.

ჩატარებულმა რენტგენოგამოკვლევამ ჩოგბურთელს მოტეხილობა ვერ აღმოუჩინა, თუმცა პრესკონფერენციაზე ის ხელჯოხით მივიდა და განაცხადა, თამაშს ვინ ჩივის, ფეხით დამოუკიდებლად გადაადგილებაც კი არ შემიძლიაო.

■ ■ ■

მელბურნში კი, კოოიონგის კლასიკური ტურნირი ამერიკელი **ენდი როდიკის** გამარჯვებით დასრულდა. ფინალში მან 7:5, 6:3 დაამარცხა კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისი** და ზედიზედ მესამედ გახდა კოოიონგის საჩვენებელი ტურნირის ჩემპიონი, რითაც სახელოვანი თანამემამულის, **მაიკლ ჩანგის** მიღწევა გაიმეორა.

*"რას იტყვით, აქ ზედიზედ სამჯერ მოპოვებული ტიტული, ავსტრალიის ღიას თასზე რომ გადავცვალოთ"?* – პრესკონფერენციაზე ხუმრობით იკითხა როდიკმა და იმედი გამოთქვა, რომ ასევე კარგად თამაშს ოზი ოუპენზეც გააგრძელებს.

| ATP |
|---|
| ჰაინეკენის ღია |
| ოკლენდი (ახალი ზელანდია). ჰარდი |
| საპრიზო ფონდი 464 000 დოლარი |
| ფინალი |
| ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 7)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 4) 7:6(4), 7:5 |
| მედიბანკის საერთაშორისო |
| სიდნეი (ავსტრალია). ჰარდი |
| საპრიზო ფონდი 465 000 დოლარი |
| ფინალი |
| დმიტრი ტურსუნოვი (რუს)-კრის გუჩონე (ავსტრა) 7:6(3), 7:6(4) |

ავსტრალიის ღიას წინ

# სერენას გატეხილი გული

ავსტრალიის ღია პირველობის წინ, სადაც **სერენა უილიამსს** შარშან მოპოვებული ტიტული დაცვა მოუწევს, ამერიკელმა ჩოგბურთელმა გულშემატკივრებს გული გადაუშალა. თავის ბლოგში, მსოფლიოს მე-7 ჩოგანმა ფანებს ერთ ახალგაზრდა მამაკაცთან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ უამბო, თუმცა მისი ვინაობა არ გაუმხელია. ბრიტანულ გაზეთ Daily Mail-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, ავტორმა **ენდი დოლანმა**, როგორც ჩანს შეძლო იმის გამორკვევა, თუ ვის გულისხმობდა სერენა.

თავის პირად ვებ-გვერდზე, 600-სიტყვიან ემოციურ წერილში მის უილიამსი ჰყვება იმის შესახებ, თუ როგორ გახდა შეყვარებული და რა რთულია, როცა ბოიფრენდი აღარ ურეკავს, შემდეგ კი აცხადებს, რომ მას *"თავისუფლება არ ჰყოფნიდა"*.

წერილში, რომლის სახელწოდებაა "დარწმუნებული ვარ, თქვენც გქონიათ იგივე პრობლემა", უილიამსმა მოგვითხრო იმ ადამიანთან შეხვედრების გამოცდილებაზე, რომლის ნახვაც ყოველ წამს სურდა. *"მის გარეშე ცხოვრება აუტანელი გეჩვენება*, - წერს ჩოგბურთელი. - *ხვდები, რომ ასეთი გრძნობები აქამდე არასოდეს განგიცდია, მისთვის აკეთებ ისეთ რაღაცას, რაც მანამდე არასოდეს გაგიკეთებია. ის გეუბნება, რომ შენით აღფრთოვანებულია, რომ ბევრს ნიშნავ მისთვის. შენ კი, ზრუნავ და უბრალოდ ჭკუას ჰკარგავ მასზე... ცდილობ არ იჩქარო, გინდა ნაკლები შეცდომა დაუშვა. შენ გრძნობ ამას და ხვდები, რომ გინდა მუდმივად იცხოვრო ამ გრძნობით"*.

სერენას გულახდილობა მით უფრო დამაინტრიგებელია, რადგან ის სიტყვასაც არ ამბობს თავისი ტანჯვების ობიექტის შესახებ. თავის ბლოგში, ამერიკელმა არ დაასახელა მისი გვარი, მაგრამ თითქმის ყველამ იცის, რომ უმცროს უილიამსს ურთიერთობა ჰქონდა ნაკლებად ცნობილ ამერიკელ მსახიობთან **ჯეკი ლონგთან** (ფოტოზე სერენასთან ერთად). ამ უკანასკნელის სამსახიობო კარიერამ თავის პიკს 2006 წელს მიაღწია, როცა მან ერთ-ერთ ფილმში მეორეხარისხოვანი როლი მიიღო.

მის უილიამსი აცხადებს, რომ მისი შეყვარებული ერთი კვირით "დაიკარგა". სერენამ თავად გადადგა პირველი ნაბიჯი და ბოიფრენდის ტელეფონის ნომერი აკრიფა. *"მან სიტყვა გამაწყვეტინა და მითხრა, რომ თავისუფლება არ ჰყოფნის. ასეთი ფრაზის შემდეგ, ძალიან ცუდ გუნებაზე დგები. ხვდები, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დადგება ისეთი დღე, როცა შენი გული ისევ ცარიელი დარჩება"*, - ამბობს სერენა, რომელსაც ასეთ ღალატი ცხოვრებაში არაერთხელ ჰქონია.

ამ წერილმა უილიამსის სისუსტეები დაგვანახა, არადა ის ყოველთვის გამოირჩეოდა ხასიათის სიმტკიცით, რომლის წყალობითაც შარშან, ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო. ლონგთან დაშორებამ, ჩოგბურთელი აიძულა უფრო ცინიკურად შეეხედა სამყაროსთვის. *"ბოლოს და ბოლოს, შენ იცი, რომ კიდევ ერთხელ შეეცდები ამის გაკეთებას. გრძნობ, რომ ვინმეს კიდევ ერთხელ აჩუქებ შენს გულს, მაგრამ სულის სიღრმეში ხვდები, რომ მსგავსი ფინალი კვლავ განმეორდება"*, - ასრულებს მონოლოგს სერენა უილიამსი.

ძნელი სათქმელია, რამდენად აისახება ეს ამბავი ამერიკელის ავსტრალიის ღია ჩემპიონატში გამოსვლაზე. თუმცა ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა სერენა ტურნირებზე ასეთ მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობით გამოდის. 2003 წელს, ლოს ანჯელესში უცნობებმა ჩოგბურთელის და მოკლეს. მელბურნში შარშანდელი ტრიუმფი უილიამსმა სწორედ მას მიუძღვნა.

თავისი წერილის შესახებ კომენტარზე სერენამ უარი განაცხადა, მისი ოფიციალური ვებ-გვერდი კი, თანაგრძნობისა და დახმარების შეთავაზების წერილებით გაივსო.



რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7180 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5780 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 4315 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2825 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 2615 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 2530 |
| 7(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2005 |
| 8(8). რიშარ გასკე (საფ) | 1895 |
| 9(9). ენდი მარეი (ბრიტ) | 1830 |
| 10(10). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1775 |
| 11(12). ტომი ჰაასი (გერ) | 1720 |
| 12(11). ტომი რობრედო (ესპ) | 1705 |
| 13(14). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1685 |
| 14(15). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1670 |
| 15(13). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1610 |
| 16(16). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1600 |
| 17(17). გილერმო კანიასი (არგ) | 1598 |
| 18(18). კარლოს მოია (ესპ) | 1505 |
| 19(19). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 1440 |
| 20(20). ხუან-იგნასიო ჩელა (არგ) | 1425 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 6430 |
| 2(2). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3810 |
| 3(3). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3516 |
| 4(4). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3390 |
| 5(5). მარია შარაპოვა (რუს) | 2956 |
| 6(6). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2880 |
| 7(7). სერენა უილიამსი (აშშ) | 2772 |
| 8(8). სერენა უილიამსი (აშშ) | 2470 |
| 9(9). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2367 |
| 10(10). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2191 |
| 11(11). ელენა დემენტიევა (რუს) | 1985 |
| 12(12). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1977 |
| 13(13). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1882 |
| 14(14). ნადია პეტროვა (რუს) | 1862 |
| 15(15). პატი შნიდერი (შვეიც) | 1836 |
| 16(16). დინარა საფინა (რუს) | 1750 |
| 17(16). შაარ პეერი (ისრ) | 1640 |
| 18(18). ამელი მორესმო (საფ) | 1503 |
| 19(20). აგნეს შავაი (უნგ) | 1316 |
| 20(19). სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1308 |

ახალი ამბები

## ივანოვიჩმა ჩოგანი გამოცვალა

სერბმა ჩოგბურთელმა **ანა ივანოვიჩმა** ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა იაპონურ ფირმა Yonex-თან, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს მესამე ჩოგანი ამიერიდან ამ კომპანიის მიერ დამზადებული ჩოგნებით ითამაშებს. მანამდე, მთელი კარიერის მანძილზე, ივანოვიჩი ცნობილი ფირმის, Wilson-ის ჩოგნებს იყენებდა.

*"მოხარული ვარ, რომ ამიერიდან ახალი ჩოგანი მექნება. ის უკვე მრავალჯერ გამოვცადე და გაკვირვებულმა აღმოვაჩინე, რომ მან მართლაც შეცვალა ჩემი თამაში უკეთესობისკენ. მოუთმენლად ველი ახალი ჩოგანის ავსტრალიის ღია პირველობაზე გამოყენებას"*, - აცხადებს ივანოვიჩი.

## დოკიჩი ფედერაციას ადანაშაულებს

ჩვენ უკვე არაერთხელ ვწერით იმის შესახებ, რომ დიდ ჩოგბურთში დაბრუნებას ცდილობს ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი **ელენა დოკიჩი**. სეზონის დაწყების წინ, წარმოშობით სერბი დოკიჩი, საუკეთესო 50 ჩოგბურთელს შორის დაბრუნებას და ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაშს აპირებდა, მაგრამ ელენა მელბურნში ვერ გამოვა, ვინაიდან საკვალიფიკაციო ტურნირს მეორე წრეში გამოეთიშა (წააგო ტაილანდელ **ტამარინე ტანასუგარნთან** - 2:6, 1:6) და ავსტრალიის ღიას ძირითად ბადეში ვერ მოხვდა.

ამ წაგების შემდეგ, მსოფლიოს ყოფილმა მეოთხე ჩოგანმა ავსტრალიის ჩოგბურთის ფედერაცია გააკრიტიკა იმისთვის, რომ ამ ორგანიზაციამ მას უაილდ-ქარდი არ გამოუყო.

*"მე მართლაც ვიმსახურებდი უაილდ-ქარდს. ამ ერთი თვის განმავლობაში იმდენი მატჩი მოვიგე, რამდენიც სხვას მთელს კარიერაში არ მოუგია. მაღალ დონეზე დასაბრუნებლად ბევრი მუშაობაა საჭირო, მაგრამ ამასთან, ფედერაციამ დახმარება უნდა გაუწიოს იმას, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. თუმცა მე ამ დახმარების იმედი აღარ მაქვს"*, - განაცხადა ერთ დროს, უიმბლდონის ნახევარფინალისტმა.

## ფავორიტები იგივენი არიან

ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე ორი დღით ადრე, საბუკმეიკერო კანტორებმა ავსტრალიის ღია პირველობაში გამარჯვებაზე ჩოგბურთელთა ფსონები გამოაქვეყნეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქალთა შორის ფავორიტი ბელგიელი **ჟუსტინ ანენია**, რომლის გაჩემპიონებაზე შესაბამისი კოეფიციენტი 2.15-ს შეადგენს. მას შესამჩნევად ჩამორჩება მეორე ფავორიტი, ამერიკელი **სერენა უილიამსი** - 6.5.

ქალთა შორის მთავარი პრიზის მაძიებელთა პირველი ათეული ასე გამოიყურება: ჟუსტინ ანენი - 2,15; სერენა უილიამსი - 6,5; **მარია შარაპოვა** - 7,0; **ვენუს უილიამსი** - 8,5; **სვეტლანა კუზნეცოვა** - 12,0; **ანა ივანოვიჩი** - 12,5; **ლინდსი დავენპორტი** - 18,0; **ამელი მორესმო** - 20,0; **ნიკოლ ვაიდიშოვა** - 20,0; **ელენა იანკოვიჩი** - 22,0.

ანენის კოეფიციენტზე გაცილებით დაბალია მამაკაცთა უმთავრესი ფავორიტის, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** მაჩვენებელი. მსოფლიოს პირველი ჩოგანის კოეფიციენტი 1.5-ს შეადგენს. შედარებისთვის, თუ მეორე ფავორიტზე, ესპანელ **რაფაელ ნადალზე** ჩახვალთ ერთ დოლარს, მაშინ მისი გამარჯვების შემთხვევაში 8 დოლარს მიიღებთ.

კაცებში ფავორიტთა სია ასეთია: როჯერ ფედერერი - 1,5; რაფაელ ნადალი - 8,0; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** - 10,0; **დავიდ ნალბანდიანი** - 10,0; **ენდი მარეი** - 17,0; **დავიდ ფერერი** - 20,0; **ენდი როდიკი** - 25,0; **ნიკოლაი დავიდენკო** - 65,0.

## კალათბურთი

### NBA. რეგულარული

**11 იანვარი**

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 77:86**

30:22, 14:25, 24:16, 9:23

ნიუ ჯერსი: რ. ჯეფერსონი (17 ქ. 3 მ. 3 პ), ვ. კარტერი (16 ქ. 4 მ), ბუნი (14 ქ. 16 მ. 4 დ), კიდი (11 ქ. 13 მ. 9 პ. 2 ჩ), ნახბარი (10 ქ. 4 მ).

ბოსტონი: გარნეტი (20 ქ. 11 მ. 3 პ. 3 დ. 2 ჩ), პირსი (18 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), რ. ალენი (16 ქ. 4 პ), პოუსი (9 ქ. 6 მ).

**ფილადელფია-ჩიკაგო 97:100**

27:14, 13:31, 18:25, 39:30

ფილადელფია: იგუოდალა (25 ქ. 6 მ. 5 პ. 4 ჩ. 2 დ), დალემბერი (21 ქ. 20 მ. 2 დ), ა. მილერი (20 ქ. 4 პ. 2 ჩ), ლ. უილიამსი (15 ქ. 2 ჩ), რ. ევანსი (1 ქ. 13 მ. 2 ჩ).

ჩიკაგო: ნოჩიონი (26 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ), ჯო სმიტი (19 ქ. 6 მ. 2 დ), გორდონი (15 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), ჰაინრიხი (12 ქ. 7 პ), ბ. უოლესი (6 ქ. 8 მ. 2 დ).

**ატლანტა-ვაშინგტონი 98:102 (ო)**

17:23, 16:16, 35:23, 19:25, 11:15

ატლანტა: ჯოშ სმიტი (35 ქ. 9 მ. 5 პ. 3 დ), ჯო ჯონსონი (23 ქ. 9 პ), მარვინ უილიამსი (16 ქ. 9 მ), ჩილდრესი (11 ქ. 2 ჩ), ჰორფორდი (8 ქ. 19 მ), **ზაზა ფაჩულიას არ უთამაშია.**

ვაშინგტონი: ჯეიმისონი (22 ქ. 17 მ. 2 პ), კ. ბატლერი (21 ქ. 8 მ. 3 ჩ), დ. სტივენსონი (19 ქ. 5 მ. 2 დ), ა. დენიელსი (14 ქ. 7 პ), ბლატჩე (13 ქ. 8 მ. 5 დ).

**კლივლენდი-შარლოტი 113:106 (2 ო)**

35:37, 23:14, 11:26, 24:16, 7:7, 13:6

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (31 ქ. 19 მ. 8 პ. 4 ჩ. 3 დ), ვარეჯაო (16 ქ. 18 მ. 2 ჩ. 2 დ), პოუზი (16 ქ. 5 მ), გიბსონი (14 ქ), ილგაუსკასი (14 ქ. 7 მ), გუდენი (10 ქ. 6 მ).

შარლოტი: ჯ. უოლესი (27 ქ. 12 მ. 4 ჩ. 3 პ), მოჰამედი (21 ქ. 15 მ), ჯ. რიჩარდსონი (19 ქ. 8 მ. 4 პ. 2 დ), კეროლი (18 ქ), ფელტონი (12 ქ. 11 პ), ოკაფორი (9 ქ. 9 მ. 3 დ).

**ნიუ იორკი-ტორონტო 90:99**

17:27, 29:28, 18:26, 26:18

ნიუ იორკი: ჯ. კროუფორდი (27 ქ. 4 პ), ნ. რობინსონი (24 ქ. 2 ჩ), მარბერი (13 ქ. 8 პ. 4 მ), ლი (6 ქ. 10 მ).

ტორონტო: ბოში (40 ქ. 11 მ. 3 პ. 2 ჩ), ე. პარკერი (13 ქ. 8 მ. 3 პ), მუნი (13 ქ. 9 მ. 4 ჩ), კალდერონი (9 ქ. 8 პ).

**ნიუ ორლეანი-მაიამი 114:88**

32:24, 23:17, 31:25, 28:22

ნიუ ორლეანი: ბ. ჯექსონი (25 ქ. 4 მ. 4 პ), ჩენდლერი (19 ქ. 6 მ. 2 დ), პოლი (16 ქ. 16 პ), სტოიაკოვიჩი (15 ქ. 4 მ), დევიდ უესტი (11 ქ. 10 მ. 5 პ. 2 დ).

მაიამი: ბლაუნტი (27 ქ), ჯეისონ უილიამსი (12 ქ. 6 პ), უეიდი (11 ქ. 7 პ. 2 ჩ), რ. დევისი (9 ქ. 8 მ. 7 პ).

**ჰიუსტონი-მინესოტა 113:82**

31:18, 34:15, 22:23, 26:26

ჰიუსტონი: სკოლა (22 ქ. 9 მ. 5 პ), მინი (15 ქ. 4 მ. 2 დ), ჰედი (15 ქ. 2 დ), ლანდრი (15 ქ. 11 მ), ალსტონი (1 ქ. 5 პ. 2 ჩ), ბეტიე (10 ქ. 9 მ. 4 ჩ. 2 დ).

მინესოტა: გომესი (20 ქ. 6 მ), კ. ბრიუერი (16 ქ), ჩ. სმიტი (12 ქ), დულიკი (10 ქ. 2 დ).

**დენვერი-ორლანდო 113:103**

25:26, 28:30, 31:30, 29:17

დენვერი: ენტონი (32 ქ. 11 მ), აივერსონი (21 ქ. 13 პ. 5 მ), ჯ. კარტერი (21 ქ. 11 პ. 5 მ. 2 ჩ), კლეიზა (18 ქ. 5 მ), კენიონ მარტინი (13 ქ. 6 მ. 3 ჩ), კემბი (8 ქ. 12 მ. 3 დ).

ორლანდო: რ. ლუისი (21 ქ. 4 მ. 4 პ), დ. ჰოვარდი (20 ქ. 13 მ. 3 დ), მ. ევანსი (15 ქ. 2 ჩ), ბოგანსი (14 ქ), ნელსონი (11 ქ. 8 პ. 5 მ), დულინგი (10 ქ).

**გოლდ. სტ-მემფისი 116:104**

33:25, 34:29, 32:25, 17:25

გოლდენ სტეიტი: მ. ელისი (27 ქ. 3 პ. 3 ჩ), ს. ჯექსონი (2 ქ. 4 პ. 2 ჩ), ბ. დევისი (20 ქ. 19 პ. 6 მ. 2 ჩ. 2 დ), ე-ჰარინგტონი (19 ქ. 9 მ), ბიედრინში (8 ქ. 12 მ. 2 დ).

მემფისი: გასოლი (43 ქ. 11 მ. 3 პ), ნავარო (20 ქ), გეი (10 ქ. 6 მ), უორიკი (10 ქ. 5 მ).

**ლეიკერსი-მილუოკი 110:105**

29:22, 25:28, 24:24, 32:31

ლეიკერსი: ბრაიანტი (37 ქ. 7 პ. 5 მ. 2 ჩ), ბინუმი (25 ქ. 17 მ. 3 დ. 2 პ), ფარმარი (13 ქ), უოლტონი (10 ქ).

მილუოკი: მო უილიამსი (28 ქ. 6 პ), რედი (22 ქ. 4 პ), ბოგუტი (14 ქ. 11 მ. 5 პ. 2 დ), ქსიანლიანი (13 ქ. 6 მ).

**სიეტლი-დალასი 70:90**

16:18, 19:26, 13:22, 22:24

სიეტლი: მჩერბიაკი (17 ქ), დურანი (15 ქ. 6 პ. 3 მ), კოლისონი (15 ქ. 7 მ. 3 პ), კურტ ტომასი (2 ქ. 15 მ).

დალასი: ნოვიცკი (20 ქ. 6 მ), ჯოშ ჰოვარდი (18 ქ. 10 მ), ტერი (11 ქ. 4 ჩ), დემპსი (4 ქ. 10 მ. 2 დ).

**12 იანვარი**

**ვაშინგტონი-ბოსტონი 85:78**

23:19, 18:21, 19:25, 25:13

ვაშინგტონი: სტივენსონი (19 ქ. 6 მ), კ. ბატლერი (16 ქ. 10 მ. 4 ჩ), ჯეიმისონი (10 ქ. 16 მ. 3 ჩ),

ბოსტონი: გარნეტი (19 ქ. 6 მ. 2 დ), პირსი (15 ქ. 6 მ. 4 პ. 2 დ), ე. პოუსი (11 ქ. 5 პ. 4 მ. 3 ჩ).

**სან ანტონიო-მინესოტა 105:88**

24:24, 20:21, 31:21, 30:22

სან ანტონიო: ჯინობილი (22 ქ. 5 მ. 5 ჩ. 3 პ), ტ. პარკერი (21 ქ. 8 პ), დანკანი (15 ქ. 9 მ. 3 დ), ფინლი (11 ქ).

მინესოტა: ე. ჯეფერსონი (24 ქ. 4 მ. 2 დ), გომესი (21 ქ. 9 მ), მაკკენტსი (17 ქ. 6 პ. 5 მ. 2 ჩ), ჩ. სმიტი (12 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**შარლოტი-დეტროიტი 100:103 (ო)**

18:31, 29:20, 24:24, 20:16, 9:12

შარლოტი: ჯ. უოლესი (26 ქ. 6 მ. 5 პ. 3 ჩ. 3 დ), ჯ. რიჩარდსონი (20 ქ. 8 პ. 4 მ), ოკაფორი (19 ქ. 15 მ. 2 ჩ. 2 დ), მოჰამედი (19 ქ. 13 მ. 3 დ), კეროლი (10 ქ).

დეტროიტი: ბილაპსი (27 ქ. 7 პ. 4 მ. 3 ჩ), რ. ჰამილტონი (26 ქ. 8 პ. 7 მ. 2 ჩ), პრინსი (22 ქ. 7 მ. 3 პ. 2 დ), რ. უოლესი (10 ქ. 6 მ. 4 ჩ. 2 დ), მაკდაისი (5 ქ. 11 მ), მაქსიელი (5 ქ. 7 მ. 3 დ).

**იუტა-ორლანდო 119:115**

31:26, 26:23, 28:31, 34:35

იუტა: ოქური (29 ქ. 8 მ. 2 დ), დ. უილიამსი (17 ქ. 11 პ), კირილენკო (16 ქ. 8 პ. 7 მ. 2 ჩ), ბუზერი (15 ქ. 10 მ), რ. ბრიუერი (11 ქ. 5 მ. 3 პ), ჰარპრინგი (11 ქ).

ორლანდო: დ. ჰოვარდი (29 ქ. 15 მ. 3 პ. 2 დ), რ. ლუისი (27 ქ. 6 მ. 3 პ), მ. ევანსი (11 ქ), თურქოღლუ (10 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ), ნელსონი (10 ქ. 4 პ), დულინგი (10 ქ).

**ფინიქსი-მილუოკი 122:114**

29:31, 32:37, 35:18, 26:28

ფინიქსი: ნეში (35 ქ. 7 პ), ა. სტაუდმაიერი (31 ქ. 8 მ. 3 პ. 2 დ), დიაო (21 ქ. 11 მ. 4 პ), რ. ბელი (13 ქ. 4 დ. 3 ჩ), ბარბოსა (12 ქ).

მილუოკი: ბოგუტი (29 ქ. 11 მ. 3 პ), ჩ. ბელი (18 ქ. 7 პ), რედი (18 ქ. 3 პ), სიმონსი (17 ქ. 4 მ), ვილიანოვა (10 ქ. 2 დ).

**საკრამენტო-ინდიანა 105:111**

21:29, 32:36, 27:21, 25:25

საკრამენტო: კევინ მარტინი (25 ქ. 2 ჩ), გარსია (22 ქ. 12 მ. 3 პ. 2 ჩ), სალმონსი (15 ქ. 4 პ), ბ. მილერი (14 ქ. 15 მ. 5 პ), უდრიხი (14 ქ).

ინდიანა: მ. დანლივი-უმცროსი (23 ქ. 6 მ. 3 პ. 2 ჩ), დიოგერი (19 ქ. 3 პ), გრეინჯერი (14 ქ. 3 მ), ჯ. ონილი (12 ქ. 7 მ. 5 პ. 2 დ), მ. დენიელსი (12 ქ. 5 მ. 2 ჩ), რაში (10 ქ. 5 პ. 3 ჩ), შ. უილიამსი (10 ქ. 4 მ).

**კლიპერსი-დალასი 94:95**

29:21, 22:26, 24:24, 19:24

კლიპერსი: ტიმ ტომასი (21 ქ. 6 პ. 4 მ. 2 ჩ), მობლი (20 ქ. 6 პ. 4 მ), მაგეტი (20 ქ. 7 მ. 3 პ), კამანი (13 ქ. 9 მ. 5 დ), კასელი (8 ქ. 4 პ).

დალასი: ნოვიცკი (22 ქ. 7 მ. 4 პ), ტერი (20 ქ. 6 მ. 4 პ), ბასი (14 ქ. 5 მ), სტექჰაუზი (13 ქ), დ. ჰარისი (12 ქ. 3 პ. 2 ჩ), დემპსი (11 ქ. 9 მ).

## მძლეოსნობა

დოპინგსკანდალი

# მერიონ ჯონსი ექვსი თვით ჩასვეს



მერიონ ჯონსი

გამოძიებისთვის ცრუ ჩვენების მიცემისთვის, აშშ-ის საოლქო სასამართლომ ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა შერისხულ ამერიკელ სპრინტერს, ერთ დროს ოლიმპიურ ჩემპიონ **მერიონ ჯონსს**.

ჯონსმა ოქტომბერში სასამართლოს წინაშე აღიარა, რომ წლების განმავლობაში იყენებდა აკრძალულ სტეროიდებს, თუმცა მანამდე არაერთხელ უარუაყვია დოპინგის გამოყენება და როცა სასამართლოში მისი ყოფილი ბოიფრენდის, მსოფლიოს ყოფილ რეკორდსმენ **ტიმ მონტგომერის** თაღლითობის საქმე განიხილებოდა, სასამართლოს ცრუ ჩვენება მისცა.

აღიარების შემდეგ, სასამართლოს მსაჯულებმა ყოფილი სპრინტერი დამნაშავედ სცნეს, რის საფუძველზეც, საოლქო სასამართლოს მოსამართლე **კენეტ კარასმა** მისთვის თავისუფლების აღმკვეთი ვერდიქტი გამოიტანა.

*"თქვენო ღირსებავ, მე სრულად ვაცნობიერებ ჩემს საქციელს და ვწუხვარ ყოველივეს გამო. ვიმედოვნებ, რომ თქვენ შეძლებისდაგვარად ჰუმანურ გადაწყვეტილებას გამოიტანთ"*, - განუცხადა მოსამართლეს ჯონსმა.

მოსამართლის ვერდიქტის გამოცხადებას, მერიონთან ერთად, მისმა ქმარმაც, ამერიკელმა ოლიმპიელმა სპრინტერმა **ობადელე ტომპსონმაც** მოუსმინა. ჯონსმა კი რეპორტიორებს შემდეგი განუცხადა - ვიმედოვნებ, რომ ჩემს შეცდომებს სხვა სპორტსმენები გაითვალისწინებენო.

შეგახსენებთ, რომ ჯონსს სიდნეის ოლიმპიადაზე მოპოვებული ხუთივე მედალი (მათგან სამი ოქროსია) ჩამოერთვა. გარდა ამისა, გაუქმდა მის მიერ სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის შემდეგ ნაჩვენები ყველა შედეგი.

ბალკო-ს საქმის გამოძიებას ჯონსმა 2003 წელს განუცხადა, რომ არაფერი იცოდა სინთეზურ სტეროიდ ტეტრაჰიდროგესტრინონის (THG) შესახებ, თუცმა როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ის ამ პრეპარატს, რომელიც მის მომხმარებლებს შორის სუფთას სახელითაა ცნობილი, სიდნეის ოლიმპიადამდეც და მის შემდეგაც, დიდი რაოდენობით და თანაც, რეგულარულად იყენებდა.

კარასის თქმით, მან არ დაიჯერა, როცა ჯონსმა განაცხადა, რომ სიდნეის ოლიმპიადამდე არც იცოდა, თუ დოპინგის მომხმარებელი იყო. კერძოდ, სპრინტერის თქმით, მას ეგონა, რომ სელის ზეთს ღებულობდა. ეს რომ დოპინგი იყო, მას შემდეგ მიხვდი, როცა მისი გამოყენების შეწყვეტის შემდეგ გავაცნობიერე, რომ ძველებურად ინტენსიურად ვარჯიში აღარ შემეძლო და თანაც, ვარჯიშის შემდეგ, ძალების სწრაფ აღდგენას ველარ ვახერხებდიო.

თანამედროვე სპორტის ისტორიაში, ჯონსი ყველაზე გამორჩეული ვარსკვლავია, ვინც სტეროიდების გამოყენება აღიარა. უნდა ითქვას, რომ პროკურორი საკმაოდ რბილ სასჯელს მხოლოდ იმის გამო დათანხმდა, რომ ჯონსი დათანხმდა, გამოძიებასთან ეთანამშრომლა თავისი ყოფილი მწვრთნელის და ესტაფეტაში ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონის, **სტივ რიდიკის** საქმეში.

რიდიკი სასამართლომ დამნაშავედ სცნო საბანკო საბუთების გაყალბებასა და ფულის გათეთრებაში, რისთვისაც მას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ყალბი საბანკო ოპერაციების განხორციელებაში ბრალი დაუმტკიცდა ტიმ მონტგომერისაც, ვის მიმართ სასჯელი ჯერ არ გამოცხადებულა.

## სხვადასხვა

ჭადრაკი

### ვეიკ ან ზეეს ტურნირი

ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ ან ზეეში უმაღლესი კატეგორიის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი დაიწყო, რომელშიც თითქმის ყველა უძლიერესი მამაკაცი დიდოსტატი იღებს მონაწილეობას. პირველმა ტურმა ასეთი შედეგი დააფიქსირა:

**თეიმურ რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი)-**ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) 1:0; **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია)-**შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი) 1:0; **ლევონ არონიანი** (სომხეთი)- **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) 1:0; **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი)-**ლუკ ვან ველი** (ჰოლანდია) 0.5:0:5; **პაველ ელიანოვი** (უკრაინა)-**პეტერ ლეკო** (უნგრეთი) 0.5:0:5; **ბორის გელფანდი** (ისრაელი)-**მაიკლ ადამსი** (ბრიტანეთი) 0.5:0:5; **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა)-**იუდით პოლგარი** (უნგრეთი) 0.5:0:5.

ჰოკეი

### ტორონტო ოთხ ჰოკეისტს უშვებს

"ტორონტო მეიპლ ლივზის" ხელმძღვანელობა შემადგენლობაში სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს. კერძოდ, კანადური კლუბი აპირებს გამოეთხოვოს ოთხ ჰოკეისტს - მეკარე **ენდრიუ რეიკროფტს**, მცველ **ტომაშ კაბერლესა** და ფორვარდებს - **დარსი ტაკერსა** და **ალექს სტინს**.

"ტორონტოს" გენერალური მენეჯერი **ჯონ ფერგიუსონი** იმედოვნებს, რომ ამ მოთამაშეების სანაცვლოდ კლუბი კარგ კომპენსაციას მიიღებს.

კალათბურთი

### რენდოლფი ნიქსიდან მიდის

ამერიკული პრესის ინფორმაციით, "ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდმა **ზაკ რენდოლფმა** შესაძლოა კლუბი გამოიცვალოს. 26 წლის კალათბურთელისადმი ინტერესს "მილუოკი ბაქსი" გამოთქვამს.

წლევანდელ სეზონში რენდოლფი საშუალოდ 17.1 ქულასა და 10.4 მოხსნას აგროვებს. საინტერესოა, რომ ფორვარდი გასულ ზაფხულს გადავიდა "ნიქსში" "პორტლენდიდან".

### მემფისი არ იყიდება

"ნიუ ორლეანისგან" განსხვავებით, სხვა ქალაქში გადასვლა არ ემუქრება "მემფის გრიზლისს". ამ გუნდის მფლობელი **მაიკლ ჰეისლი** გასულ წელს "გრიზლისის" გაყიდვას აპირებდა, მაგრამ ახლა უარი თქვა ამ იდეაზე.

*"აღარ ვაპირებ "მემფისისთვის" ახალი მეპატრონის ძებნას. თუმცა, თუ კარგ წინადადებას მივიღებ, რომელიც "გრიზლისის" ინტერესებს წაადგება, გაყიდვას მხოლოდ ამ შემთხვევაში დავთანხმდები"*, - ამბობს ჰეისლი.

## TV სპორტი

**14 იანვარი. ორშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-რეალი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-პორტსმუთი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. რენი-მარსელი.
19:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვალენსია.
21:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:25 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:14 სპორტდოსიე.
08:43 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
09:13 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბირმინგემი.
11:01 ფეხბურთი. Barca TV.
11:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-იუვენტუსი.
12:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
13:25 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ნიუკასლი.
15:10 ფიტნესი.
15:35 ჰოკეი. ევროპის ჩემპიონთა თასი. ფინალი. სპარტა (ჩეხეთი)-მეტალურგი (რუსეთი). სტ. პეტერბურგი. რუსეთი.
17:21 ფეხბურთი. Barca TV.
17:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სერია A-ს ჟურნალი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-რომა.
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ბლექბერნი.
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-რეალი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ვალენსია.
02:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ნაპოლი.
03:45 ფეხბურთი. Barca TV.
03:52 სპორტდოსიე.
04:20 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ბირმინგემი.
06:10 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-სევილია.

**EUROSPORT**

08:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. I დღე. მელბურნი (LIVE).
17:00 სნუკერი. მასტერსი. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:00 სნუკერი. მასტერსი. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი.
23:00 სნუკერი. მასტერსი. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 რალი-რეიდი. დაკარი 2001.
02:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
03:30 რალი-რეიდი. დაკარი 2001.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე. მელბურნი (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფლორბოლი. ევროპის თასი. მამაკაცები. ფინალი. ფინეთი.
14:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 2002-2006.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ლარვიკი (ნორვეგია)-ლადა (რუსეთი).
18:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. მამაკაცები. ფინალი. თურქეთი.
19:00 ფლორბოლი. ევროპის თასი. ქალები. ფინალი. ფინეთი.
20:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. ეგვიპტე-2006.
21:00 ახალი ამბები.
21:30 თოვლის უიქ ენდი. ტელეჟურნალი.
22:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. შვეიცარია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი.
00:00 ფლორბოლი. ევროპის თასი. მამაკაცები. ფინალი. ფინეთი.
01:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. კოლორადო-ედმონტონი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ტრიკ-ტრაკი. მსოფლიო სერია. ბრიტანეთი.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ბელგიის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-ვაასლანდი | 2:0 |
| ბეერსხოტი-ვესტერლო | 2:2 პენ. 3:1 |
| მონსი-გენტი | 0:1 დ.დ. |
| კორტრიიკი-ვარეგემი | 2:1 დ.დ. |
| დენდერი-აალსტი | 2:1 |
| რუზელარე-შარლერუა | 2:2, პენ. 5:4 |

**შოტლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალოა-ბრეჩინი | 2:1 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მონტროუზი-ისტ ფაიფი | 0:1 |

**შოტლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| სელტიკი-სტირლინგი | 3:0 |
| ფალკირკი-აბერდინი | 2:2 |
| მორტონი-გრეტნა | 2:2 |
| ჰამილტონი-ბრეჩინი | 0:0 |
| ჰართსი-მოზერველი | 2:2 |
| ჰიბერნიანი-ინვერნესი | 3:0 |
| ქუინი-ლინლითგოუ | 4:0 |
| სტ. მირენი-დამბარტონი | 3:0 |
| რეინჯერსი-ისტ სტირლინგი | გადაიდო |

**კალათბურთი**

**NBA**

| | |
|---|---|
| ტორონტო-პორტლენდი | 116:109 (ო) |
| ატლანტა-ჩიკაგო | 105:84 |
| ჰიუსტონი-ნიუ ორლეანი | 82:87 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| ეგალეო-არისი | 71:88 |
| კოლოსოსი-აეკ | 88:77 |
| პაოკ-რეთიმნო | 76:61 |
| ოლიმპია-ააკ | 71:67 |
| მარუსი-პანიონიოსი | 72:74 |
| პანათინაიკოსი-აელ | 94:65 |
| ოლიმპიაკოსი-პანელინიოსი | 87:52 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| გრანადა-ხუვენტუდი | 76:8: |
| ვალენსია-ტაუგრესი | 74:76 |
| ბილბაო-ფუენლაბრადა | 75:68 |
| ლეონი-მანრესა | 78:81 |
| მენორკა-ესტუდიანტესი | 73:77 |
| მურსია-ბარსელონა | 95:82 |
| რეალი-გრან კანარია | 89:78 |
| უნიკახა-კახასოლი | 82:77 |
| ხირონა-ვალიადოლიდი | 84:74 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ბენეტონი-სკავოლინი | 82:56 |
| კლიმამიო-მონტეგრანარო | 79:73 |
| ბიელა-ვირტუსი | 73:67 |
| დ'ორლანდო-ნაპოლი | 110:107 (ო) |
| მილანი-რიეტი | 86:81 |
| რომა-ტერამო | 78:61 |
| სკაფატი-კანტუ | 78:90 |
| სნაიდერო-ვარეზე | 90:88 (ო) |
| აველინო-მონტეპასკი | 79:73 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| შალონი-გრაველინი | 85:69 |
| კლერმონი-ვილერბანი | 85:87 (ო) |
| ტულონი-პო ორტეზი | 74:64 |
| ნანსი-შოლე | 88:68 |
| სტრასბური-ჰავრი | 83:75 |
| ვიში-ლე მანი | 49:78 |

**ჰოკეი**

**NHL**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-ფილადელფია | 4:6 |

**ჩემპიონთა თასი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (მ)-სპარტა | 5:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| შტრაუბინგი-აისბარენი | 2:6 |
| ნიურნბერგი-ინგოლშტადტი | 2:1 |
| კრეფელდი-ფრანკფურტი | 3:3 |
| კიოლნი-ვოლფსბურგი | 3:1 |
| დიუსელდორფი-ჰამბურგი | 2:2 |
| აუგსბურგი-დუისბურგი | 3:3 |
| იზერლონი-მანჰაიმი | 1:4 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-ტრენჩინი | 2:6 |
| ზვოლენი-კოშიცე | 7:4 |
| პოპრადი-კეჟმაროკი | 4:3 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰპკ-იოკერიტი | 4:2 |
| იუვესკიულა-ლუკო | 3:0 |
| პელიკანსი-ესეტი | 3:2 |
| საიპა-კიეკო | 2:2 |
| ტაპარა-კაიპა | 4:3 |
| ტპს-ჰიფკ | 4:1 |
| იოკერიტი-ტპს | 2:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზლინი-კლადნო | 2:5 |
| ლიბერეცი-ვიტკოვიცე | 2:3 |
| პარდუბიცე-ზნოიმო | 3:2 |
| სლავია-სლოვანი | 4:3 |
| ტრშინეცი-კარლოვი ვარი | 3:4 |
| პლზენი-ბუდეიოვიცე | 1:4 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ლუგანო-სერვეტი | 3:0 |
| ცუგი-ბაზელი | 5:3 |
| ფრიბურგი-რაპერსვილი | 3:4 |
| კლოტენი-ბერნი | 4:3 |
| ლანგნაუ-ციურიხი | 3:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მორა-ლულეა | 0:2 |
| ფერიესტადი-ჰვ 71 | 4:1 |
| სიოდერტალიე-ბრიუნასი | 1:3 |
| ტიმრა-იურგორდენი | 3:1 |

ALL STARS GAME 2008. ატლანტა. 27 იანვარი

# ლიგამ განაცხადები გამოაქვეყნა

**შაბათს,** ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ საბოლოოდ დაადგინა "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილეთა შემადგენლობები. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაკრებთა ოფიციალური განაცხადები ასე გამოიყურება:

**დასავლეთი**

მეკარეები: მენი ლეგასი ("სენტ ლუისი"), ევგენი ნაბოკოვი ("სან ხოსე"), კრის ოსგუდი ("დეტროიტი);

მცველები: დიონ ფანოფი ("კალგარი"), ნიკლას ლიდსტრიომი ("დეტროიტი"), კრის პრონგერი ("ანაჰაიმი"), ედ ჟოვანოვსკი ("ფინიქსი"), დანკან კეიტი ("ჩიკაგო") და სერგეი ზუბოვი ("დალასი");

თავდამსხმელები: ჯერომ იგინლა ("კალგარი"), ჰენრიკ ზეტერბერგი ("დეტროიტი"), პაველ დაციუკი ("დეტროიტი"), რაიან გეტცლაფი ("ანაჰაიმი"), შონ ჰორკოფი ("ედმონტონი"), ანჟე კოპიტარი ("ლოს ანჯელესი"), ჰენრიკ სედინი ("ვანკუვერი"), პოლ შჩასტნი ("კოლორადო"), ჯო ტორნტონი ("სან ხოსე"), რიკ ნეში ("კოლამბუსი"), ჯეისონ არნოტი ("ნეშვილი") და მარიან გაბორიკი ("მინესოტა").

**აღმოსავლეთი**

მეკარეები: მარტინ ბროდო ("ნიუ ჯერსი"), ტომაშ ვოკოუნი ("ფლორიდა"), რიკ დიპიეტრო ("აილენდერსი);

მცველები: ზდენო ხარა ("ბოსტონი"), ანდრეი მარკოვი ("მონრეალი"), კიმო ტიმონენი ("ფილადელფია"), ბრაიან კემპბელი ("ბაფალო"), სერგეი გონჩარი ("პიტსბურგი"), ტომაშ კაბერლე ("ტორონტო");

თავდამსხმელები: სიდნი კროსბი ("პიტსბურგი"), ვენსან ლეკავალიე ("ტამპა ბეი"), დანიელ ალფრედსონი ("ოტავა"), მარიან ჰოსა ("ატლანტა"), ილია კოვალჩუკი ("ატლანტა"), სკოტ გომესი ("რეინჯერსი"), ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი), ჯეისონ სპეცა ("ოტავა"), მაიკ რიჩარდსი ("ფილადელფია"), ერიკ სტაალი ("კაროლინა"), დენი ჰიტლი ("ოტავა"), მარტინ სენტ ლუისი ("ტამპა ბეი").

დასავლეთიდან შეხვედრას შემდეგი ექვსეული დაიწყებს: მენი ლეგასი ("სენტ ლუისი"); დიონ ფანოფი ("კალგარი"), ნიკლას ლიდსტრიომი ("დეტროიტი"); ჯერომ იგინლა ("კალგარი"), ჰენრიკ ზეტერბერგი ("დეტროიტი") და პაველ დაციუკი ("დეტროიტი").

აღმოსავლეთის სასტარტო შემადგენლობა ასეთია: მარტინ ბროდო ("ნიუ ჯერსი"); ზდენო ხარა ("ბოსტონი"), ანდრეი მარკოვი ("მონრეალი"); სიდნი კროსბი ("პიტსბურგი"), ვენსან ლეკავალიე ("ტამპა ბეი"), დანიელ ალფრედსონი ("ოტავა").

"ყველა ვარსკვლავის მატჩი" 27 იანვარს, ატლანტაში გაიმართება. დასავლეთის მწვრთნელი "დეტროიტის" დამრიგებელი **მაიკ ბებკოკი** იქნება, აღმოსავლეთს კი, "ოტავას" მთავარი მწვრთნელი **ჯონ პადოკი** უხელმძღვანელებს.

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**11 იანვარი**

**კოლამბუსი–სენტ ლუისი 6:4**

2:1, 1:1, 3:2

გოლები: 0;1 ბექსი-6 (რ. ჯონსონი-8, ჰინოტი-2), 1:1 ნეში-23 (ფიოდოროვი-16), 2:1 ჰეინსი-4 (ვიბორნი-9, ფიოდოროვი-17), 3:1 ჩიმერა-6 (ფრიტშე-6, ფუტი-8), 3:2 ბოიესი-24 (ე. მაკდონალდი-18, კარია-26), 3:3 მაკდონალდი-8 (სტემპნიაკი-18, ბექსი-5), 4:3 ჟერდიოვი-16 (ვიბორნი-10, ფუტი-9), 5:3 ფრიტშე-7 (ჩიმერა-13, მალორტა-7), 6:3 ჟერდიოვი-17 (ვიბორნი-11, ფუტი-10), 6:4 მაკკლემანი-5. -

**ჩიკაგო–მინესოტა 2:5**

1:1, 0:3, 1:1

გოლები: 1:0 სოპელი-1, 1:1 ფოი-4 (შეპარდი-11, კ. იონსონი-14), 1:2 გაბორიკი-23 (ბელანჟე-19), 1:3 ბუშარი-8 (მ. კოივუ-12, როლსტონი-18), 1:4 პერიში-13 (ბელანჟე-20), 2:4 ჰავლატი-6 (ლანგი-19, ბიფიგლენი-11), 2:5 გაბორიკი-24 (დემიტრა-15).

**კალგარი–აილენდერსი 4:5 (ბ)**

1:3, 3:1, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 სილინჯერი-9 (ჟერვე-11), 1:1 ნოლანი-8 (ტანგეი-24, ლენგკოუ-24), 1:2 ჰანტერი-7 (მეიერი-2, ფედოტენკო-12), 1:3 სილინჯერი-10 (ფედოტენკო-13, ჰანტერი-14), 2:3 ნოლანი-9 (ტანგეი-25, ლენგკოუ-25), 3:3 კონროი-6 (ფანოფი-24, ა. ერიქსონი-11), 4:3 ბოიდი-4 (უ. პრიმო-1, ლომბარდი-14), 4:4 ფედოტენკო-8 (მ-ა. ბერჟერონი-9, ჰანტერი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰუსელიუსი (კალგარი), სილინჯერი (აილენდერსი), პარკი (აილენდერსი).

**ვანკუვერი–ფინიქსი 3:4**

1:0, 0:3, 2:1

გოლები: 1:0 პიატი-10 (ედლერი-8, რიტჩი-5), 1:1 მიულერი-10 (რაინპრეხტი-15, ბალარდი-9), 1:2 ჟოვანოვსკი-4 (ვრბატა-15), 1:3 იენდლი-3 (ჟ. პერო-3, მორისი-9), 2:3 კესლერი-12 (ბაროუზი-10), 2:4 ნ. კაპანენი-5 (დოუნი-27, ვინიკი-7), 3:4 პიატი-11 (ჰ. სედინი-36, დ. სედინი-21).

**12 იანვარი**

**ფილადელფია–ბოსტონი 3:4 (ო)**

1:0, 0:2, 2:1, 0:1

გოლები: 1:0 ჯ. კარტერი-17 (რ. ჯონსი-15, კობურნი-14), 1:1 სავარი-11 (შტურმი-15, ხარა-21), 1:2 შტურმი-13 (ხარა-22, სავარი-36), 1:3 შეფერი-7 (ხარა-23, კრეისი-7), 2:3 ჰარტნელი-11 (უმბერგერი-22, ჯ. კარტერი-5), 3:3 ბრიერი-17 (საიმონ განიე-5), 3:4 ა. უორდი-4.

**ლოს ანჯელესი–დალასი 4:3 (ბ)**

2:2, 1:0, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 ჰალპერნი-9 (ლ. ერიქსონი-7, დელეი-10), 0:2 ლ. ერიქსონი-5 (ლუნდკვისტი-7, ვინჩესტერი-2), 1:2 ფროლოვი-9 (ო'სალივანი-13, ბ. სტიუარტი-9), 2:2 დ. არმსტრონგი-4 (ს. ტორნტონი-2, პრისინგი-11), 3:2 კოპიტარი-18 (რ. ბლეიკი-19), 3:3 ნისკანენი-5 (მოდანო-19, რიბეირო-27).

**ბულიტები გაიტანეს:** კოპიტარი (ლოს ანჯელესი), მიეტინენი (დალასი), ო'სალივანი (ლოს ანჯელესი).

**ბაფალო–ნიუ ჯერსი 2:3 (ბ)**

2:0, 0:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 პეი-7 (ბ. კემპბელი-25, სტეფორდი-9), 2:0 პეი-8 (გოსტადი-15, ლიდმანი-10), 2:1 პ. მარტინი-3 (ოდუია-7, ჯონტა-17), 2:2 კლარკსონი-5 (ე. გრინი-6).

**ბულიტები გაიტანეს:** პარიზე (ნიუ ჯერსი), ელიაში (ნიუ ჯერსი).

**ოტავა–დეტროიტი 3:2**

1:0, 1:0, 1:2

გოლები: 1:0 ალფრედსონი-27 (ჰიტლი-31, სპეცა-38), 2:0 ფიშერი-16 (რიჩარდსონი-5), 2:1 რაფალსკი-8 (ზეტერბერგი-30, დაციუკი-38), 2:2 ჰუდლერი-11 (ლიდსტრიომი-37, კრონვალი-20), 3:2 ალფრედსონი-28 (კორვო-16, ფიშერი-17).

**რეინჯერსი–მონრეალი 4:1**

2:0, 2:0, 0:1

გოლები: 1:0 დრური-12 (მარსელ ჰოსა-7), 2:0 სტრაკა-8 (იაგრი-27, გომესი-31), 3:0 პრუხა-5 (დეივსი-2, მარა-10), 4:0 დეივსი-6 (დუბინსკი-10, პრუხა-7), 4:1 ს. კასტიცინი-3 (ა. კასტიცინი-14, ა. მარკოვი-20).

**კაროლინა–კოლორადო 4:5**

2:0, 2:2, 0:3

გოლები: 1:0 ე. კოული-10 (სამსონოვი-5, ბრინდამორი-22), 2:0 კ. ოკუანი-2 (კონბოი-1), 2:1 ჰეიდუკი-16 (ბრუნეტი-22, შჩასტნი-30), 3:1 ლაროუზი-6 (კ. ოკუანი-4, კომოდორი-8), 3:2 შჩასტნი-16 (ჰლინკა-12, მაკლეოდი-1), 4:2 სტილმანი-20 (ბორერი-2, კ. უორდი-1), 4:3 მაკლეოდი-3 (მაკორმიკი-2, ფინგერი-8), 4:4 სვატოსი-18 (არნასონი-8, ლეოპოლდი-2), 4:5 სვატოსი-19 (არნასონი-9, ვოლსკი-15).

**ატლანტა–პიტსბურგი 3:2 (ბ)**

1:1, 0:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 კროსბი-19 (მალკინი-29, რაიან უიტნი-13), 1:1 კოვალჩუკი-37 (რეკი-15, ენსტრიომი-23), 1:2 კროსბი-20 (კ. არმსტრონგი-14, ლეტანგი-5), 2:2 ჰოლიკი-8 (მარიან ჰოსა-23, ვიაჩ. კოზლოვი-13).

**ბულიტები გაიტანეს:** რეკი (ატლანტა).

**ფლორიდა–ტამპა ბეი 3:5**

1:1, 0:2, 2:2

გოლები: 1:0 ო. იოკინენი-21 (ბ. ალენი-6), 1:1 ტარნავსკი-2 (კ. მაკდონალდი-3, დერჩი-6), 1:2 ჰლავაჩი-7 (ჯ. უორდი-6, გრეტონი-8), 1:3 ტარნავსკი-3 (ო'ბრაიენი-13, კ. მაკდონალდი-4), 1:4 ბ. რიჩარდსი-12 (პროსპალი-26, სენტ ლუისი-35), 2:4 ბუტი-11 (კალიმორი-4, უეისი-18), 3:4 მაკლინი-4 (მ. იოჰანსონი-5, ბოუმისტერი-9), 3:5 ბ. რიჩარდსი-13 (სენტ ლუისი-36).

**კოლამბუსი–ნეშვილი 2:1 (ბ)**

0:0, 0:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 რადულოვი-13 (დუმონი-17, არნოტი-22), 1:1 კლესლა-5 (ჟერდიოვი-19).

**ბულიტები გაიტანეს:** ჟერდიოვი (კოლამბუსი).

**სან ხოსე–ტორონტო 3:2**

0:1, 0:1, 3:0

გოლები: 0:1 ანტროპოვი-17 (სუნდინი-29), 0:2 კუბინა-3 (ტ. კაბერლე-22, ტოსკალა-4), 1:2 მარლო-8 (ჯ. ტორნტონი-37, ბერნიე-8), 2:2 როვე-5 (მარლო-12, ჯ. ტორნტონი-38), 3:2 პაველსკი-9 (ჩიჩუ-7, მ. კარლი-8).





ჟან-ბაპტისტ გრანჟი გამარჯვებას ზეიმობს

მსოფლიო თასი

# გრანჟის მოულოდნელი დუბლი

გასულ უქმეებზე, სამთო სათხილამურო მამაკაცებმა შვეიცარიის სამთო კურორტ ვენგენის ლაუბერჰორნის მთის ფერდობზე, მსოფლიო თასის ორ ეტაპზე იასპარეზეს. ვენგენში სულ სამი რბოლაა გასამართი, რომელთაგან პირველი ორი – სუპერ კომბინაცია და სლალომი, ყველასათვის მოულოდნელად, ფრანგი **ჟან-ბაპტისტ გრანჟის** გამარჯვებით დასრულდა.

სუპერ კომბინაციაში გრანჟის გამარჯვება, მსოფლიო თასის ისტორიაში, ფრანგი მოთხილამურეების მეასე ტრიუმფი აღმოჩნდა. ვენგენში კი ფრანგ მოთხილამურეებს 1972 წლის შემდეგ არ მოეგოთ. ფრანგთაგან ბოლომ ეს **ჟან-ნოელ ოგერმა** შეძლო. 23 წლის გრანჟი ტექნიკურ დისციპლინებში (სლალომი, გიგანტური სლალომი) ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა სამთო მოთხილამურეა, თუმცა რატომღაც, მისი ნიჭი უფრო ხშირად მხოლოდ ერთ ცდაზე მოქმედებს, ორი ცდის ჯამში კი ადრე თითქმის ყოველთვის ხელმოცარული რჩებოდა ხოლმე.

თუმცა, ამის მიუხედავად, მან თავის კარიერაში, მსოფლიო თასის პირველი გამარჯვება უკვე იზეიმა (ერთი თვის წინ, იტალიის ალტა ბადიაში). გარდა ამისა, გრანჟმა ერთხელ მეორე ადგილის დაკავებაც მოასწრო და მაშინაც სუპერ კომბინაციაში (სეზონის პირველი სუპერკომბინაცია, რომელიც აშშ-ის ბივერ კრიკში ჩატარდა). სხვათა შორის, ის რბოლა შვეიცარიელმა **დანიელ ალბრეხტმა** მოიგო, რომელიც ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა, პირველი კი გრანჟს დაუთმო. ორი ცდის ჯამში, ისინი ერთმანეთს სულ რაღაც 0.06 წამმა დააშორა. ორი ცდის ჯამში, მესამე ადგილს დასჯერდა ამერიკელი **ბოდე მილერი**, ვინც გამარჯვებულს 0.51 წამით ჩამორჩა.

აღსანიშნავია, რომ ვენგენის ფერდობი უფრო ტექნიკური დისციპლინების სპეციალისტებს სწყალობდა, ჩქაროსნებს კი საშინლად არ გაუმართლათ – მათმა უმეტესობამ სლალომის ცდაზე შეცდომით გააფუჭა შედეგი. მილერს კი უნივერსალობამ "უშველა".

სხვათა შორის, გრანჟი პირველი ცდის შემდეგ მხოლოდ 27-ე იყო, მაგრამ ის ხომ ერთი ცდის სპეციალისტია. ჰოდა, ეს თვისება ამჯერად გამოადგა – ბრწყინვალედ შეასრულა სლალომის ცდა. ის ერთ-ერთი იყო იმ ორი მოთხილამურიდან, რომლებმაც სლალომში 45-წამიანი ბარიერი დაძლიეს. ამ ორიდან უკეთესი კი ფრანგი მოთხილამურე აღმოჩნდა (44.21 წამი). ცნობისათვის, მასთან მილერმა სლალომში თითქმის ორი წამი წააგო.

*"მართალი ვთქვა, დაშვებაში საშინელი შედეგით კმაყოფილიც კი დავრჩი, რადგან ამის წყალობით, სლალომში ტრასაზე ერთ-ერთი პირველი გავედი. დასაწყისში ტრასა კარგ მდგომარეობაში იყო, რამაც ჩემს სასარგებლოდ იმუშავა. ბივერ კრიკში სულ სხვაგვარად იყო, მაშინ უამრავი ორმოსა და ბორცვის გავლა მომიხდა, რამაც ძალიან გამირთულა საქმე. აქაური ტრასა ტექნიკურია და ჩემს სტილს უკეთ მიესადაგება. ამ მოგებით ორმაგად გახარებული ვარ, რადგან ამით დავამტკიცე, რომ ალტა ბადიაში შემთხვევით არ მომიგია"*, - ნარბოლევს განაცხადა გრანჟმა.

ალბრეხტმა თავისი მარცხი დაშვებისას, პატარა ხიდთან დაშვებულ შეცდომას დააბრალა. სხვათა შორის, იმ მონაკვეთში ბევრმა დაუშვა შეცდომა. შვეიცარიელსაც გაუჭირდა წონასწორობის შენარჩუნება, რისთვისაც ტემპის დაგდება მოუხდა. ჰოდა, ამან მის შედეგზე უარყოფითად იმოქმედა. ანალოგიური შეცდომა დაშვებაზე მილერმაც დაუშვა, ვინც სლალომზეც ერთი-ორჯერ შეცდა. არადა, ამ ტრასაზე მას შარშან დაშვების რბოლა აქვს მოგებული.

გრანჟმა სლალომშიც დაამტკიცა, რომ პროგრესირებს და რომ მალე მისი სახით, მსოფლიო თასს ახალი ვარსკვლავი ეყოლება. მან პირველივე ცდაზე ხელთ იგდო ლიდერობა და მეორეზეც წინ არავინ გაუშვია. ორი ცდის ჯამში, მას 0.80 წამით ჩამორჩა შვედი **იენს ბიგმარკი**, მესამეზე კი ამერიკელი **ტედ ლიგეტი** გავიდა, რომელიც გამარჯვებულს 0.89 წამით ჩამორჩა. ამჯერად მილერი მეხუთე შედეგს დასჯერდა.

ზედიზედ ორი რბოლის მოგებით, გრანჟმა აბსოლუტურ კლასიფიკაციაში მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა ლიდერ **ბენი რაიხამდე** ბევრი უკლია.

**ვენგენი (შვეიცარია). კაცები. სუპერ კომბინაცია**

1. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 2:20.61 (1:36.40, 44.21); 2. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 2:20.67 (1:35.31, 45.36); 3. ბოდმე მილერი (აშშ) 2:21.12 (1:35.09, 46.03); 4. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:21.16 (1:35.71, 45.45); 5. ტედ ლიგეტი (აშშ) 2:21.19 (1:36.31, 44.88); 6. მარკუს ლარსონი (შვედეთი) 2:21.24 (1:36.18, 45.06); 7. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 2:21.36 (1:35.58, 45.78); 8. მარიო მატი (ავსტრია) 2:21.62 (1:36.53, 45.09); 9. ნატკო ზრნჩიჩ-დიმი (ხორვატია) 2:22.29 (1:35.84, 46.45); 10. პეტერ ფილი (იტალია) 2:22.88 (1:36.89, 45.99)...

**ვენგენი (შვეიცარია). კაცები. სლალომი**

1. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 1:34.81 (47.30, 47.51); 2. იენს ბიგმარკი (შვედეთი) 1:35.61 (47.88, 47.73); 3. ტედ ლიგეტი (აშშ) 1:35.70 (48.63, 47.07); 4. ანდრე მირერი (შვედეთი) 1:36.20 (48.36, 47.84); 5. ბოდმე მილერი (აშშ) 1:36.25 (48.46, 47.79); 6. ჟულიან ლიზერუ (საფრანგეთი) 1:36.26 (48.59, 47.67); 7. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 1:36.48 (49.02, 47.46); 8. ჯორჯო როკა (იტალია) 1:36.55 (48.10, 48.45); 9. რაინფრედ ჰერბსტი (ავსტრია) 1:36.61 (48.40, 48.21); 10. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) 1:36.68 (48.31, 48.37)...

**აბსოლუტური კლასიფიკაცია**

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 690; 2. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 562; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 525; 4. ბოდე მილერი (აშშ) 511; 5. ჟან-ბაპტისტ გრანჟი (საფრანგეთი) 456; 6. ტედ ლიგეტი (აშშ) 440; 7. მანფრედ მიოლეგი (იტალია) 432; 8. კალე პალანდერი (ფინეთი) 360; 9. მიხაელ ვალხჰოფერი (ავსტრია) 298; 10. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 297...


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიპლომი, ახალი კონსტუქცია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა